პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 15 ოქტომბერი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 234 (1979)

## დღიური

— კომინტერნის ალმასკომის მოწოდება ლიტვაში არსებულ ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ.
— დაიხურა რემედასის საფრანგეთის სექციის კონფერენცია.
— ამხ. იურენევმა რწმუნების სიგელი ჩააბარა ავსტრიის პრეზიდენტს.
— ინდოეთის რკინისგზელებმა იტალიური გაფიცვა გამოაცხადეს
— საფრანგეთში გრძელდება ტერორი კომუნისტების წინააღმდეგ
— გერმანიის სასამართლომ გაანთავისუფლა ამხ. როზა ლიუქსემბურგის მკვლელი.
— პოლონეთში დააპატიმრეს ბელორუსიის ცნობილი მოღვაწე ლუცკევიჩი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს, 20 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ახალი კლუბის შენობაში (სასახლის ქ.) გაიხსნება

### ქალაქის რაიონის მე-10 რაიონული პარტიული კონფერენცია

დღის წესრიგი: 1) მოხსენება შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ, 2) რაიკომის ანგარიში, 3) სარევიზიო კომისიის ანგარიში, 4) საბჭოთა-სამეურნეო აპარატის გაუმჯობესებისა და გაიაფებისათვის წარმოებული მუშაობის შედეგები, 5) პარტორგანოებისა და თბილისის პარტკონფერენციის დელეგატების არჩევნები.

მანდატების მიცემა სარაიონო პარტკონფერენციაზე დასასწრებლად დაიწყება 17 ოქტომბრიდან (ორშაბათიდან) რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებაში დილის 10-დან 3 საათამდე.

რაიკომის მდივანი **მორჩილაძე.**

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იუწყება, რომ სამშაბათს, 18 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, მესამე რაიკომის შენობაში გაიხსნება

### 3 რაიონის მე-8 რაიონული პარტკონფერენცია

დღის წესრიგში: 1) მოხსენება შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ, 2) რაიკომის ანგარიში და ახალგ. ლენინური კომკავშირის რაიკომის თანამოხსენება, 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4) რაიკომის, სარევიზიო კომისიის და თბილისის სამაზრო-საქალაქო პარტკონფერენციის დელეგატების არჩევნები.

არჩეულ დელეგატებს მანდატების მიღება შეუძლიათ რაიკომში დილის 9-დან 3 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე.

რაიკომის მდივანი **ტერ-ვართანოვი.**

## შორს ჩვენი რიგებიდან

შინაპარტიული ოპოზიცია, რომლის მუშაობაც არა ერთხელ დაჰგმო როგორც მთელმა პარტიულმა მასამ, ისე ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებმა, განაგრძობს თავის დეზორგანიზატორულ, ანტიპარტიულ გამოსვლებს. დაპირებანი, რომელიც მან მისცა პარტიას არალეგალური მუშაობის შეწყვეტის, ფრაქციების დაშლის და ცეკასათვის მხარის დაჭერის შესახებ, უხეშათ ითელება ფეხქვეშ. ოპოზიცია ამ დაპირებების უკან კიდევ უფრო აფართოებს თავის გამთიშველ ანტილენინურ საქმიანობას, უფრო ერთგულათ და ფრთხილად ეხვევა კონსპირაციის სამოსში და, ფრაქციულლით გატაცებული, ისეთ ნაბიჯებს ხდგამს, რომლის მსგავსს ადგილი არ ჰქონია ბოლშევიკურ პარტიის ისტორიაში.

იმ აღმაშფოთებელ, კომუნისტურ დისციპლინასთან ყოვლად შეუთავსებელ ფაქტებს შორის, რომლითაც მდიდარია ოპოზიციის გამთიშავი საქმიანობა, თავისი უმსგავსოებით განსაკუთრებულ ადგილი უჭირავს არალეგალური სტამბის მოწყობას ოპოზიციონური ლიტერატურის ბეჭდვის მიზნით და ამ საქმეში უპარტიო ბურჟუაზიული ინტელიგენტების ჩაბმას. არალეგალური სტამბა, როგორც ვიცით, აღმოჩენილ იქნა მოსკოვში, მაგრამ ირკვევა, რომ მარტო მოსკოვის ოპოზიციონერები არ მისულან ამგვარ თავხედობამდი, როგორც ამას მკითხველი დაინახავს საქართველოს კომპარტიის (ბ.) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოთავსებულ დადგენილებიდან, ასეთივე სტამბის მოწყობის განზრახვა ჰქონდა ადგილობრივ ოპოზიციასაც. ამ მიზნით ფულის შეგროვებაც კი სწარმოებდა თანამგრძნობ პარტიულებს შორის. ამგვარად ოპოზიციამ გადალახა ყოველგვარი მოთმინების საზღვრები. მან ბოროტად გამოიყენა პარტიის სულგრძელობა. პარტია ცდილობდა საშუალება მიეცა სწორი გზიდან ამცდარ ოპოზიციისათვის გამოესწორებია თავისი შეცდომები. ოპოზიციის ზოგიერთმა საბოლოოთ გადაგვარებულმა ჯგუფებმა ამგვარი ხაზი პარტიის სისუსტეთ წარმოიდგინეს და თავიანთ შეცდომების გამოსწორების ნაცვლად კიდევ უფრო გააცხოველეს დეზორგანიზატორული მუშაობა.

ამრიგათ მათ თვითვე გამოუტანეს თავიანთ თავს პოლიტიკური განაჩენი, მათ თვითვე დააყენეს თავიანთი თავი პარტიის გარეშე, რომლის დისციპლინაც და მუშაობის ტრადიციები „შეუგუებელი" აღმოჩნდა ანარქისტულ, წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტებისათვის ოპოზიციიდან.

გუშინ ტელეგრაფმა მოგვიტანა ცნობა ოპოზიციონერთა ერთი ჯგუფის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ, რომელთა შორის არის ჩვენს პარტიაში საკმაოდ ცნობილი პრეობრაჟენსკი. დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ ცნობას საქართველოს კომპარტიის ორგანიზაციიდან რამდენიმე ოპოზიციონერის გაძევების შესახებ. პარტიული ორგანოები, მას შემდეგ, რაც მათ ამოსწურეს შინაპარტიულ უთანხმოების „უმსხვერპლოთ" მოგვარების ყველა საშუალებანი, იძულებული გახდენ ანგარიში გაეწიათ პარტიული მასის ერთსულოვანი მოთხოვნილებისათვის და ჩვენს რიგებს გარეშე დაეყენებიათ ისინი, რომელთაც არაფერი დარჩენიათ საერთო ლენინურ პარტიასთან.

გარიცხულთა შორის არიან ისეთებიც, რომელთაც ერთგვარი დამსახურება მიუძღვით წარსულში, რომელნიც ახლად მოსული არ ყოფილან ჩვენს რიგებში. მაგრამ ეს საქმის ვითარებას არ სცვლის. ლენინურ პარტიის განმასხვავებელ თვისებას, სხვათა შორის, ისიც წარმოადგენს რომ მან არ იცის თავზე ხელის მოსმა მის მოწინააღმდეგისათვის. ძველი დამსახურება ყოველთვის არ იძლევა სწორი ხაზიდან არ აცდენის გარანტიას. წარსული მუშაობით ვერავინ მოხსნის პასუხისმგებლობას ეხლანდელ ანტიპარტიულ ნაბიჯებისათვის. ეს უნდა ახსოვდეს მას, ვისაც ხშირათ უყვარს ლაპარაკი თავის წარსულზე და ვინც ამით წათამამებული თავის თავს აქეზებს პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ოპოზიციის მიმდევარ ბევრ პატიოსან ამხანაგმა უკვე შეიგნო ფრაქციული მუშაობის მთელი დამღუპველობა. მათ გამოიჩინეს ბოლშევიკური გამბედაობა და აშკარათ აღიარეს თავიანთი შეცდომა. ამ გზას უნდა დაადგეს ოპოზიციის ყველა შეგნებული და ჯერ კიდევ საბოლოოთ გადაუგვარებელი ელემენტები. პარტია არ მოითმენს მათ ჩხირკედელაობას. შინაპარტიული ბრძოლა ასუსტებს ჩვენს ენერგიას და ყურადღებას სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში. ოპოზიციის გამოსვლები ფრთებს ასხამს ჩემბერლენ-ბრიან-მუსოლინებს, ის სიცოცხლის სულს ბერავს ილაჯ-გაწყვეტილ შინაურ და ემიგრაციაში მოკალათებულ ჩვენს მტრებს.

ოპოზიციის ზოგიერთ ელემენტებმა დაჰკარგეს პარტიის წინაშე პასუხისმგებლობის ყოველივე გრძნობა. ნურას უკაცრავათ, თუ პარტია მათ საკადრისს მიუზღავს. დაე, პარტიის საკონტროლო კომისიების მიერ უკანასკნელ ხანებში გადადგმული გადამჭრელი ნაბიჯები მრისხანე გაფრთხილებათ მიიღოს ყველა იმან, ვინც პარტიას ხელს უშლის ნორმალურ მუშაობაში და ყოველნაირათ ცდილობს ჩვენი მთლიანობის ზურგში მახვილის ჩაცემას.

## ძირს ანტიპარტიული არალეგალობა

ტროცკისტული ოპოზიციის მოქმედება უკანასკნელ პერიოდში სავსებით ნათლად და გარკვეულად, ყოველგვარ ეჭვს გარეშე ახასიათებს იმ ბრძოლის კურსს, რომელიც ოპოზიციამ შეგნებულად აირჩია მომავალი პარტიული ყრილობის წინ. ეს არის გზა პარტიის წინააღმდეგ ბრძოლისა, ყოველგვარი საშუალებით, აშკარა ანტიპარტიული იარაღით ბრძოლის გზა. ოპოზიციის მთელ მოქმედებაში წითელ ზოლივით გადის ცდა იმისა, რომ ბოლშევიკები დააყენოს მეორე პარტიის შექმნის ფაქტის წინაშე. ოპოზიცია გაცოფებულ მუშაობას აწარმოებს თავისი არალეგალური აპარატის შესაქმნელად სხვადასხვაგვარი ფორმით (კომიტეტები, კრებები, წრეები, მასალების დამზადება და განაწილება, არალეგალური სტამბა და სხვ.).

განა მტკიცება უნდა იმას, რომ ოპოზიციის უახლოეს კურსს არაფერი აქვს საერთო არც ლენინიზმთან, არც ბოლშევიკური პარტიის ტრადიციებთან. ანტი-პარტიული არალეგალობა, არალეგალური სტამბების შექმნა პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში ეს უკვე არის არა უბრალო დანაშაული, არა ფრაქციული ექსცესი, არამედ ბოლშევიზმის გამოწვევა ბურჟუაზიული დემოკრატიის მხრივ.

აი, ამიტომ შეუძლებელია ერთი წუთითაც კი მოვითმინოთ ოპოზიციის ასეთი მოქმედება და დავკმაყოფილდეთ ნახევარ-ზომებით ოპოზიციის წინააღმდეგ და პედაგოგიური შთაგონებით. აი, ამიტომ ათასჯერ მართალი იყო ცენტრალური საკონტროლო კომისია, როცა დაადგინა გამორიცხოს ჩვენი პარტიის რიგებიდან ამხ. პრეობრაჟენსკი, სერებრიაკოვი და შაროვი, რომელთაც განაცხადეს, რომ პასუხისმგებელნი არიან არალეგალური სტამბის მოწყობისათვის. თუ კი მას შემდეგ, რაც ოპოზიციას არა ერთხელ მიეცა გაფრთხილება, მას შემდეგ, რაც ჩატარებულ იქნა უდიდესი იდეური მუშაობა ოპოზიციის შეცდომათა ახსნა-განმარტებისათვის, მას შემდეგ, რაც პარტიამ უდიდესი მოთმინება გამოიჩინა და მიუხედავად ოპოზიციის „კლემანსისტურ-ტერმიდორიანული" ცილისწამებისა, პარტიამ ცეკას პლენუმზე მისცა მონანიების საშუალება, თუ ყოველივე ამის საპასუხოდ ოპოზიცია სცილდება ბოლშევიზმის უკანასკნელ საზღვარს და მოითხოვენ ისეთი მოქმედების მოთმენას, როგორიც არის არალეგალური სტამბის შექმნის ფაქტი,—მაშინ აუცილებლად უნდა იქნას მიღებული მკაცრი ზომები. ჩვენი პარტია არ იქნება ლენინის პარტია, თუ იგი აქ დასთმობს, თუ იგი ნებაყოფლობით გაუხსნის კარებს ბურჟუაზიულ დემოკრატიას ჩვენს ქვეყანაში.

ის გარემოება, რომ ოპოზიცია თავის შინაპარტიულ ბრძოლის მეთოდებში სულ უფრო და უფრო დაბლა დაეშვა ფრაქციულ გზაზე და ბოლოს და ბოლოს მოექცა ბოლშევიზმის იქითა მხარეს, მჭიდროდ არის დაკავშირებული მის პოლიტიკურ შეხედულებათა მთელ განვითარებასთან. ოპოზიცია სულ უფრო და უფრო შორდება ლენინის მოძღვრებას და პარტიის წინააღმდეგ მიმართულ „კრიტიკაში" იგი იღებს ჩვენი აშკარა კლასობრივი მტრების არგუმენტებს და ფორმულებს.

როცა ოპოზიცია, წინააღმდეგ ლენინიზმისა და ფაქტებისა სცდილობს „დაამტკიცოს", რომ შეუძლებელია სოციალიზმის ძლევამოსილი აღმშენებლობა ჩვენში, როცა იგი ირონიულად ლაპარაკობს სოციალიზმზე „ერთ მაზრაში", ციმბირში და სხვ. განა ეს მისი საკუთარი, მის მიერ აღმოჩენილი სიბრძნე არ არის? განა იგი არ იმეორებს ჰილფერდინგისა და კაუცკის გაცვეთილ ოხუნჯობას „თურქესტანის სოციალიზმის შესახებ? განა იგი არ ლექავს ლიბერალური ეკონომისტების, სოციალ-ეკონომისტების მტკიცებას იმის შესახებ რომ უტოპიას წარმოადგენს სოციალიზმის მშენებლობა „ღატაკ რუსეთში"? განა იგი, თავისდა შეუმჩნევლად არ მოექცა ჩვენი ნეპური ობივატელის გავლენის ქვეშ, რომელიც გაიძახის: „სად ჩვენ და სად სოციალიზმი".

როცა ოპოზიცია გულმოდგინედ გაჰკივის ტერმიდორზე და ბრალს სდებს საკავშირო კომპარტიას (ბ) გადაგვარებასა და კაპიტალიზმისაკენ ევოლიუციაში, განა მას შეუძლია დაიკვეხოს რომ ეს მისი საკუთარი სიბრძნის ნაყოფია? მთელი ეს ტერმიდორიანული სიბრძნე ხომ მენშევიკური ბურჟუაზიულ დემოკრატიული გონების ნაყოფია? განა ოპოზიციამ მარტოვ-უსტრიალოვის სანაგვედან არ ამოქექა ეს, უკაცრავად პასუხია, მარგალიტის მარცვალი?

როცა ოპოზიცია უკანასკნელ ხანებში კრიტიკულად აფასებს ჩვენი სამეურნეო განვითარების შედეგებს, განა იგი ამით ჩვენი კლასობრივი მტრების დუდუკზე არ ცეკვავს? როცა ოპოზიცია ჩიხში ემწყვდევა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა უეჭველი ფაქტების გამო, იგი დემონსტრატიულად აცხადებს, რომ ეს წარმატებანი მიღწეულია სტიქიურად, თავისთავად, მიუხედავად ხელმძღვანელობის არა სწორი პოლიტიკისა და არა ამ პოლიტიკის მეოხებით. სწორედ ამასვე გაიძახიან მილიუკოვები, დალინები და დანები. ზღაპარი იმის შესახებ, რომ რუსეთის მეურნეობა თავისთავად ვითარდება, ბოლშევიკები კი არაფერს აკეთებენო,— განა სწორედ ამ ვაჟბატონებს არ ეკუთვნის?

როცა ოპოზიცია ბუკსა და ნაღარას სცემს პარტიის ლენინურ, მისთვის არა სასურველი რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც „უმთავრესად მე-10 ყრილობის შემდეგ შეიქმნა", როცა იგი ილაშქრებს „ცეკას სამდივნოს დიქტატურის წინააღმდეგ", განა ესეც იმავე არსენალიდან არ არის ნასესხები? „პოლიტბიუროს დიქტატურის", „ცეკისტური ოლიგარხიის" ყოვლად შემძლებლობის შესახებ, მრავალჯერ სწერდენ და ლაპარაკობდენ ჩვენი მტრები.

მხოლოდ მათ გოდებას „პოლიტბიუროს დიქტატურის" შესახებ თანდათან ერთვოდა გოდება პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ. ჩვენი მტრები აქებენ ოპოზიციას იმისათვის, რომ იგი ბრძოლას აწარმოებს „რეჟიმის" წინააღმდეგ, ესე იგი იმის გამო რომ ის არ ემორჩილება ცეკას, ცენტრ. საკონტრ. კომისიას, პარტიის ყრილობებს და წესდებას, რაიც მათი „უფრო ფართე თვალსაზრისით" აუცილებელი შემადგენელი ელემენტია მუშათა კლასის დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ოპოზიციის უდიდესი უბედურება, უდიდესი დანაშაული მდგომარეობს იმაში, რომ ის თავის ბრძოლაში ლენინიზმის წინააღმდეგ ისე შორს წავიდა, რომ იგი შეუხმატკბილდა იმ „კრიტიკას" და იმ „სულისკვეთებას", რომელიც პარტიის ფარგლების გარეშე არსებობს. ამიტომ, სურს თუ არ სურს მას, ოპოზიციას ეტმასნებიან პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები, ამიტომ მას გულში იხუტებენ ბატონი შჩერბაკოვები. ოპოზიციას „სუბიექტიურად" სურს, მხოლოდ „არ სწამს" სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა, მაგრამ მას უერთდებიან. პარტიის წინააღმდეგ ყველა ისინი, რომელთაც სრულიად არ სურთ სოციალიზმის გამარჯვება.

ამიტომ მასთან კავშირს იჭერენ უპარტიო ბურჟუაზიული ინტელიგენტები, არა ისინი, რომელნიც სინდისიერ მუშაობას აწარმოებენ მუშათა კლასის ინტერესების სასარგებლოდ, არამედ ისინი, რომელთაც სულს „ხუთავს" პროლეტარული დიქტატურის „მარწუხი". ეს ელემენტები სიამოვნებით შედიან ასეთ კავშირში. არალეგალურ ოპოზიციონურ სტამბას მიესალმებიან და უკვე ესალმებიან ჩვენი მტრები, ვინაიდან იგი მათთვის ნიშნავს პროლეტარული დიქტატურის შერყევის საშუალებას და ბურჟუაზიული დემოკრატიის დამყარების შესაძლებლობას.

მაგრამ სწორედ ამიტომ ულმობლად გმობენ მუშები, ბოლშევიკები და მთელი ჩვენი პარტია ანტიპარტიულ არალეგალობას. არასოდეს, არავითარ პირობებში პარტია არ დახრის ბოლშევიზმის დროშას ბურჟუაზიული დემოკრატიის დროშის წინაშე. იგი ალაგმავს თავაშვებულ ოპოზიციონურ ბანკროტებს, რომელნიც ეხლა გამოვიდენ ბურჟუაზიული დემოკრატიის „უკიდურესი მემარცხენე" ჯგუფის სახით. არალეგალური სტამბის გმირებს ადგილი არ აქვთ და არ ექნებათ ბოლშევიკურ ოჯახში. არავითარ ფრაქციულ დეზორგანიზატორებს არ ძალუძთ ჩვენი დიადი მუშაობის ჩაშლა. ანტიპარტიულ არალეგალობას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო.

„პრავდა", 14 ოქტომბერი.

# ამხ. ლიტვინოვის განცხადება შვეციასთან შეთანხმების შესახებ

## ახლო ხანში გაიხსნება ბალტიის სახელმწიფოთა კონფერენცია

## სპარსეთის მთავრობის ცნობა ოსმალეთთან კონფლიქტის შესახებ

## ამერიკის შრომის ფედერაცია ჩინეთიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის წინააღმდეგია

## შვეცია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

### ამხ. ლიტვინოვის განცხადება

**მოსკოვი,** 13 ოქტომბერი. ამ დღეებში შვეციასა და საბჭოთა კავშირს შორის შვეციაში ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ დადებულ ხელშეკრულების გამო, საქ. დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელმა მიმართა **ლიტვინოვს:**

„შვეცია,—განაცხადა ამხ. ლიტვინოვმა,—პირველი ქვეყანაა, რომელთანაც ჩვენ დავიწყეთ ვაჭრობა სათანადოთ დამტკიცებულ შეთანხმების მიხედვით. წინასწარ სავაჭრო შეთანხმებამ 1922 წლის 1 მარტში და საბოლოო შეთანხმებამ 1924 წლის 15 მარტის თარიღით მტკიცე იურიდიული საძირკველი ჩაუყარეს ჩვენს ეკონომიურ დამოკიდებულებას შვეციასთან. საბოლოოდ არ იყო გადაჭრილი მხოლოდ საკითხი ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობის სტატუტების შესახებ. ეხლა, როდესაც დებულებას იმ ორგანოს შესახებ, რომლის დანიშნულებაა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის დაცვა და გატარება ჩვენს ურთიერთობაში შვეციასთან, მიცემული აქვს საერთაშორისო უფლებრივი აქტის ხასიათი, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კიდევ უფრო განმტკიცდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიური კავშირი შვეციის ხალხთან".

### შვეცია-საბჭოთა შეთანხმების გამოძახილი

**სტოკჰოლმი,** 13 ოქტომბერი. შვეციის პრესა გაცხოველებით უკეთებს კომენტარიებს შვეცია-საბჭოთა შეთანხმებას. კონსერვატიული **„სტოკჰოლმს დაგბლადეტი"** სწერს:

„იმ მეგობრული ურთიერთობის გამო, რომელიც არსებობს ამ ორი ქვეყნის შორის, ორივე სახელმწიფოს ინტერესებისათვის სასარგებლოდ სასურველია გვქონდეს საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის მოქმედების გარკვეული და დაკანონებული ფორმები".

მთავრობის ოფიციოზი **„სვენსკა მორგენბლადეტი"** აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება სასარგებლოა შვეციისათვის და ხაზს უსვამს, რომ **„აქაური საბჭ. სავაჭრო დელეგაცია არასოდეს არ იყენებდა ბოროტად თავის მდგომარეობას".** გაზეთი ამავე დროს აქვეყნებს საუბარს შვეციის საექსპორტო პალატის თავმჯდომარის მოადგილესთან, რომელიც ხაზს უსვამს, **რომ სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების მომენტიდან მეტად დამაკმაყოფილებელ ხასიათს ატარებდა** და საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობა არასოდეს არ ეწეოდა პოლიტიკურ პროპაგანდას.

**ხელშეკრულება** შვეციის ინტერესების თვალსაზრისით მეტად სასარგებლოა **და ხელს შეუწყობს მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას ორივე ქვეყნის შორის.** (ადს)

## სპარსეთთან შეთანხმების შემდეგ

### სპარსეთის მცხოვრებთა ხმა

**თეირანი,** 13 ოქტომბერი. სპარსეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმების მიღწევის გამო მეშედში შესდგა ვაჭრების კრება, რომელმაც სპარსეთის მთავრობას გაუგზავნა სამადლობელი დეპეშა შეთანხმების დადებისათვის. ასეთივე დეპეშა გაუგზავნა სპარსეთის მთავრობას მეშედის ჟურნალისტების კავშირმაც. მეშედის ვაჭრები სპარსეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმების მიღწევის გამო აწყობენ ბანკეტს. (ადს)

### ბანკეტი

**ტაშკენტი,** 14 ოქტომბერი. რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის შუააზიის განყოფილებაში გაიმართა ბანკეტი საბჭოთა-სპარსეთის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის აღსანიშნავათ, ბანკეტს დაესწრენ: სპარსეთის გენერალური კონსული **აბას-ხანი-რაფატი,** ჩინეთის კონსული **ჩჟან-შა-ბო** და საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები. (ადს)

## ფრეიბერგერის განცხადება

**ბერლინი,** 13 ოქტომბერი. გერმანიის კომუნისტურ პარტიაში მიღებულ იქნა ფრეიბერგერი, რომელიც სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გარიცხა თავის რიგებიდან საბჭოთა კავშირში გაგზავნილ პირველ მუშათა დელეგაციაში მონაწილეობისათვის. ფრეიბერგერი გამოვიდა განცხადებით, რომელშიც აღნიშნავს, რომ **სოციალდემოკრატებმა გარიცხეს თავის პარტიიდან საბჭოთა კავშირში გაგზავნილ მუშათა დელეგაციების 18 მონაწილე.**

„ეს იმას ნიშნავს,—განაცხადა ფრეიბერგერმა,—რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში არ აჩერებენ საბჭოთა რუსეთის ყოველ პატიოსან მომხრეს და დამცველს. **გერმანიის სოც.-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს ნებადართული აქვთ დასწრება კაპიტალისტური ქვეყნების კონფერენციებზე, ხოლო როდესაც გერმანელი მუშა მიდის თავის კლასობრივ ამხანაგებთან საბჭოთა კავშირში, ამაში მას წინ ეღობება სოციალ-დემოკრატიული პარტიის დისციპლინა.** სოციალ-დემოკრატიული პრესა აქეზებს იმპერიალისტური ომის გამჩაღებლებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. კომუნისტური პარტიები არიან საბჭოთა კავშირის ერთად-ერთი პატიოსანი დამცველი".

ფრეიბერგმა იმედი გამოსთქვა, რომ მის მაგალითს მიჰბაძავენ ათასეული კლასობრივი ამხანაგები (ადს).

## ბალტიის სახელმწიფოთა კონფერენცია

**რიგა,** 13 ოქტომბერი. რიგაში ჩამოვიდა ესტონეთის და ლიტვის დელეგაცია. დელეგაცია მონაწილეობას იღებს იმ თათბირში, რომელიც ბალტიის სახელმწიფოთა ეკონომიური კონფერენციის მოსამზადებლად არის მოწვეული. შესდგა პირველი თათბირი, რომელზედაც გადაწყდა მოეწყოს ბალტიის ქვეყნების რეგულიარული ეკონომიური კონფერენციები და გაერთიანდეს ამ ქვეყნების გამოსვლები საერთაშორისო ეკონომიურ კონგრესებზე. ეკონომიური კონფერენციების ძირითადი მიზანი, მისი ინიციატორების აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ შეიქნას ბალტიის სახელმწიფოების მთლიანი სამეურნეო ფრონტი. (ადს)

## ოსმალეთ-სპარსეთის კონფლიქტი

### სპარსეთის მთავრობის ოფიციალური ცნობა

**თეირანი,** 13 ოქტომბერი. სპარსეთის მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა სპარსეთსა და ოსმალეთს შორის მომხდარ კონფლიქტის შესახებ. ცნობა შეიცავს საზღვარზე მომხდარ კონფლიქტების ისტორიას და მასში აღნიშნულია, რომ სპარსეთის მთავრობა არა ერთხელ აძლევდა ოსმალეთის მთავრობას წინადადებას ამ კონფლიქტების მოგვარების შესახებ. „სპარსეთის მთავრობამ — ნათქვამია ცნობაში—ამას წინად ოსმალეთის საზღვარზე გაგზავნა არმიის ერთ - ერთი უმაღლეს თანამდებობის პირი და დაავალა მას უშუალო კავშირი დაემყარებია ოსმალეთის სარდლობასთან იმ მიზნით, რათა აცილებული ყოფილიყო ბანდიტურ ელემენტების შეჭრა სპარსეთის ტერიტორიაზე.

ოსმალეთის მთავრობამ სპარსეთის მთავრობის ამ ნაბიჯზე პასუხი გასცა მხოლოდ მადლობის გამოცხადებით იმის გამო, რომ სპარსეთის მთავრობას სურს ხელი შეუწყოს ინციდენტების ლიკვიდაციას. 1-ლ ოქტომბერს ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელმა სპარსეთის მთავრობას გადასცა ნოტა, რომელიც იუწყებოდა, რომ ოსმალეთის რაზმებს ოსმალეთის ტერიტორიაზე თავს დაესხენ ქურთების ტომები. თავდამსხმელებმა, ნოტის ცნობით, ტყვედ ჩაიგდეს ხელში ბევრი ოსმალო ჯარისკაცები, და ოფიცრები, რომლებიც თითქოს წაიყვანეს სპარსეთის ტერიტორიაზე. ნოტა მოითხოვს, რომ ტყვეები 10 დღის ვადაში იქნენ განთავისუფლებული, რომ სპარსეთის მთავრობამ ბოდიში მოიხადოს ინცინდენტისათვის და გადაიხადოს ოსმალეთის მთავრობისათვის მიყენებული ზარალი. იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული არ იქნა ეს მოთხოვნილებები, ნოტა იმუქრება დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტით. ამ ნოტამ გაკვირვა სპარსეთის მთავრობა, ვინაიდან, მიღებული ცნობებით, ოსმალეთის რაზმს თავს დაესხენ ოსმალეთის ქურთები ოსმალეთის ტერიტორიაზე.

თავის პასუხში სპარსეთის მთავრობამ უარჰყო ის ბრალდებები, რომლებსაც შეიცავდა ნოტა, აღნიშნა, რომ მას არ შეუძლია პასუხი აგოს ოსმალეთის ტერიტორიაზე მომხდარ თავდასხმებისათვის და მოითხოვა თავდასხმის ყველა გარემოებათა გამოძიების მოხდენა. სპარსეთის მთავრობამ განაცხადა, რომ მას არ შეუძლია მიიღოს ულტიმატუმი. მაგრამ, ვინაიდან მას სურს ხელი შეუწყოს ინცინდენტის გამორკვევას, ის იძლევა წინადადებას, რომ შექმნილ იქნას შერეული კომისია ორივე მხარის წარმომადგენელთაგან ინცინდენტის გამოსაძიებლად. სპარსეთის მთავრობა გამოსთქვამს რწმენას, რომ ორივე სახელმწიფოს ინტერესები დასძლევს ოსმალეთის იმ ზოგიერთ მოღვაწეთა მოსაზრებებსა და მოქმედებებს, რომლებიც პასუხისმგებელი არ არიან ოსმალეთის საგარეო პოლიტიკისათვის. სპარსეთის მთავრობა აგრეთვე იმედოვნებს, რომ ოსმალეთის მთავრობა მხედველობაში მიიღებს იმ დაბრკოლებებს, რომლებიც შეიქმნება აღმოსავლეთში ოსმალეთ - სპარსეთის ურთიერთობის გამწვავების გამო, და, სპარსეთის მთავრობის მაგალითისამებრ, გამოიჩენს მშვიდობიანობის მოყვარეობას, რაც ხელს შეუწყობს ინცინდენტის მშვიდობიანად დაბოლოვებას". (ადს).

### ოსმალეთ - სპარსეთის მოლაპარაკება

**თეირანი,** 13 ოქტომბერი. სპარსეთის პრემიერ - მინისტრმა გაუგზავნა დეპეშა პარიზში მყოფ სპარსეთის ყოფ. სამხედრო მინისტრ ფოროუგის, რათა უკანასკნელი გაემგზავროს ანგორაში ოსმალეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. (ადს).

### აკრძალვა

**თეირანი,** 13 ოქტომბერი. სპარსეთის მინისტრთა საბჭომ დაავალა გარეშე საქმეთა სამინისტროს, რათა უკანასკნელმა თვალყური ადევნოს იმ კანონის შესრულებას,, რომელიც კრძალავს სპარსეთის ქვეშევრდომთა შესვლას მესოპოტამიაში. (ადს).

## ღია წერილი ჰამბურგის სოციალ-დემოკრატებს

**ბერლინი,** 13 ოქტომბერი. გერმანიის კომპარტიის ჰამბურგის საოლქო კომიტეტმა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჰამბურგის ორგანიზაციას და ჰამბურგის პროფესიონალურ კავშირებს მიმართა ღია წერილით, რომელშიაც აცხადებს, რომ ის მზადაა შეურიგდეს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის არსებობას და მოღვაწეობას ჰამბურგში, თუ ის განახორციელებს მუშათა კლასის უახლოეს მინიმალურ მოთხოვნილებებს. კომუნისტური პარტია ამასთანავე აფრთხილებს მუშათა კლასს ილიუზიებისაგან და აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სოციალ-დემოკრატიული მთავრობა არ გაატარებს მინიმალურ მოთხოვნილებებს და მუშათა კლასის ინტერესების საზიანოდ იმოქმედებს, მაშინ კომუნისტური პარტია სასტიკ ბრძოლას გამოუცხადებს მას (ადს).

## უცხოეთის მუშათა დელეგაციები

### ბულგარეთიდან

**ვენა,** 13 ოქტომბერი. **ბულგარეთის მუშათა დელეგაციის საბჭოთა კავშირში გამოგზავნის საკითხი სულ უფრო და უფრო აინტერესებს ბულგარეთის მუშათა ფართო წრეებს.** მუშათა გაზეთი **„ნოვინი" ყოველ ნომერში აქვეყნებს მუშათა და მუშა-ქალთა წერილებს, რომელნიც აღტაცებით ესალმებიან დელეგაციის გაგზავნის აზრს.** დოკის მუშები ვარნაში მოითხოვენ, რომ დელეგაციაში მონაწილეობა მიიღონ მაკედონიის, ფრაკიის და დობრუჯას ემიგრანტებმა. სოფიის მუშათა ჯგუფმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც მოითხოვს, რომ დამოუკიდებელ პროფკავშირთა საბჭო, გამგეობამ და მუშათა პარტიამ იკისრონ დელეგაციის გაგზავნის საქმის მოგვარება. (ადს)

### გერმანიიდან

**ბერლინი,** 13 ოქტომბერი. გერმანიის გლეხთა კავშირის ინიციატივით, **მემარცხენედ განწყობილ გლეხებში უკანასკნელ ხანებში ფართოდ განვითარდა მოძრაობა გლეხთა დელეგაციის გაგზავნისათვის საბჭოთა კავშირში ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულზე დასასწრებლად.**

გერმანიის გლეხთა კავშირი აგროვებს ფულს დელეგაციის გამგზავრებისათვის საჭირო ხარჯების დასაფარავად. უკვე შეგროვილი თანხა საკმარისია 14 კაცის გამოსაგზავნად.

ამ დელეგაციის გარდა განზრახულია მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო მუშათა დელეგაციის გამოგზავნა. (ადს)

## ამხ. იურენევი ავსტრიის პრეზიდენტთან

### რწმუნების სიგელების ჩაბარება

**ვენა,** 13 ოქტომბერი, 13 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ავსტრიაში ამხ. **იურენევმა** ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტს **გაინიშს** ჩააბარა რწმუნების სიგელები. სიგელების ჩაბარების დროს ამხ. **იურენევმა** წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გამოსთქვა იმედი, რომ ავსტრიასა და საბჭოთა კავშირს შორის განმტკიცდება ეკონომიური და კულტურული კავშირი და აგრეთვე ნორმალური მეგობრული დამოკიდებულება.

საპასუხო სიტყვაში **გაინიშმა** იურენევს აღუთქვა დახმარება მის მუშაობაში ამ მიმართულებით (ადს).

## დამოკიდებულება საფრანგეთთან

დღეს ჩვენ ვბეჭდავთ ამხ. ჩიჩერინის ნოტას, რომელიც გადაეცა საფრანგეთის ელჩს მოსკოვში ბ. ერბეტს, სადაც ფორმალურად დასასრული ეძლევა საკითხს ამხ. რაკოვსკის საფრანგეთში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის თანამდებობაზე დარჩენის შესახებ. ჩვენ ვლაპარაკობთ საკითხის ფორმალურად დასრულებაზე იმდენად, რამდენად ჩიჩერინის ნოტა იძლევა საბჭოთა კავშირის მთავრობის თანხმობას საფრანგეთის მთავრობის მოთხოვნის შესრულებაზე. როგორც ეს ხაზგასმით ორჯერაა აღნიშნული ნოტაში, საერთაშორისო პრაქტიკამ არ იცის შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ ელჩს შეეძლო დარჩენა რომელიმე ქვეყანაში, ამ ქვეყნის მთავრობის სურვილის წინააღმდეგ. სიტყვიერი მოლაპარაკების, აგრეთვე მთელი მიწერ-მოწერის, რომელსაც ადგილი ჰქონდა როგორც პარიზში, ისე მოსკოვში, დედა-აზრი ეხებოდა არა ფორმას, არამედ საკითხის შინაარსს, ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს და დღესაც ვაცხადებთ, რომ რაკოვსკის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება, რომელიც საფუძვლად დაედო ფორმალურ მოთხოვნას მის გაწვევის შესახებ, არსებითად უნიადაგოა და ასეთი ბრალდების წამოყენება მოწმობს, მხოლოდ იმას, რომ მისი საშუალებით განზრახულია იმ ფართო შეტევის დაფარვა, რომელსაც აწარმოებენ როგორც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ისე საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის მოწესრიგების შესაძლებლობის წინააღმდეგაც.

რას ნიშნავს რაკოვსკის გაწვევა? ჩიჩერინის ნოტა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „საფრანგეთ-საბჭოთა კონფერენციის მიღწევები უმთავრესად ჩიჩერინის ენერგიული მუშაობის შედეგია". ამ სიტყვებით, საბჭოთა კავშირის მთავრობა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა ელჩი ორი წლის განმავლობაში ანხორციელებდა მის დირექტივებს და დაუღალავად მუშაობდა საფრანგეთ-საბჭოთა დაახლოვებისათვის.

უარყოფს თუ არა საფრანგეთის მთავრობა ამ ფაქტს?

ჩვენ საჭიროდ ვსთვლით აღვნიშნოთ, რომ საფრანგეთის მთავრობას არც ერთ დოკუმენტში არ გაუბედავს საფრანგეთ საბჭოთა დაახლოვების საქმეში რაკოვსკის როლის უარყოფა. თუ კი საფრანგეთის მთავრობამ, მიუხედავად ამისა, მაინც სცნო შესაძლებლად მოეთხოვნა იმ ადამიანის გადაყენება, რომელსაც ამდენი მიუძღვის ორივე ქვეყნის დაახლოვების საქმეში, ასეთი ტაქტიკა ეჭვს გარეშეა, გამოიწვევს სერიოზულ საფრთხეს იმ საქმის მომავლისათვის რომლის გარშემოც მუშაობდა რაკოვსკი.

ჩვენმა პრესამ მთლიანად გამოააშკარავა უკვე მთელი ის შინაგანი მექანიკა, რომელმაც აიძულა საფრანგეთის მთავრობა წასულიყო ასეთ ნაბიჯზე.

საფრანგეთის მთავრობა დაემორჩილა ინგლისის მებრძოლ იმპერიალიზმს, რომელმაც საფრანგეთის რეაქციაში ჰპოვა თავისი მოკავშირე და დაადგა ისეთ გზას, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უმზადებს მშვიდობიანობის საქმეს.

ერბეტის წერილში არის ადგილები, რომლებიც წარმოადგენენ ერთგვარ ცდას გააცალკევოს რაკოვსკის საკითხი ორივე სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხისაგან, ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ისინი, ვინც მიზნათ ისახავენ რაკოვსკის გაწვევას და მიაღწევს კიდეც თავის მიზანს აყენებენ გაცილებით უფრო მეტ მოთხოვნებს, ვიდრე ერთი სრულუფლებიან წარმომადგენლის შეცვლა მეორეთი.

საფრანგეთის მთავრობა ამ საკითხში დაშვებულ დათმობით საერთოდ უთმობს იმ პირთა პროგრამას, რომლებიც ცდილობენ საფრანგეთ საბჭოთა დაახლოვების საქმის ჩაშლას. და მაშასადამე ცდილობენ მშვიდობიანობის საქმის ჩაშლასაც. უახლოესი მომავალი დაგვანახვებს შესძლებს თუ არა საფრანგეთის მთავრობა იმ პოზიციებზე შეჩერებას, რომელზედაც ის შესდგა რაკოვსკის გაწვევის მოთხოვნით.

საბჭოთა მთავრობა სისტემატიურად ატარებს ხაზს, რომელიც მიზნათ ისახავს საბჭოთა კავშირსა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებული უთანხმოებათა მშვიდობიან მოწესრიგებას და მომავალში შეეცდება იმ საქმის დაგვირგვინებას, რომელიც ასე ბრწყინვალედ ჰქონდა დაწყებული რაკოვსკის და რომელიც შეეხება ორივე ქვეყნის საარხებო ინტერესებს.

თუ კი საფრანგეთ საბჭოთა დაახლოვების გზაზე, რომელიც, ეჭვს გარეშეა, ევროპის მშვიდობიანობის ერთ-ერთ ქვა-კუთხედს წარმოადგენს, გაჩნდება სიძნელე და დაბრკოლება, პასუხისმგებლობა ამ დაბრკოლებისათვის დაეკისრება იმათ, ვინც თავის ანგარებითი ინტერესებისათვის ცდილობდა რაკოვსკის გაწვევას.

„იზვესტია", 14 ოქტომბერი.

## ბიკელი საბჭოთა კავშირის შესახებ

**ხარბინი,** 13 ოქტომბერი. „იუნაიტედ პრეს"-ის სააგენტოს დირექტორმა ბიკელმა ხარბინში გაჩერების დროს გაუზიარა ჟურნალისტებს თავისი შთაბეჭდილებები საბჭოთა კავშირის შესახებ.

„მოკლე ხანში — განაცხადა ბიკელმა — თქვენს ქვეყანას დიდი ნაბიჯი გადაუდგამს წინ. საბჭოთა კავშირის ქალაქები და მისი დედა - ქალაქი იზრდება. მრეწველობა სწრაფად ვითარდება".

შეეხო რა საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებას და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას, ბიკელმა განაცხადა:

„მე უდიდეს მნიშვნელობას ვაძლევ საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებას, ვინაიდან ამ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება გამოიწვევს ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას საბჭოთა კავშირსა და ბევრ სხვა სახელმწიფოებს შორის. მე შეუძლებლად მიმაჩნია ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ვინაიდან წარსული ომების გამოცდილებამ გამოარკვია, რომ იმას, ვინც შეიჭრება საბჭოთა კავშირის საზღვრებში, დამარცხება მოელის".

„მოსკოვში, — განაცხადა შემდეგ ბიკელმა, — მე განსაკუთრებით მაინტერესებდა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს მუშაობა. ის წარმოადგენს მძლავრ საინფორმაციო ორგანოს, რომელსაც მოეპოვება უაღრესად სრული ცნობები. მე ვფიქრობ, რომ საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოში საქმე სანიმუშოდაა დაყენებული" (ადს).

შენიშვნა: „იუნაიტედ პრეს" არის ამერიკის უდიდესი დეპეშათა სააგენტო, რომელიც აკავშირებს ათასზე მეტ გაზეთს და დიდი გავლენა აქვს შეერთებულ შტატების საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

## მდგომარეობა ჩინეთში

### ახალი ძალადობა საბჭოთა მოქალაქეებზე

**შანხაი,** 13 ოქტომბერი. შანხაიში ინგლისური გემით ჩამოვიდა საბჭოთა ხუთი მოქალაქე, რომელნიც ოთხ ოქტომბერს გაჩხრიკეს ამოიში; ამის შემდეგ ისინი ამოის საერთაშორისო კვარტალის პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან. როცა გემი მივიდა შანხაის ნავთსადგურში, გემის ბაქანზე ავიდა ჩინელი პოლიციელების და ჯაშუშების რაზმი 30 კაცის შემადგენლობით და 4 რუსი თეთრგვარდიელი, რომელნიც საფრანგეთის კონცესიის სამმართველოს სამსახურში იმყოფებიან. საბჭოთა ხუთი მოქალაქე, რომელთა შორის ერთი ქალია, გაჩხრიკეს ორდერის წარუდგენლად, რის შემდეგაც გამოაცხადეს დაპატიმრებულად და გაგზავნეს საფრანგეთის კონცესიის საპოლიციო სამმართველოში. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელს, რომელიც დაესწრო საბჭოთა მოქალაქეთა გაჩხრეკას და დაპატიმრებას, ნება არ დართეს გაჰყოლოდა დაპატიმრებულებს პოლიციის შენობამდე. გამორკვეული არ არის, თუ რა ბრალდებას უყენებენ დაპატიმრებულთ. ხმების მიხედვით, შანხაის ჩინური ხელისუფლება ცდილობს, რომ საფრანგეთის კონცესიის ხელისუფლების მიერ დაპატიმრებულნი გადაეცეს ჩინეთის პოლიციას.

### ამხ. სოროკინის დაპატიმრება

**შანხაი,** 13 ოქტომბერი. მიღებული ცნობების მიხედვით, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის (შანხაიში) თანამშრომელი ამხ. **სოროკინი,** რომელიც ტიან-ძინიდან გაემგზავრა, ჩინეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა გემზე ქალაქ ტაკუში. (ადს).

### უ-ჩჟაო-ჩუს ცოლის დაპატიმრება

**პეკინი,** 13 ოქტომბერი. ინგლისის რეაქციონური გაზეთი ტიან-ძინში **„პეკინ ენდ ტიან-ძინ ტაიმსი"** აქვეყნებს მოწინავე წერილს ნანკინის გარეშე საქმეთა მინისტრის უ-ჩჟაო-ჩუს ცოლის (იგი წარმოშობით ინგლისელია) დაპატიმრების გამო. გაზეთი აღშფოთებულია ამ ფაქტით და მოჰყავს ჩან-ძო-ლინის მიერ გამოქვეყნებული დეკრეტის შინაარსი, რომელიც შეეხება პიროვნების უფლებებს და რომელშიაც ნათქვამია, რომ არავინ არ შეიძლება იქნას დაპატიმრებული სასამართლოს ბრძანების გარეშე; ეს ბრძანება კი შეიძლება იქნას გამოცემული მხოლოდ საქმის გარჩევის შემდეგ. ამ დადგენილების დამრღვეველი სასტიკად დაისჯება. გაზეთი აცხადებს, რომ უ-ჩჟაო-ჩუს ცოლის დაპატიმრება არაფრით არ შეიძლება იქნას გამართლებული, ვინაიდან იგი არავითარ პოლიტიკურ საქმიანობას არ ეწეოდა. (ადს)

## პოლონელ ფაშისტების ორგანიზაციის დაშლა

### რისთვის დაშალეს

**ვარშავა,** 13 ოქტომბერი. აღმოსავლეთ გალიციის ტერიტორიაზე პოლიციამ დაშალა „დიდი პოლონეთის ბანაკი" (მემარჯვენე პარტიების გაერთიანება, ცნობილ მემარჯვენე მოღვაწე დმოვსკის მეთაურობით).

ორგანიზაციის დაშლა, როგორც აღნიშნავენ, გამოწვეულია „ბანაკის" მიერ გამოშვებული საიდუმლო მოწოდებით. რომელშიაც გამოთქმულია რწმენა, რომ გენერალი ზაგურსკი მოკლულია პილსუდსკის მომხრეების მიერ. (ადს).

### ამერიკის სესხი

**ვარშავა,** 13 ოქტომბერი. ამერიკულ ბანკების კონსორციუმთან დადებული წინასწარი ხელშეკრულება პოლონეთისათვის სესხის მიცემის შესახებ ხელმოწერილია. სტაბილიზაციის გეგმის შესახებ დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგ ხელშეკრულება საბოლოოდ იქნება ხელმოწერილი.

### „ნაშ პშეგლონდ" განგაშს სცემს

**ვარშავა,** 13 ოქტომბერი. პოლონეთის სეიმის კომუნისტური ფრაქციის ცნობით, მუშათა მემარცხენე ფრთის გაუქმებული სიისათვის ლოძში მიცემული ხმების რიცხვი აღწევს 58.000-ს. ამის გამო „ნაშ პშეგლონდი" სწერს:

**„ის გარემოება, რომ სამრეწველო ლოძში ყოველი მესამე მოქალაქე არის კოლექტივისტი, იმის მაჩვენებელია, რომ სერიოზულ საფრთხეშია ჩავარდნილი კაპიტალისტური წყობილების ურყეობა პოლონეთში.** მუნიციპალური არჩევნები ცხადჰყოფენ, რომ სეიმის მომავალ არჩევნებს სამწუხარო შედეგები მოჰყვება".

### დააპატიმრეს ლუცკევიჩი

**ვარშავა,** 13 ოქტომბერი. ვილნოში დააპატიმრეს ცნობილი ბელორუსი მოღვაწე ლუცკევიჩი. (ადს).

## ლიტვა-პოლონეთის დამოკიდებულება

**ლონდონი,** 13 ოქტომბერი. „დეილი ჰერალდი", უკეთებს რა კომენტარიებს პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობას, სწერს:

„ამ ახლო ხნის წინედ შესაძლოდ მიაჩნდა შეთანხმება პოლონეთსა და ლიტვას შორის. არა მარტო ინგლისი ან საფრანგეთი, არამედ იტალიაც სცდილობდა, რომ ხელი შეეწყოთ? შეთანხმების განხორციელებისათვის, როცა ლიტვის პრემიერი ვოლდემარასი ჩავიდა რომში, იმედი ჰქონდათ, რომ იტალიის დიპლომატიას მიზნად აქვს მიაღწიოს მეტ შედეგებს, ვიდრე ლონდონმა და პარიზმა მიაღწიეს. შეთანხმების გეგმაც კი იყო დასახული, რომელიც ითვალისწინებდა ვილენშჩინის გაყოფას ლიტვასა და პოლონეთს შორის იმგვარად, რომ ქალაქი ვილნო და პროვინციის ჩრდილოეთი ნაწილი შეერთებოდა ლიტვას, ხოლო გროდნო და სამხრეთი ნაწილი—პოლონეთს. მაგრამ ვარშავამ ეს კატეგორიულად უარჰყო. (ადს)

## ფაშისტების წინააღმდეგ

### კომინტერნის ალმასკომის მოწოდება

**მოსკოვი,** 14 ოქტომბერი. ლიტვაში ფაშისტური ტერორის გაძლიერების გამო, კომინტერნის ალმასკომმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიც ნათქვამია:

„ლიტვის ფაშისტური მთავრობა, რომელმაც გაანადგურა ტაუროგენის აჯანყებულნი, მხეცურად უსწორდება თავის მოწინააღმდეგეებს. მუშების, მშრომელ გლეხების და ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის გვამებზე ის სცდილობს თავისი ძლიერების განმტკიცებას. მთავრობამ დახვრიტა ათამდი კაცი, უფრო მეტს მიუსაჯა დიდი ხნის და სამუდამო კატორღა. მთელს ქვეყანაში მძვინვალიანი ფაშისტური რეჟიმი და თვითნებობა. კომინტერნი მოუწოდებს ყველა ქვეყნების მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას აღიმაღლონ ხმა ლიტველ ჯალათების წინააღმდეგ, რომლებიც დაუნდობლად უსწორდებიან ლიტვის მშრომელ ხალხს. **კომინტერნი მოუწოდებს ყველა მუშებს და მშრომელთ შექმნან ბრძოლის ერთიანი ფრონტი ლიტველ ჯალათების წინააღმდეგ. საჭიროა საპროტესტო მოძრაობის დაწყება, და მოთხოვნა, რომ ლიტვაში შესწყდეს თეთრი ტერორი, მოიხსნას სამხედრო მდგომარეობა, გაუქმდეს სამხედრო-საველე სასამართლოები და განთავისუფლებულ იქნან პოლიტპატიმარნი".** (ადს)

## ხელფასის შემცირება

### იტალიაში

**რომი,** 13 ოქტომბერი. ფაშისტური პარტიის გენერალური მდივანის და კორპორაციების (ფაშისტური ორგანიზაციები, შექმნილი პროფკავშირების ნაცვლად) მინისტრის ამხანაგის ხელის მოწერით **დაგზავნილ იქნა წესები სამუშაო ხელფასის შემცირების შესახებ.** ამ წესებში განმარტებულია, რომ სამუშაო ხელფასის მაქსიმალური შემცირების საზღვარი არის 20 პროც. (ადს))

## რეფორმისტების მორიგი ღალატი

**ნიუ-იორკი,** 13 ოქტომბერი. ამერიკის შრომის ფედერაციის ყრილობამ ლოს-ანჯელოსში უარჰყო რეზოლიუცია, რომელიც აკრიტიკებს შეერთებული შტატების პოლიტიკას ჩინეთში და ლათინთა ამერიკაში **რეზოლიუცია წინააღმდეგია იმისა, რომ ამერიკის ჯარები გაყვანილ იქნას ჩინეთიდან.** ყრილობამ მიიღო [illegible] რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს, რომ ამერიკის შრომის ფედერაცია არ ჩაერიოს საერთაშორისო საქმეებში. (ადს)

## რემედასის კონფერენცია

**პარიზი,** 13 ოქტომბერი. 13 ოქტომბერს დაიხურა რემედასის საფრანგეთის სესიის კონფერენცია.

## მოხეტიალე თეთრგვარდიელები

[illegible], 13 ოქტომბერი. „გუვუდ სტადსბლადეტ" იუწყება, რომ ფინეთიდან გაძევებული თეთრგვარდიელი ემიგრანტები **ლარიანოვი** და **მონამახოვი** ამაოდ ცდილობდენ საფრანგეთში შესვლის ვიზის მიღებას. ვინაიდან ფინეთიდან გასამგზავრებლად მათთვის მიცემული ორი კვირის ვადა გავიდა, [illegible] ბრძანებით ორივე დააპატიმრა სისხლის სამართლის პოლიციამ. (ადს).

## კაპაბლანკა—ალიოხინი

**ბუენოს-აირესი,** 13 ოქტომბერი. კაპაბლანკა-ალიოხინის მე-13 პარტია მე-37 სვლის შემდეგ უშედეგოთ დამთავრდა (ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული

## უკანასკნელი ცნობები

### შეთანხმება იუნკერსის ფირმასთან

**თეირანი,** 13 ოქტომბერი. იუნკერსის ფირმამ გამოაქვეყნა გაზეთებში ცნობა, რომ ამ ფირმასა და „უკრვოზდუხპუტ"-ს შორის დადებულია შეთანხმება ბაქოსა და ფეხლევს შორის საჰაერო ხაზის მოწყობის შესახებ (ადს).

### როზა ლიუქსემბურგის მკვლელი განთავისუფლებულია

**ბერლინი,** 13 ოქტომბერი. სასამართლოს დადგენილებით შეწყვეტილია კვლევა-ძიება ლეიტენანტ კრუგლის საქმეზე. კრუგლს ბრალდებოდა როზა ლიუქსემბურგის მოკვლა (ადს).

### არჩევნების „თავისუფლება" პოლონეთში

**ვარშავა,** 13 ოქტომბერი. მემარცხენე მუშათა (ლევიცა) სიები მუნიციპალურ არჩევნებში ჩენსტოხოვში გაუქმებულ იქნა (ადს).

### პოლონეთის სესხი შეერთებულ შტატებში

**ვარშავა,** 14 ოქტომბერი. გუშინ საბოლოოთ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც დაიდვა პოლონეთის მთავრობასა და ამერიკის ბანკების კონსორციუმს შორის პოლონეთისათვის 100 მილ. დოლარის სესხის მიცემის შესახებ

### საკ. პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს პლენუმი

**მოსკოვი,** 14 ოქტომბერი. საკ. პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს პლენუმმა მოისმინა რეზოლიუციები დღის წესრიგის ყველა საკითხების შესახებ. რეზოლიუციების მიღების შემდეგ პლენუმი დაიხურა (ადს).

### მუდმივი ციხე

**ნიუ-იორკი,** 13 ოქტომბერი. მაჩიგანის შტატის უზენაესმა სასამართლომ 29 წლის კაცს მუდმივი ციხე მიუსაჯა იმის გამო, რომ მას უნახეს ერთი ბოთლი სპირტი (ადს).

### გერმანელი მონარქისტების ყრილობა

**ბერლინი,** 13 ოქტომბერი. 10 ოქტომბერს მაინის ფრანკფურტში გაიხსნა გერმანელ კონსერვატორთა ყრილობა. ყრილობამ მისალმების დეპეშა გაუგზავნა ვილჰელმს და მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც იგი გმობს არსებულ რესპუბლიკანურ წყობილებას და აცხადებს, რომ იგი მონარქიის ერთგულია (ადს).

### სლავიანსკაიას კონცერტი პეკინში

**პეკინი,** 13 ოქტომბერი. პეკინში გაიმართა მოსკოვიდან ჩამოსული აგრენევა სლავიანსკაიას გუნდის ორი კონცერტი. კონცერტმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია (ადს).

### „ფოსიშე ცეიტუნგი" ამხ. რაკოვსკის გამოწვევის შესახებ

**ბერლინი,** 13 ოქტომბერი. „ფოსიშე ცეიტუნგის" აზრით, საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება რაკოვსკის გამოწვევის შესახებ მოწმობს მისწრაფებას გონიერი დათმობის პოლიტიკისაკენ, რომელიც მოსკოვის მთელი საგარეო პოლიტიკის დამახასიათებელი იყო უკანასკნელი თვეების განმავლობაში.

„ანტირუსული კამპანიის ხელმძღვანელებს პარიზში,—სწერს გაზეთი,—გაუძნელდებათ ახალი საბუთების გამონახვა საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების წინააღმდეგ" (ადს).

## რუმინეთის პოლიცია

**ვენა,** 13 ოქტომბერი. მუშურ-გლეხური ბლოკის ბელადები რუმინეთში **მიხაილეანი და დორბანი,** რომელნიც დაპატიმრებული იყვნენ საარჩევნო მოწოდებათა გავრცელებისათვის, განთავისუფლებულ იქნენ 18 დღის შიმშილობის შემდეგ. განთავისუფლების წინ პოლიციის უფროსმა გააფრთხილა, რომ მათ ისევ მალე დააპატიმრებენ, ვინაიდან მზადდება კომუნისტების ახალი პროცესი. (ადს)

## ტრანსატლანტიური გადაფრენა

**პარიზი,** 13 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ შეუმოწმებელი ცნობებით, თვითმფრინავი „ამერიკენ გერლი", რომელიც ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებიდან გავიდა ტრანსატლანტის გადაფრენაზე, იძულებული გახდა დაშვებულიყო ზღვაში ჰოლანდიურ გემ „ბარენდრეჰტი"-ს მახლობლად. მფრინავები გემზე აიყვანეს.

## სესხი ავსტრიას

**ვენა,** 13 ოქტომბერი. ავსტრიის მთავრობის ოფიციალური ცნობით, ერთა ლიგის კომისიამ დაადასტურა პროექტი, რომლის მიხედვით ავსტრიას მიეცემა ახალი სესხი 725 მილ. შილინგის რაოდენობით. სესხი უნდა მოხმარდეს რკინის გზების ელექტროფიკაციას, ახალი გზების გაყვანას და სასოფლო მეურნეობის განვითარებას. საბოლოო გადაწყვეტილება სესხის საკითხის შესახებ დამოკიდებულია სარეპარაციო კომისიისაგან. (ადს).

## იტალიური გაფიცვა

**ლონდონი,** 13 ოქტომბერი. ხარაგპურის (ინდოეთშია) რკინის გზის სახელოსნოში გაფიცვა ოფიციალურად შეწყდა. მიუხედავათ ამისა, 12.000 მუშიდან, რომელიც სახელოსნოში გამოცხადდა, 8.000-მა მუშამ დაიწყო იტალიური გაფიცვის ჩატარება. ადმინისტრაციის სიტყვით, მუშებს სურვილი აქვთ მიაღწიონ 3.000 დათხოვნილი ამხანაგების უკანვე მიღებას სახელოსნოში. ამის გამო ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ შემდეგ დათმობაზე ის არ წავა. (ადს).

## კომუნისტების დევნა

**პარიზი,** 13 ოქტომბერი. სასამართლომ 6 თვით ციხე და 300 ფრანკის ჯარიმა მიუსაჯა კომუნისტ დეპუტატს გაზეთ „ახალწვეულის" რედაქტორის კლამამიუსს, რომელსაც ბრალი დასდევს ანარქიულ პროპაგანდაში და აგიტაციაში სამხედრო მოსამსახურეთა შორის. რომ უკანასკნელნი არ დაემორჩილონ თავის უფროსებს. ბრალდებას საფუძვლად დაედვა „ახალწვეულში" დაბეჭდილი წერილები, რომლებიც ჯარისკაცებს მოუწოდებდენ მუშებთან დაძმობილებისაკენ. (ადს).

## საბჭოთა კავშირში

### რუსეთი

### პურის დამზადება

**მოსკოვი,** 13 ოქტომბერი. კამპანიის დაწყებიდან 5 ოქტომბრამდე დამზადებულია 2.950.197 ტონა პური. წარსულ წელს ამავე ხნის განმავლობაში დამზადდა 2.740.513 ტონა. (ადს).

### იაპონიის პროლეტარული მწერალი მოსკოვში

**მოსკოვი,** 13 ოქტომბერი. მოსკოვში ჩამოვიდა იაპონიის ცნობილი პროლეტარული მწერალი უძიკუ აკიტა, რომელიც იაპონია - საბჭოთა დაახლოვების საზოგადოების ერთ - ერთი ორგანიზატორია. აკიტა საბჭოთა კავშირში ერთ წლამდე დარჩება. (ადს).

### ცაკის წევრები ლენინგრადში

**ლენინგრადი,** 14 ოქტომბერი. ჩამოვიდა ცაკის 60 წევრი. სადგურები მორთულია პლაკატებით და ექვს ენაზე დაწერილ მისალმებებით. [illegible] საერთო საცხოვრებელ სახლში სდგას ბუდიონის ცხენოსანთა დივიზიის საპატიო ყარაული. (ადს).

### პარიზი-ნიჟნი-ნოვგოროდი

**ნიჟნი-ნოვგოროდი,** 14 ოქტომბერი. 14 ოქტომბერს, დილით, ნიჟნი-ნოვგოროდში ელიან ფრანგ მფრინავ კორის, რომელიც პარიზიდან გამოფრინდა ავიეტკით. მთელი გადაფრენა პარიზ ნიჟნი-ნოვგოროდის შორის შეუჩერებლივ უნდა ჩატარდეს. (ადს).

### მადელანო სარატოვში

**სარატოვი,** 14 ოქტომბერი. გუშინ სარატოვის ნავთსადგურზე ჰიდროპლანით დაეშვა იტალიელი მფრინავი მადელანო და მგზავრი დელ პრეტტე. ჰიდროპლანს შეეგებნენ თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. (ადს).

### ბიძგები ისევ გრძელდება

**სიმფეროპოლი,** 14 ოქტომბერი. ალუშტაში 12-13 ოქტომბერს აღინიშნეს 6 ბიძგი. 12 ოქტომბერს ღამით ერთ და იმავე დროს აღინიშნეს 2 ბიძგი. (ადს).

## საიმპორტო საქონელი

### აზერბეიჯანის სამრეწველო კოოპერაციისათვის

**მოსკოვი,** 14 ოქტომბერი. საკავშირო ს. მ. უ. საბჭომ დააწესა საიმპორტო საქონლის რაოდენობა აზერბეიჯანის სამრეწველო კოოპერაციისათვის 52.000 მან. რაოდენობით. საიმპორტო მოწყობილება, რომელიც დასჭირდება აზერბ. სამრეწველო კოოპერაციას 1927—28 წელში, დამტკიცებულია 23.000 მან. რაოდენობით. აზერბეიჯანის შინამრეწველობის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს წინაშე აზერბეიჯანის სამრეწველო კოოპერაციისათვის დაწესებულ საიმპორტო საქონლის რაოდენობის გადიდების შესახებ. (ადს)

## ხუთი სასახლე ბაქოს მემაღაროეთათვის

**მოსკოვი,** 14 ოქტომბერი. მაღაროს მუშათა კავშირის ცეკამ მიმართა საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს წერილით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ბაქოში არსებული კლუბები ვერ აკმაყოფილებს მაღაროს მუშათა მოთხოვნილებებს. ეს კლუბები იტევს მემაღაროეთა მხოლოდ 9—10 პროცენტს. ამიტომ მემაღაროეთა ცეკა აზერბეიჯანის მემაღაროეთა კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან ერთად იწყებს ბაქოში ხუთ დიდ კლუბსასახლის აგებას, რომელთა საორიენტაციო ღირებულება განისაზღვრება 2.700.000 —2.800.000 მანეთით. მემაღაროეთა ცეკა სთხოვს „გლავგორტოპს" 1.700.000 მანეთის გადადებას ამ კლუბების ასაგებად. (ადს)

## ნახშირის ახალი მარაგი

**ტულა,** 14 ოქტომბერი. მოსკოვის ახლო საქვანახშირო რაიონის გამოკვლევის დროს აღმოჩენილია ნახშირის დიდძალი მარაგი. ობოლენსკის მახლობლად აღმოჩენილია — 16 ნახ. მილ ტონა ნახშირის მარაგი, სადგურ ლოზანსკის მახლობლად აღმოჩენილია ქვანახშირის საბუდოები, რომელსაც უჭირავს 4 კილომეტრის სიგრძესიგანის მოედანი, კაზანოვკაში აღმოჩენილია 8.300.000 ტონა ნახშირი. პობედინის რაიონში მაღარო № 39-ის მახლობლად აღმოჩენილია 66 მილიონი ტონა ნახშირი.

აღნიშნულ საბუდოების საექსპლოატაციოთ „მოსკვუგოლმა" გადასდო მნიშვნელოვანი თანხები. (ადს).

## „სოციალისტური მშენებლობისათვის ხელისშემწყობი მეცნიერების მუშაკთა საზოგადოება"

**მოსკოვი,** 14 ოქტომბერი. საბჭოთა ცნობილ მეცნიერების და სხვადასხვა დარგების სპეციალისტების ინიციატივით არსდება „სოციალისტური მშენებლობისათ. ხელისშემწყობი მეცნიერების და ტეხნიკის მუშაკთა საზოგადოება". საზოგადოების წესდებას ამჟამად იხილავენ მთავრობის სხვადასხვა ორგანოები. საინიციატივო ჯგუფმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, სადაც ნათქვამია: „სრულდება ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავი, იმ რევოლიუციისა, რომელმაც შესცვალა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური პირობები. მეცნიერების და ტეხნიკის მოღვაწეთა უმრავლესობა მტრულად შეხვდა ოქტომბრის რევოლიუციას. მაგრამ რევოლიუციის განვითარების პროცესში სხვადასხვა დაწესებულებაში მუშაობის დროს მეცნიერთა და ტეხნიკოსთა ერთმა ნაწილმა მიიღო მონაწილეობა საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად ბრძოლაში ქვეყნის აღორძინებისა და ეკონომიურ-კულტურული გარდაქმნისათვის, შეითვისა საბჭოთა მშენებლობის იდეები და პრინციპები და დარწმუნდა სოციალიზმის გამარჯვებაში. ორ მოწინააღმდეგე კლასის, ორი მოწინააღმდეგე მსოფლმხედველობას შორის გაჩაღებულ მსოფლიო ბრძოლის პირობებში, საბჭოთა კავშირის მეცნიერების და ტეხნიკის მუშაკები მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა თავის პოზიციების გამორკვევა. ვღებულობთ რა მონაწილეობას სოციალიზმის ყოველდღიურ პრაქტიკულ მშენებლობაში, ვიზიარებთ რა საბჭოთა ხელისუფლების პრინციპებს და თანაუგრძნობთ რა მის ყველა წამოწყებათ, ჩვენ ქვემო ხელის მომწერნი მივედით იმ დასკვნამდე, რომ დღევანდელ მომენტში საჭიროა სამეცნიერო ტეხნიკური ძალების გაერთიანება განსაზღვრულ იდეურ ნიადაგზე. საბჭოთა კავშირის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების მშენებლობის დღევანდელ პირობებში, ასეთი გაერთიანება წარმოადგენს აუცილებელ პირობას სოციალისტური მშენებლობის განსავითარებლად. ეს გაერთიანება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს სწორედ დღეს, საერთაშორისო რეაქციის გაძლიერების გამო, რეაქციის რომელიც მიზნათ ისახავს ხელი შეუშალოს საბჭოთა კავშირის ზრდას და მისი მეურნეობის გაძლიერებას. აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად, ჩვენ გადავსწყვიტეთ „სოციალისტურ მშენებლობისათვის ხელშემწყობი მეცნიერების და ტეხნიკის მუშაკთა საზოგადოების" დაარსება. ძირითად ხელმძღვანელ იდეას, რომელიც გვაერთიანებს ჩვენ, წარმოადგენს იმის შეგნება, რომ კლასობრივ საზოგადოებაში სამეცნიერო-ტეხნიკურ მოღვაწეთ არ შეუძლიათ პოლიტიკურ ნეიტრალობის შენარჩუნება. ამიტომ საზოგადოების მთავარ ამოცანას შეადგენს ქვეყნის ყველა სოციალისტურად მოაზროვნე სამეცნიერო-ტეხნიკური მოღვაწეების გაერთიანება. ჩვენ მოვუწოდებთ საბჭოთა კავშირის ყველა იმ სამეცნიერო-ტეხნიკურ მოღვაწეთ, რომლებიც იზიარებენ ჩვენს შეხედულებებს შემოგვიერთდნენ ჩვენ"

დეკლარაციას ხელს აწერენ პროფესორები: **აბრიკოსოვი, ალექსანდროვი, ბაი, ბარიკინი, გეირმანოვიჩი, განალეი, კოლცოვი, კადამოკი, კურნაკოვი** და სხვ. (ადს).

## პროფინტერნის მეოთხე კონგრესი

**მოსკოვი,** 13 ოქტომბერი. პროფინტერნის აღმასბიურომ პროფინტერნში შემავალ ყველა ორგანიზაციებს აცნობა, რომ პროფინტერნის მე-4 კონგრესი დანიშნულია 1928 წ. 15 მარტისათვის მოსკოვში. (ადს).

## სუ-ძინ-ლინი

### ჩინეთის რევოლიუციის უკანასკნელ ამბებზე

გუშინ ბორჯომში დაბრუნების წინ ჩვენი გაზეთის თანამშრომელი მიიღო ამხ. **სუ-ძინ-ლინმა.**

ვრცელ საუბრის დროს, რომელიც შეეხებოდა ჩინეთის რევოლიუციის უკანასკნელ ამბებს და ჩინეთის მუშებისა და გლეხების რევოლიუციონური ბრძოლის უახლოეს პერსპექტივებს, ამხ. სუ-ძინ-ლინმა განაცხადა შემდეგი:

უკანასკნელ წლებსა და, განსაკუთრებით, უკანასკნელ თვეებში მომხდარი ამბები ჩინეთში არაფრის გზით არ შეიძლება განვიხილოთ და შევაფასოთ მარტო სამხედრო თვალსაზრისით. ის, ვინც ცდილობს ანალიზი გაუკეთოს ჩინეთის ამბებს ომის ასპარეზიდან მიღებული ცნობების მიხედვით, ვერასოდეს ვერ გაიგებს ჩინეთის რევოლიუციის განვითარების ფაზების ნამდვილ შინაარსს.

მე ვლაპარაკობ ჩინეთის რევოლიუციის განვითარების ფაზისებზე, რადგან ამით მე მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ მიუხედავად უკანასკნელ ხანებში მომხდარ ამბებისა, ჩინეთის რევოლიუცია არ მომკვდარა, იგი სცოცხლობს, რომ მან ფეხი შესდგა თავის განვითარების განსაზღვრულ პერიოდში, რომელიც თავისებურად ლოღიკურია და რომელსაც აქვს გარკვეული ტენდენცია.

ჩინეთის რევოლიუციის წინასწარი ძირითადი პირობა, ჩინეთის რევოლიუციის ძირითადი ბაზა, მისი განვითარების ყველა ფაზისებში იყო, არის და იქნება ის მთავარი მომენტი, რომ ჩინეთის მშრომელ მასებს შეგნებული აქვთ თავისი ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის წარმოების აუცილებლობა.

რამოდენიმე ხნის წინათ ჩვენ განვიცადეთ მომენტს (მე ვიცი, რომ ჩვენთან ერთად თქვენც განიცადეთ მას) როცა გვეგონა, რომ ჩინეთის რევოლიუცია დაიღუპა და დადგა შავბნელი რეაქციის ხანგრძლივი დრო.

ეს მომენტი დაიწყო მაშინ, როცა ხელისუფლების სათავეში თითქოს გომინდანელები იდგნენ, მაგრამ მათ გასცეს რა სამარცხვინოდ რევოლიუცია, ჩაიდინეს კიდევ ერთი საზიზღარი დანაშაული ჩინეთის ხალხის წინაშე და ამის შემდეგ კიდევ განაგრძობენ გომინდანელების სახელის ტარებას. სუნ-იატ-სენის დიად პრინციპებიდან ამ სახელწოდების გარდა მათ სხვა არაფერი არ შერჩენიათ. და ეს კარგათ შეიგნეს ყველა რევოლიუციონურად განწყობილმა ელემენტებმა, რომელთაც მაშინვე შეაქციეს ზურგი ჩინეთის ხალხის გამყიდველებს. გომინდანის სახელწოდების ტარების უფლება დაჰკარგეს ჩინეთის რევოლიუციის ჯალათებმა. ამ სახელის ღირსია მხოლოდ გომინდანელების მემარცხენე ფრთა. რომლის საქმეს არ წარმოადგენს კომუნისტების დასჯა-წამება; რომელიც საქვეყნოდ,—ყველას გასაგონად აცხადებს: მე ვარ სუნ-იატ-სენის მცნებათა დამცველი. მე ვარ მომხრე კომუნისტებთან თანამშრომლობისა.

უკანასკნელი პერიოდის ყველაზე უფრო დამახასიათებელი მომენტებია: რევოლიუციონური ჯარების ბრძოლა, პოლიტიკური საბჭოს დაარსება უხანში (ტან-შენ-ჩის, ვან-ცზინის და გუ-მინ-იუსგან) და ანტი-ნანკინური დეკლარაცია.

რაც შეეხება პირველ მომენტს—ჩინეთის რევოლიუციონურ ჯარების ბრძოლას, უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი ცნობები ვერ არის სანუგეშო. ისინი გვაუწყებენ, რომ ერთმა ყველაზე უფრო კომპაქტურმა ნაწილთაგანმა, რასაკვირველია, შედარებით კომპაქტურმა ნაწილმა, ამ ცოტა ხნის წინად სვატოუსთან განიცადა დამარცხება.

რა ნიშნავს ეს?

ეს ფაქტი, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ ჩინეთის რევოლიუციის, ჩინეთის მუშების და გლეხების იმედი—ხო-ლუნის ჯარები—ადვილია პირისაგან მიწისა. საქმე ხო-ლუნში არ არის.

სრულიადაც არა. ხო-ლუნის ჯარებიდან გადარჩენილი და სოფლებში დაფანტული ჯარის ნაწილები—გლეხები ასე ადვილად იარაღს არ დაყრიან და სხვა მრავალ ათას და ასი ათას გლეხკაცობასთან ერთად ისევ გააგრძელებენ ბრძოლას რევოლიუციისათვის, რადგან ჩინეთის ამბების ობიექტიური შეფასება ლაპარაკობს იმის სასარგებლოდ, რომ გენერლები და მათნი ამყოლნი, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ემწყვდევიან ჩიხში, რომლის გარშემო თავს იყრის და ძლიერდება ჩინეთის რევოლიუციონური ძალები. უხანის და ნანკინის პოლიტიკოსები გადაეკიდენ ერთმანეთს და დავა მათ შორის გაგრძელდება მომავალშიაც, რადგან მათ არ გააჩნიათ ისეთი საერთო რამ, რომელსაც შეეძლოს მათი შეკავშირება.

ასეთია ხვედრი ყველა მემარჯვენე ძალებისა, რომელნიც ამჟამად ჩინეთში იბრძვიან. ჩინეთის გაერთიანება, ძალების კონსოლიდაცია იმპერიალიზმის წინააღმდეგ შეიძლება მხოლოდ იდეების ერთიანობის, იდეური თანხმობის დროს ჩვენ კი ვიცით, თუ რა იდეებს ასაზრდოებენ ამჟამად გუშინდელი გომინდანელები. დღეს კი ჩინეთის რევოლიუციის ნამდვილი ჯალათები, მე, რასაკვირველია, მეტად ვსთვლი ვილაპარაკო სუნ-ჩუან-ფანის, ჩან-ფა-გუის და სხვა ჯგუფებზე. ყველა ესენი უკვე აწარმოებენ გარკვეულ მილიტარისტულ პოლიტიკას. მათ, რასაკვირველია, უკვე აღარ აინტერესებთ ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ და მხოლოდ-ღა იმას სცდილობენ, რომ უკანასკნელი სისხლი ამოსწოვონ ჩინეთის ხალხს.

მაგრამ ეს არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, რადგან მათ საქმე აქვთ არა ყურმოჭრილ მონურ მასებთან, არამედ ხალხთან, რომელსაც შეგნებული აქვს როგორ და რისთვის იბრძოლოს.

ბრძოლის ველიდან მოსული ცნობები მოწმობენ, რომ ჩინეთის რეაქციის ყველა ძალებმა თავი მოიყარეს ისეთ ადგილას, საიდანაც თითქოს ადვილია ჩინეთის რევოლიუციისათვის ყელში ხელის ჩაჭიდება.

მაგრამ მე ვიმეორებ, რომ ის, ვინც ჩინეთის რევოლიუციის ამბების განხილვას მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით შეუდგება, ვერაფერს გაიგებს. უკანასკნელმა ფაქტმა—ნანკინის დეკლარაციამ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პოლიტიკურ საქმესთან დარჩენილ გამყიდველებს ერთმანეთს შორის არა აქვთ არავითარი საერთო, რომელიც მათ მჭიდროდ აკავშირებდეს.

მილიტარისტული პოლიტიკა, რომლის წარმოებაც მხოლოდ-ღა შეუძლიათ ჩინეთის დღევანდელ მმართველებს, აუცილებლად მოიტანს ერთ შედეგს—ჩინეთის რევოლიუციის ძალების კონსოლიდაციას, მის გამარჯვებას მოწინააღმდეგეზე.

ჩვენ—მემარცხენე გომინდენელებს კომუნისტებთან ერთად გვჯერა და ერთი წუთითაც ეჭვი არ გვეპარება, რომ სუნ-იატ-სენის პრინციპები გაიმარჯვებენ, რომ საბოლოოდ ჩინეთის რევოლიუცია გამარჯვებას იდღესასწაულებს.

## მუშა და გლეხ-ქალთა ყრილობა

### ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენება

**მოსკოვი,** 14 ოქტომბერი. მუშა და გლეხქალთა ყრილობის 14 ოქტომბრის დილის სხდომაზე მოხსენებით სახალხო განათლების შესახებ გამოვიდა ამხ. **ლუნაჩარსკი.**

„როგორც კი დასრულდა სამოქალაქო ომი და თავი დავაღწიეთ შიმშილს—სთქვა ამხ. ლუნაჩარსკიმ—ჩვენ ენერგიულად მოვკიდეთ ხელი სახალხო განათლების საქმეს და დღეს დიდი მიღწევებიც გვაქვს ამ დარგში. საერთო განვითარებამ, იმასთან შედარებით, რაც იყო ომამდე, საგრძნობლათ წაიწია წინ. დღეს საბჭოთა კავშირში წერა-კითხვის უცოდინარი მამაკაცები შეადგენენ მამაკაცთა საერთო რიცხვის 18 პროცენტს, ქალები—53 პროცენტს.

მართალია, დღეს ქალები ენერგიულად მეცადინეობენ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტებში, მაგრამ განსხვავება მამაკაცებსა და ქალებს შორის მაინც დიდია. აქ ბევრია დამოკიდებული თვით ქალებზე. ქალი თავისი ინიციატივით უნდა ცდილობდეს უცოდინარობის მოსპობას ქალთა მასებში".

შემდეგ ამხ. ლუნაჩარსკიმ მოიყვანა ციფრები, რომლებიც ცხადყოფენ ხარჯთაღრიცხვის თანდათანობით ზრდას სახალხო განათლების დარგში. 1923 წელს სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტით სახალხო განათლების საჭიროებისათვის გადადებული იყო 276 მილ. მანეთი. 1926-27 წელს კი ამავე მიზნით მთელ საბჭოთა კავშირში დახარჯული იყო 652 მილ. მანეთი. რაც ომის წინა დროის კვალობაზე შეადგენს 396 მილ. მანეთს. 1914—15 წელს ახლანდელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებობდა 104.000 დაწყებითი სასწავლებელი 7.230.000 მოწაფით, მიმდინარე წელს კი არსებობს 108.000 სასწავლებელი 10 მილ. მოწაფით. სკოლებში ჩაბმულია საშუალოთ ბავშების 60 პროცენტი, ზოგიერთ ადგილებში კი 75 პროცენტიც. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საყოველთაო სწავლას ჩვენ განვახორციელებთ დაახლოვებით 1932-33 წელს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სახალხო განვითარების საქმის მდგომარეობა ჩამორჩენილ ნაციონალურ რესპუბლიკებში. უკანასკნელ წლების განმავლობაში მეტად გაიზარდა ტეხნიკუმების რიცხვი, რომლებიც ამზადებენ საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებს. მუშფაკები, სადაც მეცადინეობს 45.000 მუშა და გლეხი, ყოველწლიურად უშვებს 15.000 კარგად მომზადებულ კაცს.

დასასრულ ამხ. ლუნაჩარსკიმ დაწვრილებით გააშუქა წერა კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველად წარმოებული მუშაობა, აგრეთვე ქოხ-სამკითხველოების, კლუბების და პოლიტგანმანათლ. დაწესებულებების მუშაობა

### ამხ. კრუპსკაიას მოხსენება

მოხსენებით საბჭოს წევრ გლეხ-ქალის დახმარების შესახებ სახალხო განათლების განვითარების საქმეში გამოვიდა ამხ. **კრუპსკაია.**

„ლენინმა სთქვა—განაცხადა მან—რომ ჩვენ ბევრ კარგ დეკრეტებს ვსწერთ, მაგრამ ამ დეკრეტებს ხშირად არ ასრულებენ. საბჭოების საუკეთესო დახმარების გაწევა შეუძლია ცენტრალურ მთავრობისათვის დეკრეტების განხორციელების საქმეში. სოფლის საბჭოებს, რომლებმაც თავის გარშემო თავი მოუყარეს სოფლის მოსახლეობის მასებს, ბევრის გაკეთება შეუძლიათ ამ დარგში. სოფლის საბჭოს პირველ საფეხურის სკოლების მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეშიც შეუძლია თავისი ინიციატივის გამოჩენა. სოფლის საბჭომ უნდა ადევნოს თვალყური იმას, მართლა იზრდებიან ბავშვები ამხანაგური სოლიდარობის და საზოგადოებრივობის იდეების თანახმად თუ არა. საკითხი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, თუ როგორ უნდა გაჩაღდეს აღნიშნული მუშაობა. მთელი მუშაობის ჩატარება არ შეუძლია მარტო საბჭოს წევრ გლეხ ქალს. ამ საქმეში მას უნდა დაეხმარონ სხვა ორგანიზაციებზე—კომკავშირზე, „ბავშვის მეგობრის", წერკუმსის და სხვა საზოგადოებებზე მიმაგრებულები, ქალმა, რომელიც საბჭოში მუშაობს, თავი უნდა მოუყაროს ყველა იმათ, ვინც დაინტერესებულია სახალხო განათლების განვითარებით. შემდეგ საჭიროა სხვადასხვა ორგანიზაციების მუშაობის შეთანხმება ამ დარგში".

საბჭოს წევრ მუშა და გლეხ ქალთა შორის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. **ნურინა.**

## საკავშირო ცაკის სესიის წინ

**ლენინგრადი,** 14 ოქტომბერი. ჩამოვიდნენ ცაკის წევრები—კარელიის, ყირიმის, ჩრდილოკავკასიის, ციმბირის, აზერბეიჯანის, თურქესტანის, ბურიატ-მონღოლეთის რესპუბლიკის, სომხეთის, ყარაჩაევის რესპუბლიკის, აჭარისტანის წარმომადგენლები. დღეს დაიწყო ცაკის წევრების ექსკურსიები. წევრთა დიდი ნაწილი მიემგზავრება კრონშტადში, დეტსკოე სელოში, პეტერგოფში. დილიდან დაიწყო ქარხნების და მუზეუმების დათვალიერება. დღეს ჩამოვიდნენ მოსკოვიდან ცაკის სხდომებზე დასასწრებლად ლატვიის ელჩი ბ. **ოზოლსი** და დანიის ელჩი ბ. **ხაუ** (ადს).

## საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

### სოციალური დაზღვევა

**მოსკოვი,** 13 ოქტომბერი. საკავშირო პროფსაბჭოს 13 ოქტომბრის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა სოცდაზღვევის ცენტრალური სამმართველოს უფროს ამხ. **ნემჩენკოს** მოხსენება 1927—28 წ. დაზღვევის ბიუჯეტის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტს, ერთი მხრით, ახასიათებს იმ უმუშევართა რიცხვის ზრდა, რომლებიც სოცდაზღვევის დახმარებით სარგებლობენ და მეორე მხრით — უმუშევართათვის დახმარების გადიდება. ბიუჯეტი ითვალისწინებს უმუშევართა დასაზღვევად 123 მილ. მან. დახარჯვას, ნაცვლად მიმდინარე წელს დახარჯულ 67 მილ. მანეთისა.

345 მილ. მან. რაოდენობი შედგენილ ბიუჯეტს ახასიათებს სოცდაზღვევის ორგანოების ფინანსიური გაჭირვება. ბიუჯეტის გატარება ცხოვრებაში შესაძლებელია მხოლოდ პროფკავშირებისა და საბჭოთა საზოგადოებრივობის ფართო დახმარებით. (ადს).

# პარტიული ცხოვრება

## დეზორგანიზატორებს ადგილი არა აქვთ პარტიაში

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი, გაეცნო რა დოკუმენტებს, მასალებს და მოწმეთა ჩვენებებს საქ. კ. პ. (ბ) წევრების ოპოზიციონურ ფრაქციულ მუშაობის შესახებ, აღნიშნავს შემდეგს:

1. **გორგასლიძე** თეოფანე ხოსიას ძე, ქართველი, მოსამსახურე, საშუალო განათლებით, პროფესიით პედაგოგი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის ინსპექტორი, პარტიის წევრი 1917 წლიდან. ამხ. გორგასლიძემ დაუშვა შემდეგი ანტი-პარტიული ნაბიჯები, რომლებიც დაკავშირებულია ლეჩხუმელ ოპოზიციონერების ფრაქციულ მუშაობასთან:

ა) საქართველოს ოპოზიციონერების აქტიურ ხელმძღვანელ ლადო დუმბაძესთან ერთად იკისრა დავალება მოეწყო ოპოზიციონერების ფრაქცია ლეჩხუმის მაზრაში, ბ) აწარმოებდა ინდივიდუალურ და ჯგუფურ პროპაგანდას პარტიის წევრებს შორის და სცდილობდა გადაეყვანა ისინი ოპოზიციის მხარეზე, გ) ავრცელებდა ლეჩხუმის მაზრაში პარტიის წევრებს შორის 83-ის განცხადებას და მოუწოდებდა მათ ხელი მოეწერათ ამ განცხადებაზე, დ) პარტიის წევრ გოგორიშვილს მისცა დირექტივა, რომ უკანასკნელს ყოფ. მემამულე **ბელოვანის** სახლში მოეწყვია ფრაქციული კრება პარტიის წევრთა წინასწარ მომზადებულ სიით, სტაჟით არა უმცირეს 1918 წლისა, ე) პარტიის საკონტროლო ორგანოების წინაშე გულწრფელად არ ეპირა თავი იმ მიზნით, რომ დაეცვა ფრაქციული დისციპლინა. გორგასლიძემ პრეზიდიუმის მიერ მიცემულ შეკითხვაზე, თუ როგორ უყურებს ის არალეგალურ სტამბის შექმნას, უპასუხა: „შესცვალეთ პარტიაში არსებული რეჟიმი და აღარ იქნება არალეგალური სტამბა".

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა გორგასლიძის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები ჩასთვალა დამტკიცებულად. ვინაიდან გორგასლიძე არა ერთხელ იჩენდა უნდობლობას პარტიის გადაწყვეტილებებისადმი მთელ რიგ საკითხებში, ის გამორიცხულ იქნას კომპრატიის (ბ) რიგებიდან.

2. **ანდრიაშვილი** გიორგი დიმიტრის ძე, 30 წლის, მოსამსახურე, ქართველი, საშუალო განათლებით, ქ. თელავის ნოტარიუსი, კომპარტიის (ბ) წევრი 1919 წლიდან. გამორიცხული იყო პარტიიდან 1922 წელში ლოთობის გამო, მაგრამ შემდეგ აღდგენილია. 1926 წელში გამორიცხულია ფრაქციულ მუშაობის გამო, მაგრამ აღდგენილია სხვებთან ერთად.

ა) ანდრიაშვილი 1922 წლიდან აწარმოებს დეზორგანიზატორულ მუშაობას და არ ასრულებს პარტორგანიზაციების დადგენილებებს, არა ერთხელ იყო შემჩნეული იმაში, რომ მხარს უჭერდა კულაკებს, აზნაურებს და თავადებს, რის გამოც მოხსნილ იქნა პოლიტბიუროს უფროსის თანამდებობიდან. 1924 წელში მენშევიკების გამოსვლის დროს მხარს უჭერდა მენშევიკებს და აზნაურებს. ისინი გაანთავისუფლა, გლეხები კი დააპატიმრა,

ბ) სისტემატიურად ლოთობს, კავშირი აქვს ვაჭრებთან და საუბრობს მათთან შინაპარტიულ უთანხმოებაზე. ამ უთანხმოებების შესახებ ლაპარაკობს ქუჩაზე განურჩევლად ყველა პირებთან.

გ) უკანასკნელ დროს აწარმოებდა აქტიურ ფრაქციულ მუშაობას თელავის მაზრაში, ჰკრებდა ამხანაგებს ოპოზიციის რიგებში, რისთვისაც დემაგოგიურად აცხადებდა, თითქოს რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში პარტიიდან მასიურად გადიან და სხვ.

დ) მოაწყო ქეიფი და უპარტიოების თანდასწრებით ავრცელებდა ყოველგვარ ჭორებს პასუხისმგებელ ამხანაგების შესახებ,

ე) უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში არ ასრულებდა არც ერთ პარტიულ დავალებას, რეგულიარულად არ ესწრებოდა პარტიულ კრებებს,

ვ) უპარტიოებს შორის ავრცელებდა ყალბ ხმებს, თითქოს ცენტრ. საკონტროლო კომისიის წევრებმა მას შეაძლიეს ქრთამი, რომ უარი ეთქვა თავის ოპოზიციონურ შეხედულებებზე.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა, სცნო რა დამტკიცებულად აღნიშნული ფაქტები და მიიღო რა მხედველობაში ქვედა საფეხურის პარტორგანიზაციების, თელავის სამაზრო ორგანიზაციის აქტივის და თელავის სამაზრო კომიტეტის ერთსულოვანი დადგენილება, დაადგინა გიორგი ანდრიაშვილი გარიცხულ იქნას კომპარტიის (ბ) რიგებიდან, როგორც პარტდისციპლინის გაუსწორებელი დამრღვევი, რომელიც პარტიის რიგებში აწარმოებდა დამრღვევ მუშაობას და როგორც გახრწნილი ელემენტი.

3. **ჯანიბახჩიევი** ალექსანდრე გიორგის ძე, 30 წლის, ყოფილი მუშა, ორკლასიანი განათლებით, ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის სატარიფო-საკონფლიქტო განყოფილების გამგე, კომპარტიის (ბ) წევრი 1917 წლიდან.

ა) ჯანიბახჩიევი, ფრაქციულ ბრძოლის მიზნით აწარმოებდა არალეგალურ მუშაობას, რომელიც მიმართული იყო პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების გადაწყვეტილებების წინააღმდეგ. ამ მიზნისათვის მან გამოიყენა თავისი ბინა.

ბ) არა ერთხელ შკრებდა თავის ბინაზე პარტიის წევრებს **ბარძიმიშვილს, ჩიხლაძეს, ვეპრიცკის, დაშკევიჩს, იმანოვს, ჯვარშეიშვილს** და სხვებს, აწარმოებდა მათთან საუბარს პარტიის ცეკას ხაზთან უთანხმოების შესახებ და ანვითარებდა ოპოზიციონურ შეხედულებებს,

გ) ავრცელებდა პარტიის წევრებს შორის არალეგალურ ანტიპარტიულ ლიტერატურას (მათ შორის სტამბაში დაბეჭდილ ბროშიურას),

დ) აგროვებდა ხელმოწერებს 83-ის განცხადებაზე,

ე) ოპოზიციის რიგებში თავს უყრიდა პარტიულ ახალგაზრდობას (**ვეპრიცკი, დაშკევიჩი**),

ვ) ანტიპარტიულ ლიტერატურის გასავრცელებლად განიზრახა სტეკლოგრაფის შეძენა, რისთვის პარტიის წევრებს შორის შეაგროვა ფული, თვითეულისაგან 5-დან 20 მანეთამდე, და შეიტანა ეს ფული შემნახველ სალაროში,

ზ) დაკითხვის დროს სრულიად არ გამოიჩინა გულწრფელობა, რაც შეუფერებელია პარტიის წევრისათვის; მან უარჰყო ყველა მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდებები.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა მიიღო რა მხედველობაში ალექსანდრე ჯანიბახჩიევის აქტიური ფრაქციული მუშაობა, მიმართული პარტიის მთლიანობის წინააღმდეგ, დაადგინა—გამორიცხოს ის კომპარტიის (ბ) რიგებიდან, როგორც პარტდისციპლინის აშკარა დამრღვევი.

4. **ვეპრიცკი** ალექსანდრე, 24 წლის, ტელეფონის ქსელის მუშა, დაბალი განათლებით, პარტიის წევრი 1925 წლიდან და **დაშკევიჩი** ალექსანდრე—22 წლის, ტელეფონის ქსელის მუშა, დაბალი განათლებით, პარტიის წევრი 1926 წლიდან.

ა) ვეპრიცკი და დაშკევიჩი დაინტერესდნენ შინაპარტიულ ბრძოლის საკითხებით, რის გამოც მოექცენ ფრაქციონერ ჯანიბახჩიევის გავლენის ქვეშ, არა ერთხელ მიდიოდნენ მის ბინაზე და ეცნობოდნენ ოპოზიციის მიზნებს,

ბ) იცოდნენ რა, რომ ჯანიბახჩიევი აწარმოებდა დეზორგანიზატორულ მუშაობას, არ აცნობეს ეს პარტორგანიზაციას და არ შეეცადნენ ძირშივე აღეკვეთათ პარტიის მთლიანობის აშკარა დარღვევა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ მათ გულწრფელად აღიარეს თავისი შეცდომები და გაიმიჯნენ ოპოზიციისაგან, დაადგინა—გამოუცხადოს ვეპრიცკის და დაშკევიჩს საყვედური იმისათვის, რომ არ გამოიჩინეს სიმტკიცე და კავშირი ჰქონდათ ფრაქციონერებთან.

**საქ. კ. პარ. (ბ) ც. საკ. კომისია.**

## პარტიული მასები ერთსულოვნად გმობენ ოპოზიციას

### ფოთი

11 ოქტომბერს, საღამოს, მუშათა სასახლეში, შესდგა ფოთის ორგანიზაციის სატრანსპორტო კავშირის, ზაკპოგრუზის და მარგანეცის კომუჯრედების გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო ორასი კაცი. კრებამ მოისმინა ამხ. ჭოჭუას მოხსენება ოპოზიციის უკანასკნელ გამოსვლების შესახებ, რის შემდეგ მიიღო რეზოლიუცია, სადაც სხვათა შორის, ნათქვამია:

„მიუხედავათ იმისა, რომ პარტიამ მთლიანად და მისმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა არაერთხელ დაჰგმო ოპოზიცია, როგორც ანტილენინური მიმდინარეობა, მიუხედავათ იმისა, რომ არაერთხელ სცადა პარტიამ მიეცა საშუალება ლენინიზმის გზიდან აცდენილ ოპოზიციისათვის გამოესწორებია თავისი შეცდომა, ოპოზიცია გამოსწორების ნაცვლად უფრო და უფრო შორდება ლენინიზმს. ის უკვე დაადგა მეორე პარტიის შექმნის გზას. ოპოზიციის დეზორგანიზატორული მუშაობა ფრთებს ასხამს საბჭოთა ხელისუფლების ყოველი ჯურის მტრებს.

კრება ერთსულოვნად იწონებს ტროცკისა და ზინოვიევის კომინტერნის აღმასკომიდან გამორიცხვის ფაქტს. კრებას სავსებით სწორათ მიაჩნია ფოთის კომიტეტის მიერ მიღებული ზომები, რაიც გამოხატა გამოუსწორებელ უკლონისტების პარტიიდან გამორიცხვაში".

### ახალსენაკი

10 ოქტომბერს, მუშათა კლუბში შესდგა საქ. კომპ. სენაკის ქალაქის ორგანიზაციის გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო კომკავშირის აქტივიც. კრებამ მოისმინა მოხსენება ოპოზიციის მიერ არალეგალური სტამბის მოწყობის შესახებ. რეზოლიუციაში, რომელიც მიიღო კრებამ მოხსენების ირგვლივ, სხვათა შორის ვკითხულობთ:

„იდეურად გაკოტრებულმა ტროცკისტულმა ოპოზიციამ არაერთხელ მოატყუა პარტია თავისი განცხადებით: „რომ ის სასტიკად გმობს არალეგალურ მუშაობას პარტიის წინააღმდეგ, წინააღმდეგია ორი პარტიის შექმნის ყოველგვარი ცდის, ყოვლად დაუშვებლათ მიაჩნია შინაპარტიულ ბრძოლის უპარტიო მასაში გადატანა" და სხვა. ოპოზიციამ არა თუ დაიცვა და გატარა 1926 წლის 16 ოქტომბრის და ა.-წ. 8 აგვისტოს დადებული პირობა, არამედ, გასცილდა რა პარტიის წესდების საზღვრებს, უხეშად დაარღვია, როგორც თავისი დაპირებები, აგრეთვე პარტიულ ყრილობების, მათ შორის მე-10 ყრილობის დადგენილებები, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ლენინი.

გაერთიანებული კრება ხაზს უსვამს რა ოპოზიციის მიერ საკუთარ განცხადებათა უარის ყოფას, პარტიის გაფრთხილებათა აბუჩად აგდებას, კავშირს კომინტერნის და მუშათა კლასის რენეგატ მასლოვ - რუტ ფიშერთან და უკანასკნელად არალეგალური სტამბის მოწყობას ბურჟუაზიულ ინტელიგენციის მონაწილეობით, სავსებით სწორად სთვლის კომინტერნის პლენუმის დადგენილებას და ინტერნაციონალურ საკონტროლო კომისიის დადგენილებას ტროცკისა და ზინოვიევის კომინტერნის აღმასკომის შემადგენლობიდან გამორიცხვის შესახებ".

## საჭირო განმარტება

გაცნობებთ რომ ოპოზიციონერი არასოდეს არ ვყოფილვარ, რაც არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს. მთელი ჩემი შეგნებით მუდამ ვიყავი პარტიის ც. კ.-თან და ვატარებდი კიდეც მის ხაზს. მე გამოვსთქვი ჩემი შეხედულება ჩინეთის რევოლიუციის მამოძრავებელ ძალებზე. ეს შეხედულება ეყრდნობოდა ც. კ. მიერ მიცემულ ჩინეთის ეკონომიკის დახასიათებაზე. როდესაც ჩინეთის ბურჟუაზიის მოღალატეობა საბოლოოთ გამოირკვა, მე მოვაწერე ხელი განცხადებას რიგ გარეშე პლენუმის მოწვევის შესახებ. მე მთლიანად ვუერთდები უკანასკნელი პლენუმის რეზოლიუციებს. რაც შეეხება „83"-ს განცხადებას, როგორც მისი შინაარსი გავიგე, მე თვალითაც არ მინახავს ასეთი განცხადება და მით უმეტეს ხელსაც ვერ მოვაწერდი მასზე, რადგან მე არაფერი მაქვს საერთო პარტიის შიგნით განსაკუთრებულ პლატფორმაზე მდგარ ოპოზიციასთან. ბოლშევიკურ პარტიაში ფრაქციების არსებობა პრინციპიალურად ეწინააღმდეგება ჩემს ლენინურ შეგნებას.

**თამარ საჯაია.**

## მორიგი შემოწმების წინ

(მეორე რაიონის მუშაობა)

### ორგანიზაციის ზრდა

არსენალის რაიონის ორგანიზაციის მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ორგანიზაციის რიცხობრივ ზრდის მოწესრიგებას. აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომელიც დამახასიათებელია მთელ რიგ რაიონულ ორგანიზაციებისათვის. ეს ის, რომ ჩვენი რაიონული ორგანიზაცია წარსულ წელთან შედარებით უთუოდ გაიზარდა რიცხვობრივათ. ეს ზრდა უმთავრესად ხდებოდა მუშების ხარჯზე, მაგრამ ამავე დროს პარტიის წევრ მუშათა საერთო პროცენტი დაეცა შარშანდელთან შედარებით 15 პროცენტით. ეს იმ დროს, როცა წარსული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩვენს ორგანიზაციაში შემოვიდა მუშების ახალი ჯგუფები, რის გამოც მუშა კომუნისტების რიცხვი ჩვენს რაიონში 8,4 პროცენტით გაიზარდა.

რატომ შეიქმნა ასეთი, ერთი შეხედვით გაუგებარი გარემოება? აქაც იმავე მიზეზებთან გვაქვს საქმე, როგორიც სხვა რაიონებშია. მუშათა საერთო პროცენტის დაკლება გამოწვეულია ჩატარებულ პარტაღწერისა და წევრთა მოძრაობით. აღწერის დროს პარტიის გარეშე დარჩა უმთავრესად მუშები. გარდა ამისა ჩვენს რაიონს სხვა ორგანიზაციებიდან შემოემატა მოსამსახურე და გლეხი პარტიის წევრები. ადგილი ჰქონდა აგრეთვე არსენალის რაიონიდან მუშა პარტწევრების გადასვლას სხვა ორგანიზაციებში.

რამდენი მუშა შემოვიდა მაინც პარტიაში ჩვენი ორგანიზაციის გზით საანგარიშო პერიოდის განმავლობაში? 42 უჯრედიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ ლტოლვა პარტიაში შესვლისადმი მუშებში მეტად დიდია. სულ ამ უჯრედში პარტიაში შესვლის შესახებ განცხადება მიუცია 440 კაცს, რომლებთაგან 345 კაცი მუშაა. ამათგან კი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩვენმა ორგანიზაციამ მიიღო 188 მუშა.

დიდათ აფერხებს პარტიის ნორმალურ ზრდას სტაჟგავლილ კანდიდატების პარტიაში გადაყვანის დაყოვნება. ამ მოვლენას ჩვენს რაიონშიაც ქონდა ადგილი, მაგრამ რაიკომმა მიიღო ენერგიული ზომები, რათა სტაჟგავლილი კანდიდატების საკითხი დაჩქარებით განეხილათ უჯრედებს და გადაეცათ რაიონულ კომიტეტისათვის. ვფიქრობთ, რომ ამხანად ასეთ კანდიდატების რიცხვი არსენალის რაიონში მინიმუმამდეა დაყვანილი.

### უჯრედების მუშაობა

უჯრედების მუშაობა უმთავრესად მიმართული იყო პარტიულ მასიურ მუშაობის გამოცოცხლებისა, ახალ წევრების მიღებისა და პარტიის წევრების პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმისაკენ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა უჯრედების აქტივი. გაძლიერდა კოლექტიური მუშაობა უჯრედებში და ბიუროს ახალ შემადგენლობაში, თავი მოიყარა ლენინურად მტკიცე, ავტორიტეტიან და ენერგიულმა მუშაკებმა.

მასიური მუშაობის გაძლიერების ერთ-ერთ საშვალებას წარმოადგენდა უჯრედის ღია კრებების მოწყობა. წინანდელთან შედარებით ღია კრებების შინაარსი უფრო რეალური და ფართე მასისათვის დამაინტერესებელი გადაიქცა. ასე მაგალითად, უჯრედების 117 ღია კრებებზე სულ დაესწრო 4.561 კაცი, რაც საშუალოდ თითო კრებაზე იძლევა 26 კაცს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საკომისიო მუშაობის გამოცოცხლება. წინათ უჯრედების კომისიათა საქმიანობა ხშირათ შინაურ საორგანიზაციო საკითხების მოგვარებით ამოიწურებოდა. კომისიები ირჩევდენ თავმჯდომარეებს, მდივნებს, ანაწილებდენ მუშაობას და ამას იქით საქმე არ მიდიოდა. რაიკომმა ამას მიაქცია ყურადღება და გადადგა მთელი რიგი პრაქტიკული ნაბიჯებისა, რის შემდეგ საკომისიო მუშაობა მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა. რაიკომი იწვევდა ამ საკითხის განსახილველად სპეციალურ თათბირებს, ისმენდა კომისიების საანგარიშო მოხსენებას საორგანიზაციო თათბირზე, გზავნიდა უჯრედებში ინსტრუქციებს და დროგამოშვებით ახდენდა გამოკვლევებს.

### მუშათა დაწინაურება

დიდი ყურადღება მიაქცია სარაიონო კომიტეტმა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუშათა დაწინაურების საკითხს. სულ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წამოყენებულია 110 კაცი და წინ წაწეული უფრო მაღალ თანამდებობაზე 28 კაცი. [illegible] აქედან 117 პარტიის წევრია, 5 კომკავშირელი და 16 უპარტიო.

ამრიგად არსენალის რაიონულმა კომიტეტმა დაწინაურების მხრივ დიდი მუშაობა ჩაატარა, მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. საჭიროა გაცხოველებულ იქნას მუშაობა დაწინაურებულთა შორის. გარდა ამისა მომავალში დაწინაურება უნდა ხდებოდეს წინასწარ გამომუშავებული გეგმით. ამ მიზნით საჭიროა მოეწყოს დაწინაურებულ მუშათა კლუბი, გაიბას მჭიდრო კავშირი უჯრედებსა და წამოყენებულ ამხანაგებს შორის და სხ. ამასთანავე უნდა გაძლიერებულ იქნას უპარტიო მუშების დაწინაურება.

### მეტი ყურადღება საწარმოო თათბირებს

მესამე წელიწადია, რაც არსებობს ჩვენს რაიონში საწარმოო თათბირები. პარტია, როგორ ვიცით, ამ თათბირებზე დიდ იმედებს ამყარებს, მაგრამ აქ უნდა ითქვას, რომ პარტიული და პროფესიონალური ორგანოები სათანადო ყურადღებით არ ეპყრობოდენ საწარმოო თათბირების მუშაობას.

ეს ნაკლი აღინიშნა საწარმოო თათბირების ეკონ. კომისიების სარაიონო კონფერენციამაც. ამავე კონფერენციაზე აღნიშნულ იქნა საწარმოო თათბირების სხვა დეფექტებიც: საწარმოო თათბირების მუშაობის აღრიცხვის სისუსტე, სამეურნეო მუშაკების არააქტიური მონაწილეობა თათბირებში, დღის წესრიგის შეუფერებლათ შედგენა და სხვა. ეს ნაკლულოვანებანი დღესაც არაა მთლიანად დაძლეული.

მომავალი სარაიონო კონფერენცია გულდასმით განიხილავს ამ საკითხს. მან საწარმოო თათბირების მუშაობა უნდა წამოაყენოს პროფესიონალური ორგანოების მუშაობის ერთ-ერთ პირველ ხარისხოვან ამოცანათ.

### ბიუროების არჩევნები

უჯრედების ბიუროების არჩევნები ჩვენს რაიონში უმთავრესად ჩატარდა შინაპარტიულ მდგომარეობის განხილვის და მთელი მუშაობის შემოწმების ნიშნის ქვეშ. მიუხედავათ იმისა, რომ ოპოზიციამ აქა-იქ სცადა ნიადაგი მოესინჯა, ზოგიერთ უჯრედებში გამოვიდა კიდეც თავის შეხედულებათა გამაშუქებელ სიტყვებით. მაგრამ პარტიულმა მასამ ყველგან ერთსულოვნად დაჰგმო ოპოზიციის დეზორგანიზატორული მუშაობა და მოითხოვა უმაღლეს პარტიულ ორგანოებისაგან პარტიის ყველა იმ წევრის სასტიკად დასჯა, ვინც შეეცდება ასეთ საპასუხისმგებლო მომენტში, არევ-დარევა შეიტანოს ჩვენს რიგებში.

ბიუროების გადახალისების შემდეგ ჩვენ შემდეგი სოციალური შემადგენლობა გვაქვს ახალ ბიუროებში. მუშები 62 პროც., რომელთაგან დაზგის მუშები 62 პროცენტია. დანარჩენი მოსამსახურეებია. გარდა ამისა პარტიული მასის აქტივობის მაჩვენებელია ის ფაქტებიც, რომ ბიუროების შემადგენლობაში 50 პროცენტი ახალი მუშაკებია.

მომავალი სარაიონო კონფერენცია გაითვალისწინებს ჩვენი მუშაობის მთელ გამოცდილებას და ლენინურათ, ბოლშევიკურათ დასახავს არსენალის რაიონის შემდგომ გამაგრების და განმტკიცების გზას.

## კომუნისტების პირადი ცხოვრება

კომუნისტის პირად ცხოვრებას ჩვენი ორგანიზაციები ხშირად სათანადო ყურადღებას ვერ აქცევენ. ამავე დროს იმას, თუ როგორ ცხოვრობს პარტიის წევრი, რამდენად მაღლა დგას ის ზნეობრივათ, როგორ ეპყრობა საკუთარ ოჯახის წევრებს და სხვა, მეტად ფხიზლად ადევნებს ყურს უპარტიო მასა. გაზეთ „ბედნოტა" ამ საკითხს უძღვნის მოწინავე წერილს და, სხვათა შორის, როგორც დამახასიათებელი მოვლენა მოჰყავს შემდეგი მაგალითი:

„მთელი სოფლის თვალწინ „კეთდება" მომხმარებელ საზოგადოების თავმჯდომარე; ის ერთი წლის განმავლობაში იძენს ახალ სახლს, ინვენტარს, ოთხფეხს, წყვილ იორღა ცხენებს; ხშირათ მისას იკრიბება მეგობრები და „მხიარულობენ" გათენებამდე და ამ მეგობრებში აუცილებლათ არის საბჭოს თავმჯდომარე, იგიც კომუნისტი".

თუ ასეთი არა, დაახლოვებით ასეთი სურათი ალბათ არც ჩვენში დარჩებოდა ვისმე შეუმჩნეველი გადაგვარების გზაზე მდგომ ზოგიერთ კომუნისტის ცხოვრებიდან. აღსანიშნავია აქ ის, რომ ამგვარ მახინჯ მოვლენებს ადგილი აქვს არა მარტო სოფლად, არამედ ქალაქებშიაც. ხშირად, როცა ამგვარ შემთხვევებზე მიუთითებენ, ჩვენი ზოგიერთი ორგანიზაციები კინკლაობით და ცილისწამებით ხსნიან. მით უფრო თუ საჩივარი ეხება მაღალი თანამდებობის პირს. ცხადია, რომ ასეთი საჩივარი ყოველთვის არ წარმოადგენს ცილისწამებას. იგივე „ბედნოტა" ამის შესახებ სწერს:

„არის, რასაკვირველია, ჭორიკანობაც, კინკლაობა და ჩვენი კლასიური მტრების მიერ მოხერხებულათ დაგებული ცილისწამების ბადეც. ამას ვერ დავივიწყებთ. მაგრამ ამავე დროს მხედველობიდან არ უნდა გაგვეპაროს ისიც, რომ ზოგჯერ მეტად აჭარბებენ, როცა ყოველგვარ ბრალდებას ცილისწამებათ აცხადებენ".

რომ ეს ასე არ მოხდეს, საჭიროა ყოველგვარ საჩივარს პარტიის წევრის წინააღმდეგ ჩვენი ორგანიზაციები მეტი გულდასმით მოეკიდონ და არ ჩასთვალონ ის ცილისწამებათ, სანამ არ შეამოწმებენ წამოყენებულ ბრალდებათ სისწორეს. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს კომუნისტის პირად ცხოვრებას.

დ. გ—ა

## ავირჩიეთ დელეგატები

(თბილისი)

12 ოქტომბერს საღამოს ლექციების შემდეგ შესდგა სახ. უნივერსიტეტის ამხ. **მ. კახიანის** სახელობის მუშფაკის კომუჯრედთა გაერთიანებული დახურული კრება, რომელსაც დაესწრო 159 წევრი და კანდიდატი. დღის წესრიგში იდგა მარტო ერთი კითხვა: სარაიონო კონფერენციისათვის დელეგატების არჩევა. კრებას უნდა აერჩია 11 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და ხუთი სათათბირო ხმით. კენჭის ყრა მოხდა პერსონალურათ. არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: **მიშა კახიანი, შ. ელიავა, გვანცელაძე, რუხაძე, ჩხეტიანი, გაბინი, ფოცხიშვილი, ვ. სიხარულიძე, მიქაელოვი, მესხი ნინა და ანთიძე.**

სათათბირო ხმით არჩეულია: **ს. გ. სვანიძე, ხატისოვი, ცხვედიანი, გოცაძე და ჩხაიძე.**

დამსწრე.

## კომკავშირში

ბორი

6 ოქტომბერს უჯრედების გაერთიანებულ კრებაზე, რომელსაც დაესწრო 300 კაცზე მეტი, მოსმენილი იქნა ამხ. თ. კორსაველის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. საკ. კომ. ივლის-აგვისტოს პლენუმის შედეგების შესახებ.

მოხსენების ირგვლივ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, საიდანაც მოგვყავს ზოგიერთი ადგილები

„ლენინური კომკავშირი, რომელიც ერთგული მიმდევარი იყო და არის კომუნისტური პარტიისა, არ დაუშვებს თავის რიგებში ოპოზიციის გამოსვლას. ლენინური პარტიის მთლიანობა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების მთავარი საწინდარია. კომკავშირი, როგორც პარტიის შემცვლელი, მუდამ და ყველგან იქნება ამ მთლიანობის ერთგული დარაჯი."

## ა.-კ. აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის საზეიმო სხდომა

ამიერ-კავკასია—აღმოსავლეთ სავაჭრო პალატის საზეიმო სხდომა, რომელიც ცხრა ოქტომბერს უნდა შემდგარიყო საბჭოთა კავშირისა და სპარსეთს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების გამო, შესდგება კვირას, 16 ოქტომბერს, დილის 11 საათზე პროფკავშირთა დარბაზში. სხდომაზე მოწვეულნი არიან აღმოსავლეთ ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები, აღმოსავლეთელ ვაჭრების და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომაზე სპარსეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ მოხსენებით გამოვა ა.-კ. აღმოსავლეთ სავაჭრო პალატის თავმჯდომარე და ა.-კ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **გუსეინოვი.**

საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს აღმ. სავაჭრო პალატის წევრი და ა.-კ. ვაჭრობის კომისარი ამხ. **ბეკზადიანი.**

ამხ. ბეკზადიანის შემდეგ ა.-კ. აღმოსავლეთ სავაჭრო პალატის სწავლული მდივანი **ზავრიევი** გააკეთებს მოხსენებას: „სპარსეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება და საბჭოთა კავშირის ვაჭრობა სპარსეთთან".

## სტატისტიკურ სამუშაოთა რაციონალიზაცია

მიმდინარე წლის მაისში, უმაღლეს ორგანოთა მიერ, სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოსთან დაარსებულ იქნა სტატისტიკის საკითხების მომწესრიგებელი კომისია. აღნიშნულმა კომისიამ შეისწავლა ყველა უწყებების მიმდინარე წლის სტატ-სამუშაოთა და მომავალ 1927—28 წლის სავარაუდო სტატ-სამუშაოთა პროგრამები, მათთან დაკავშირებული შტატები, ხარჯთაღრიცხვები; საორგანიზაციო გეგმები და სხვა.

აღნიშნულ საკითხების ყოველმხრივ შესწავლის შემდეგ კომისიამ, დაინტერესებულ უწყებების წარმომადგენლებთან ერთად, გამოიმუშავა საუწყებო და სახელმწიფო სტატისტიკის მომავალ სამუშაოთა შეთანხმებული პროგრამები; მიზანშეწონილობის მიზნით და პარალელობის ასაცილებლად კომისიამ გამარტივა და განაწილა სტატ. სამუშაოები უწყებათა შორის; შეიმუშავა ახალი შტატები, ხარჯთ-აღრიცხვები, საორგანიზაციო გეგმები და სხვა.

კომისიის დასკვნები სახკომსაბჭომ დაამტკიცა გარდა იმ მუხლისა, რომელიც შეეხება ფინსახკომის სტატბიუროს. ფინსახკომის სტატბიურო, სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად, იმუშავებს ძველებურად, ხოლო ხელმძღვანელობის მხრივ დაექვემდებარება სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს.

სახკომსაბჭომ მიმართა მუშათა და გლეხთა ინსპექციას—დაწესებულებათა შტატები შეუფარდოს ახალ სამუშაოს. სახკომსაბჭომ მიმართა აგრეთვე ა. კ. სახკომსაბჭოს, რათა დაადასტუროს კომისიის ის დადგენილებანი, რომელნიც ეხებიან ამიერ-კავკასიის დაწესებულებებს (ა. კ. რკ. გზ. სამმართველო, ა. კ. ვაჭრობის კომისარიატი და ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატი). აღნიშნულ დადგენილების შესრულების მეთვალყურეობა დაევალა საქართველოს სტ. ცენტრ. სამმართველოს.

# საბჭოთა საქართველო

## დეპეშები

### აფხაზეთი

### სამკურნალო ბალახის დამზადება

**სოხუმი**, 14 ოქტომბ. ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატი მოლაპარაკებას აწარმოებს აფხაზეთის სახმედვაჭრობის სამმართველოსთან, რათა გერმანიაში და ამერიკაში გასატანად დამზადებულ იქნას სამკურნალო ბალახი მადრაგორა. იმ შემთხვევაში თუ მადრაგორის გამსაღებელი მთავარი ორგანიზაციები მის დასამზადებლად მტკიცე შეკვეთას მისცემენ აფხაზეთის სახმედვაჭრობის სამმართველოს, უკანასკნელს შესაძლებლობა აქვს 1927—28 წლის განმავლობაში დაამზადოს 15.000 ტონა მადრაგორი. (ადს).

### სოხუმის ელექტრო სადგურის გაფართოება

**სოხუმი**, 14 ოქტომბ. ახლო ხანში სოხუმის ელექტრო - სადგურში დადგამენ 400 ცხენისძალოვან ახალ ტურბინას. გადიდებულია წყალსაცავი. მოწყობილია მაღალი ძინვის საჰაერო ქსელი. მუშებისათვის აშენებულია საერთო საცხოვრებელი სახლი. დადგმულია ახალი ტრანსფორმატორები. ახლო ხანში შეუდგებიან ჰიდრო - ტეხნიკურ მუშაობას სადგურის ძალოვნობის გასაძლიერებლად (ადს).

### წყალსადენი

**სოხუმი**, 14 ოქტომბ. წყალსადენის მთავარი მაგისტრალისათვის დაწყებულია თუჯის მილების ჩაწყობა (ადს).

## წერილები

### ს. ქვედა ნაგვაზოვი, სენაკის მაზრა

### გავაცხოველოთ კულტმუშაობა

ამ სოფელში 300-ზე მეტი კომლი გლეხობა სცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ მცხოვრებთა რიცხვი ასე ბევრია, აქ არც ერთი კულტურული დაწესებულება არაა: კლუბი სამკითხველო და სხ. შენდება მხოლოდ შვიდწლედის შენობა, რომელიც ჯერ-ჯერობით დაუმთავრებელია. აქაურ ზოგიერთ ახალგაზრდობას იმის მაგიერ, რომ ღარიბ გლეხობის კულტურულ დონის ამაღლებას ხელი შეუწყოს, ბანქოს თამაშს ანდომებენ დროს.

აქაური გლეხობა ძალზე ღარიბია, მათ არ შეუძლიათ გაიღონ საჭირო თანხა სკოლის, სამკითხველოს, და სხ. ასაგებად. მათი ლტოლვა ასეთებისადმი კი დიდია.

ა.-კ. რკინის გზის საგანგებო კომისიის თანამშრომელმა ამხ. იასონ მექველიამ თავის საკუთარი თანხიდან 50.55 მანეთით დაეხმარა სკოლის აგებას და აგრეთვე მანვე შეიძინა 180 მან. რუსულ-ქართული, როგორც პოლიტიკური, ისე ლიტერატურული წიგნები, რომელიც ამ დღეებში გადაიგზავნება სოფელში. ზოგიერთი სახელმძღვანელო წიგნები დაურიგდებათ ღარიბებს მოწაფეებს.

ეს წიგნები სამკითხველოსათვის არ კმარა, საჭიროა ადგილობრივ ხელისუფლებამაც გაიღოს საჭირო თანხა სამკითხველოს მოსაწყობად.

ამხ. მექველიას განზრახული აქვს აგრეთვე ადგილობრივ მოაწყოს რადიო-მიმღები აპარატი. საჭიროა ამ საქმეში დაეხმარონ, როგორც ადგილობრივი ხელისუფლება, ისე კულტურული ძალებიც.

**ადგილობრივი.**

### წირქვალის თემი, შორაპნის მაზრა

### ჩვენი ნაკლი და მიღწევები

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის ჩატარებისათვის თემსაბჭომ აირჩია კომისია, მუშაობა მიმდინარეობს. ამ დღეს გაიხსნება სოფ. ვანში და ზედუბანში 4 წლედები. აგრეთ-მა თემსაბჭომ მრავალჯერ აღძრა შუამდგომ- გასაძლიერებლად არჩეულია კომისია, რომელსაც განზრახული აქვს საღამოების მოწყობით და აგიტაცია - პროპაგანდის საშუალებით შეიტანონ თავისი წვლილი.

თემში, სოფ. ზედში არის 4 წლედი, რომლის გამგედ ითვლება პ. გურული, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სასწავლებლის გამგე ხშირად თავის საკუთარ საქმეებზე დაიარება და იმ ჯგუფის მოწაფეების მეცადინეობა, რომელსაც ის ასწავლის თავის მივლინების დროს შეწყვეტილია.

თემის ცენტრში კოოპერატივი არ არსებობს, რის გამოც სოფ. ვანის მთის მოსახლეობას უხდებათ 18 ვერსის მანძილზე სიარული და ვარდებიან კერძო ვაჭრების ხელში, ადგილობრივმა თემსაბჭომ მრავალჯერ აღსძრა შუამდგომლობა ჭიათურის მუშკოოპის გამგეობის წინაშე განყოფილების გახსნაზე, მაგრამ ხსენებული გამგეობა არ ღებულობს ზომებს.

საგზაო შრომითი ბეგარის მოხდა თემში სასურველად მიმდინარეობდა, მაგრამ ხელი შეუშალა შემოდგომის ჭირნახულის შენახვამ. განზრახულია საგზაო თვით შრომითი ბეგარა სრულად იქნეს გატარებული.

**მ—ელი.**

### ს. ზინობიანი, თელავის მაზრა

### აღმშენებლობა ფართოვდება

ამ სოფელში სცხოვრობს 120 კომლამდე გლეხი - უდინელები, რომლებიც 1922 წელს გადმოსახლდენ აზერბეიჯანიდან. მთავრობამ მათ მისცა სამოსახლო და სახნავ - სათესი მიწები.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ეს სოფელი გაშენდა, მნახველს ჰგონება, რომ 20—30 წლის დასახლებულნი არიან. ზინობიანში არის ხე-ტყის სახერხი ქარხანა, სადაც ამზადებენ ტყის მასალას, არის ოთხწლიანი შრომის სკოლა, რომელშიაც მეცადინეობა სწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე, კოოპერატიული სავაჭრო, ამჟამად შეუდგენ წყალსადენის გამოყვანას ინჟ. ბოჭორიძის ხელმძღვანელობით, რომლისთვისაც საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველომ გადასდო 18.000 მანეთი. თვით სოფელი გაშენებულია ქალაქის სისტემის მიხედვით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სოფელში არ მოიპოვება არც ერთი წერა - კითხვის უცოდინარი, რაც უნდა მიეწეროს ხელისუფლების შესაფერ ხელმძღვანელობას.

საერთოდ ეს ახლად გაშენებული სოფელი მისაბაძი მაგალითი გახდა დანარჩენი სოფლებისთვის.

**აქაური.**

### ლეჩხუმის მაზრა

### მიმდინარე წლის მოსავალი

ლეჩხუმის მაზრის სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა ყველგან ერთნაირი არ არის. მაზრის ზოგიერთ თემებში ჰავის გამო მოსავალი ძალიან მცირე იცის. მაგალითად მექვენის რაიონში შემავალ სოფლებში პურის მოსავალი სრულებით არ ვარგა.

იქაური გლეხობა მისდევს უფრო მევენახეობას და სიმინდის თესვას. აგრეთვე მოყავთ ლობიოც. საერთოდ მექვენის რაიონი წელს ვერ არის ღვინის მხრივ უზრუნველყოფილი. ვენახები სანახევროდ წახდა და ღვინის მოსავალმაც იკლო.

რაც შეეხება მაზრის დანარჩენ რაიონებს, მოსავალი კარგია, რასაც ხელი შეუწყო ბოლოს დროს კარგმა დარებმა. მაგრამ საჭიროა გამოინახოს საშუალებები გლეხების ზედმეტი ნაწარმოების გასასაღებლად.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ? გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ ლეჩხუმში გლეხის ნაწარმოებს ადგილობრივი სამეურნეო ორგანოები, როგორიცაა კოოპერატივი და სხვა—არ ყიდულობენ.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს სიმინდის და პურის გასაღების საქმე.

დღემდე მიზეზად ასახელებდენ იმას, რომ გზა არ არის და გადაზიდვა გაძნელდებაო, მაგრამ ეხლა გზა უკვე გვაქვს. მხოლოდ საჭიროა საქმის დაწყება.

თუ გლეხს, რომელიც კოოპერატივიდან მიიღებს საქონელს მის მიერ მოტანილ სიმინდის და პურის საფასურად, ამით ჩვენ გავაკეთებთ დიდ საქმეს. დროა ეს მოგვარდეს.

მომავალში საჭიროა მეურნეობის კულტურულ დონეზე გადასასვლელად აგრონომიული ცოდნის გაძლიერება. ამ მხრივ მუშაობა ჯერჯერობით მოისუსტებს.

**პ. ფრუიძე.**

### სოფლის ქრონიკა

— **სკოლა.** ქობულეთის სკოლის ქვის შენობის ასაგებათ გადაიდო 6.000 მანეთი.

— **სეპერატორები.** ხულოს მაზრის გლეხებმა კარაქის დასამზადებლად შეიძინეს 36 სეპერატორი.

— **ხიდი.** ოზურგეთში ახალი ხიდის ასაგებათ გადაიდო 6.000 მ.

— **მესაქონლეობა.** ციხის-ჯვარში (გორ. მაზ.) მოწყობილი მესაქონლეობის კურსები დაამთავრა 25 გლეხმა.

— **რადიო.** გომბორის ქოხ-სამკითხველოსთან ეწყობა რადიო-მიმღები სადგური.

— **სიმინდი.** წელს ცუდი მოსავლის გამო, სენაკის აღმასკომი შეუდგა სიმინდის შეძენას.

— **საბინაო ამხანაგობები.** გორში დაარსდა 4 ახალი საბინაო-საიჯარო ამხ-ბა. ამჟამად გორში არსებობს 28 საბინაო-საიჯარო ამხ-ბა.

— **დაფნის ფოთოლი.** წელს აჭარისტანში დამზადებული იქნება 10.000 ფ. დაფნის ფოთოლი.

— **წყალსადენი.** გორის აღმასკომმა გადასწყვიტა ქალაში გამოიყვანოს წყალსადენი.

# მუშათა ცხოვრება

### საბინაო მშენებლობის შესახებ

ტფილისის აღმასკომი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საბინაო მშენებლობას. ამ მიზნით არსებობს მრავალი საბინაო საამშენებლო კოოპერატივები, რომლებიც გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ ქალაქის მუშათა უბნებში საცხოვრებელ ბინების ასაშენებლად. თვით აღმასკომი ამჟამად რამოდენიმე ალაგას აშენებს მუშათა საცხოვრებელ ბინებს, მაგრამ ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი იმდენად სწრაფად იზრდება, რომ საბინაო კრიზისი ჯერ კიდევ დიდ ხანს გაგრძელდება, რადგან ამ საკითხის მოგვარება საკმაოდ დიდ თანხას მოითხოვს, ეს თანხა კი ჩვენ ჯერ - ჯერობით არ მოგვეპოვება.

სააღმშენებლო კოოპერატივების მუშაობას საკვირველია, დიდი სარგებლობა მოაქვს საბინაო მშენებლობის საქმეში, მაგრამ დაბალი ხელფასის მქონე მუშა - მოსამსახურეებისათვის საამშენებლო კოოპერატივების წესი და პირობები ბინების აშენების საქმეში, ხელმიუწვდომელია. მუშამ, ან მოსამსახურემ, რომელიც სურვილს განაცხადებს საამშენებლო კოოპერატივის საშუალებით ააშენოს ერთი ან ორ ოთახიანი ბინა, წინასწარვე უნდა შეიტანოს კოოპერატივში ბინის ღირებულების ათი პროცენტი, რომელიც უდრის დაახლოვებით 300—500 მანეთს. ამ თანხის ერთბაშათ გაღებას კი ვერც ერთი დაბალი ხელფასის მქონე მუშა ვერ შესძლებს.

ეს ითქმის განსაკუთრებით ქალაქის მილიციის თანამშრომლებზე, რომლების ხელფასი ყველა დარგის მუშებზე უფრო დაბალია. მათ არა აქვთ საშუალება თუნდაც კოოპერატივების დახმარებით ააშენონ საცხოვრებელი ბინები და ამით ოდნავ მაინც გააუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა ბინის მხრივ. არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოებაც, რომ დღეს მილიციის თანამშრომელთა უმრავლესობა ყოფილი წითელარმიელები და სოფლიდან ჩამოსული გლეხები არიან, რომლებიც ბინის მხრივ შეკედლებულნი არიან თავიანთ ნათესავებთან.

ამიტომ ისე, როგორც სხვა დარგის ადმინისტრაცია ცდილობს თავისი მუშები შეძლების დაგვარად დააკმაყოფილონ საცხოვრებელ ბინებით, აღმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამაც უნდა მიიღოს ზომები მილიციელებისთვის საცხოვრებელ ბინების აღმოსაჩენად. თუ ტრამვაელების, ან სხვა დარგის მუშებისათვის შენდება განსაკუთრებული უზარმაზარი შენობა, რატომ არ შეიძლება აღმასკომმა ააშენოს ორი - სამი ბინა მილიციელებისათვისაც?

ჩვენის აზრით ურიგო არ იქნება, რომ ქალაქის აღმასკომმა, ახალ საბიუჯეტო წლისათვის შეიტანოს ბინათ მშენებლობის ხარჯთაღრიცხვაში და მომავალ წელს ააშენოს რამოდენიმე ბინა ქალაქის მილიციელთათვის. ეს დააჩქარებს საბინაო კრიზისის აღმოფხვრას.

**ნ.**

—:—

### ნუ გააცდენთ რონოდებს

ვერ იქნა და ვერ მოწესრიგდა სად. ტფილისში დატვირთული რონოდების თავის დროზე დაცლის საქმე. განსაკუთრებით სამოსამსახურო რონოდებზე, რომლის უნაყოფო გაცდენამ სისტემატიური ხასიათი მიიღო.

24 სექტემბერს, მეექვსე უბნის მუშებმა გამოსაცდელად მიწით დატვირთეს სამოსამსახურო რონოდა. რონოდები უნდა გამოიცალოს დატვირთის მეორე დღესვე. მაგრამ დღემდე დატვირთული რონოდები გამოუცლელია.

სად. ტფილისის უფროსმა მისცა ელწერილი რონოდების განთავისუფლების შესახებ, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია. რკ. გზებზე არსებულ წესის მიხედვით თუ რომელიმე დარგი არ სცლის რონოდას თავის დროზე, სადგური ვალდებულია განთავისუფლოს რონოდა თავის ძალებით. რონოდების გაცდენა რკინის გზას ორმაგ ზარალს აძლევს, ერთი ის რომ რონოდებს დაკავებული აქვს ლიანდაგები, რის გამო ფერხდება სამიმოსვლო საქმე, ხოლო მეორე თითო რონოდა დღე - ღამის განმავლობაში ღირს 6 მან. 50 კაპ. ამგვარად სადგ. ტფილისში 6 რონოდის გაცდენა გზას უჯდება 58 მან. და 50 კაპ. დღეში.

დროა რკ. გზის გამგეობამ მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და მიიღოს ზომები რონოდების გაცდენით გამოწვეულ ზარალის თავიდან ასაცდენად.

**ი. არუსპირელი**

—:—

### ნაყოფიერი ექსკურსია

კვირას, 9 ოქტომბერს, სად. ტფილისის მოძრაობის დარგის კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელობით, მოეწყო ამავე გაზეთის მუშკორთა ექსკურსია რევოლიუციონურ და ზოოლოგიურ მუზეუმში.

რევოლიუციონურ მუზეუმში ექსკურსანტებს გააცნეს საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის მოკლე ისტორია და მისცეს ახსნა-განმარტება ყველა იმ საკითხებზე, რომლებიც ბუნდოვანათ ესმოდათ ექსკურსანტებს.

ამის შემდეგ ექსკურსია გაემგზავრა ზოოლოგიურ მუზეუმში, სადაც მუშკორებმა დაათვალიერეს მუზეუმის ყველა განყოფილებები. ექსკურსანტები დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამენ ასეთ ნაყოფიერ ექსკურსიის მოწყობის გამო.

**მუშკორი დოგორჯგინიძე.**

### 30.000 მანეთი ზარალი

(აღმასკომი)

1921 წლის 18 ნოემბრის № 50 დადგენილებაის თანახმად, ტფილისის ყველა ქარვასლები, სასტუმროები, ბანკები და სხვა ასეთი შენობაი ჩამოერთვათ მეპატრონეებს და გადავიდა აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოს მზრუნველობაში, მაგრამ უქმის საიჯარო საღრიცხვო საექსპლოატაციო ქვე-განყოფილებას გამორჩენია რამოდენიმე ქარვასლა და არ მიუქცევია მათთვის ყურადღება, რის გამო ამ წლის თებერვლამდე მათი შემოსავალი, რომელიც უდრის წელიწადში 6 ათას მანეთს, სარგებლობდენ ისევ ძველი მეპატრონენი. ხუთი წლის განმავლობაში კი ამ ქარვასლების შემოსავალი უდრის 30.000 მანეთს.

მიმდინარე წლის თებერვალს აღმასკომის საიჯარო-საღრიცხვო საექსპლოატაციო ქვეგანყოფილებამ მოითხოვა შემთხვევით გამორჩენილი მამულების ჩამორთმევა მეპატრონეებისაგან. უქმმა დაიბრუნა კიდეც. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ხუთი წლის განმავლობაში აღნიშნულ მამულებს ფლობდენ ისევ ყოფილი მეპატრონენი, რომლებმაც ჩამორთმევა უკანონოთ სცნეს და მოითხოვეს ჩამორთმეულ მამულების უკან დაბრუნება. დღეს ეს საკითხი გადაცემულია სასამართლოზე და ჯერ არავინ იცის რით დამთავრდება ეს ხელოვნურად და დაუდევრობით შექმნილი დავა.

უქმმა იზარალა 30.000 მანეთი, მაგრამ თუ მან ეს მამულები ხელიდან გაუშვა ამ 30.000 მანეთს დაემატება კიდევ ყოველწლიურად 6.000 მანეთის ზარალი, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვება ქალაქის შემოსავალს.

ვინ უნდა აგოს ამაზე პასუხი?

**აღმასკომის მოკეთე.**

### სად არის მომჭირნეობა?

(საყუდი)

ტფილისის საყუდის ორთქლმავალთა გუნდების მუშაობას აწესრიგებს ერთი გამწესრიგებელი და ხუთი მეტაბულე, რომლებიც რიგ-რიგობით მორიგეობენ საყუდში და შეაქვთ სათანადო წიგნებში ცნობები: გუნდების ორთქლმავალზე ყოფნის დრო, მათ მიერ გავლილი კილომეტრების რაოდენობა და სხვ. აგრეთვე აძლევენ გუნდებს ორმოცდა ორი საათის და ნორმალურ დასვენებას და აღნიშნავენ დროს, როდის უთავდებათ გუნდებს დასვენება და როდის უნდა გამოვიდენ სამუშაოთ.

ამ ცნობების დამიხედვით გამწესრიგებელმა უნდა შეადგინოს განწესი, რომლის შესახებ ცნობებს კრებს მისი მეტაბულე. ისე რომ გამწესრიგებელს უწევს მხოლოდ განწესის ფორმალურად დაწერა და მასზედ ხელის მოწერა. ამ დროს როდესაც ამის შესრულება თავისუფლად შეუძლია ერთ კაცს 5—6 საათის განმავლობაში. მეტაბულეების რიცხვის შემცირებით საქმეც გამარტივდება და რამდენიმე ათეულ მანეთსაც შესძენს რკ. გზის სალაროს. გამწესრიგებელი თვიურად იღებს 200—250 მანეთს გასამრჯელოს. ამიტომ ის უნდა დაიტვირთოს საქმით.

**აბი.**

—:—

### ცოლის რევიზორი

არსებული კანონის თანახმად ცოლი და ქმარი ერთ და იმავე დარგში არ უნდა მსახურობდეს. მით უმეტეს თუ მათ ერთმანეთის რევიზიის გაკეთება უხდებათ სამსახურში. მაგრამ სადგურ ტფილისში ეს კანონი არ ვრცელდება. აქ კომერციულ რევიზორათ მსახურობს ვინმე მშვენიერაძე, ხოლო მისი ცოლი კი ამავე სადგურში ბილეთების მოლარეა. მშვენიერაძის მოვალეობაა გაუკეთოს რევიზია თავის ცოლს სალაროს მუშაობაში,

ჩვენის აზრით ცოლის და ქმრის ასეთ თანამდებობაზე სამსახური დიდ ზიანს მოუტანს რკინისგზას. გარდა ამისა ერთ ოჯახიდან ორი წევრის სამსახური, როდესაც ზოგიერთ ოჯახიდან არავინ არ მსახურობს, ეს დანაშაულიც არის.

საჭიროა რკინისგზის გამგეობამ ანგარიში გაუწიოს ამ გარემოებას და ერთ-ერთი მათგანი მოხსნას სამსახურიდან.

**ნათელა.**

—:—

### საყურადღებო წვრილმანი

### დასვენებით ვერ ჰსარგებლობთ

მე-12-ტე სამილიციო რაიონის საუწყებო მილიცია არ სარგებლობს დასასვენებელ დღეებით. ისინი განუწყვეტლივ მუშაობენ კვირა უქმე დღეს და საამისოდ არავითარ გასამრჯელოს არ ღებულობენ. სხვა რაიონის საუწყებო მილიციას კი თვეში ხუთი - ექვსი დღე დასვენება ეძლევა.

ადგილკომმა უნდა მიიღოს ზომები რათა მე-12-ტე უბნის საუწყებო მილიციაზეც გავრცელდეს ყველა ის უფლებები, რომლითაც სარგებლობენ სხვა უბნის მილიციელები.

—:—

### რატომ არ დაამთავრეს

ლენინის უბანში, მუშათა ქუჩაზე, აღმასკომმა გათხარა ორმოები, მოიტანა მილები წყლის გასაყვანად და გაანება თავი. მას შემდეგ სამი თვე გავიდა და საქმე ჯერაც არ დამთავრებულა.

აღმასკომო, რატომ არ დაამთავრებ დაწყებულ საქმეს.

**მუშკორი გ. მეჩონგურე.**

# 10 წლის წინედ

## როგორ მზადდებოდა დიდი ოქტომბერი

### 15 ოქტომბერი ✓

### პეტროგრადის გლეხთა საბჭოს რეზოლიუცია

პეტროგრადის გლეხთა საბჭომ მიმდინარე მომენტზე მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც, — როგორც პირობას დემოკრატიული ზავის ჩამოსაგდებად, მოითხოვს ძალაუფლების გადაცემას საბჭოებისათვის, დიპლომატიური კორპუსის რეორგანიზაციის და წინადადების მიცემას რომ ყველა ფრონტებზე დაუყოვნებლივ შესწყდეს ბრძოლა

### „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“

მოსკოვში პრესნის რაიონის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ და ბასმანნი რაიონის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს სხდომამ საქარხნო-საფაბრიკო და როტების კომიტეტებთან ერთად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც მოუწოდებენ მასებს ყველა ძალების მობილიზაციისაკენ მომავალი ბრძოლებისათვის ლოზუნგით: „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს“. პრესნის საბჭო, გარდა ამისა, მოითხოვს დაუყოვნებლივ იქნეს მოწვეული მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ყრილობა, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს საკითხი საბჭოებისათვის ძალაუფლების გადაცემის შესახებ.

### მეორმოცდაორე კორპუსში

ვიბორგში გაიხსნა მეორმოცდაორე კორპუსის ჯარისკაცთა ყრილობა. ყრილობის გახსნის წინ ესერ-მენშევიკებმა—ყრილობის დელეგატებმა — გაუგზავნეს ცაკს დეპეშა, რომელშიც სთხოვდენ „ძლიერი დელეგაციის“ გაგზავნას ყრილობაზე. დელეგაცია გაგზავნეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყრილობის თავმჯდომარედ მაინც იქნა არჩეული ბოლშევიკი იუშკევიჩი.

### ბოლშევიკების გამარჯვება საქალაქო არჩევნებში

ტომსკის ქალაქის საბჭოს არჩევნებში ბოლშევიკებმა პირველი ადგილი დაიკავეს.

### ბოლშევიკური დროშის ქვეშ

ქ. კუზნეცკის (სარატოვის გუბ.) საგარნიზონო კრება მოითხოვს ომის შეწყვეტას დაუყოვნებლივ, ძალაუფლების გადაცემას საბჭოებისათვის და ბოლშევიკების პროგრამის მთელ რიგ სხვა მუხლების განხორციელებას.

### გლეხები მოითხოვენ მიწების კონფისკაციას

სმოლენსკის გუბერნიაში გლეხები მოითხოვენ მემამულეთა მიწების კონფისკაციას და მათ გადაცემას მიწის კომიტეტებისათვის დაუყოვნებლივ, დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. გლეხები პროტესტს აცხადებენ მიწის კომიტეტების დაპატიმრების წინააღმდეგ და მოითხოვენ დამფ. კრების მოწვევას.

### მენშევიკ - ესერები მიდიან

როსტოვში - დონზე 14 ოქტომბერს გარნიზონისა და მუშების მიერ ბოლშევიკების ლოზუნგით მოწყობილ დემონსტრაციის გამო, მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელი კომიტეტი, შემდგარი ესერ - მენშევიკებისაგან, გადადგა.

### ბოლშევიკური ორგანიზაციების ყრილობები

**ვიატკაში** გაიხსნა რ. ს.-დ. მ. პ. (ბ-ბის) ორგანიზაციების საგუბერნიო ყრილობა. ყრილობაზე წარმოდგენილია 7 ორგანიზაცია. 1.270 წევრით. ორი ორგანიზაციიდან. დელეგატები არ არის.

**ნიჟნი-ნოვგოროდში** დაიხურა ბოლშევიკური ორგანიზაციების საგუბერნიო კონფერენცია. კონფერენციაზე მოსმენილ მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ არა მარტო მუშებში, არამედ გლეხებშიც დიდი ლტოლვაა ბოლშევიკებისაკენ.

**სიმფეროპოლში** დაიხურა ბოლშევიკების ყრიმის პირველი კონფერენცია.

### ტაშკენტის ამბები

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს სხდომაზე მოხსენებით ტაშკენტის ამბების შესახებ გამოვიდენ ტაშკენტის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენლები, რომლებმაც განაცხადეს, რომ „ტაშკენტის საბჭოს გარეკა წარმოადგენს დასაწყისს იმ კურსისას, რომელიც აღებული აქვს მთავრობას საერთოთ ყველა საბჭოების მიმართ“. ამხ. ვოლოდარსკი, რომელიც გამოვიდა პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და ბოლშევიკური ფრაქციის სახელით, თავის სიტყვაში კიცხავს სამარცხვინო საქციელს საბჭოების ცაკისას, რომელმაც დასტური მისცა მთავრობას ტაშკენტში დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნაზე.

საბჭომ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც სრულ დახმარებას აღუთქვამს ტაშკენტის საბჭოს მისი სამართლიანი მოთხოვნილებების განხორციელებაში. რეზოლიუციას მხარი დაუჭირეს საბჭოს ყველა ფრაქციებმა ერთადერთ მენშევიკ — ბოგომაზოვის გამოკლებით.

### მენშევიკ - ესერები წითელი გვარდიის წინააღმდეგ

მოსკოვის ოლქის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ყრილობაზე მოსმენილ იქნა ბოლშევიკ ამხ. იაროსლავსკის მოხსენება და მენშევიკ რიბალსკის თანამოხსენება წითელი გვარდიის შესახებ, ესერ - მენშევიკების 151 ხმით მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც „მუშების შეიარაღებას უსარგებლოდ და ტეხნიკურად განუხორციელებლად“ თვლის. ბოლშევიკების რეზოლიუციამ წითელი გვარდიის შექმნის შესახებ შეკრიბა 123 ხმა.

### „რუსეთის რესპუბლიკის დრ. საბჭო“

დროებითი მთავრობის დახურულ სხდომაზე დამტკიცებული იქნა დებულება „რუსეთის რესპუბლიკის დროებითი საბჭოს“ შესახებ. საბჭოში შედის 555 წევრი, რომელთაც იწვევს დროებითი მთავრობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციების დადგენილებით. „საბჭო იხილავს იმ საკითხებს, რომელთა შესახებ დროებითი მთავრობა საჭიროდ სცნობს საბჭოს დასკვნის მიღებას. საბჭოს შეუძლია მისცეს დროებითი მთავრობას კითხვები, რომლებიც უკანასკნელის მოქმედებას შეეხება, მაგრამ დრ. მთავრობას შეუძლია უარი სთქვას პასუხის გაცემაზე ისეთ კითხვებზე, რომლებიც „სახელმწიფოს უშიშროების გამო არ უნდა იქნეს გამოქვეყნებული“. მინისტრები და მათი წარმომადგენლები მოსმენილ უნდა იქნენ საბჭოში, როგორც კი ამას მოითხოვენ ისინი.

დროებითი მთავრობამ 20 ოქტომბრისათვის გადასდო საბჭოს გახსნა.

### „გაერთიანებულ“ მენშევიკებს შორის

რ. ს.-დ. მ. პ. (გაერთიანებული) ც. კ. გამოიტანა დადგენილება, რომელშიც დამღუპველად სცნობს „რესპუბლიკის საბჭოს“ მოწვევის გადადებას და მოითხოვს საბჭოს მოწვევას 18 ოქტომბრისათვის.

იმავე სხდომაზე გამოტანილი იქნა დადგენილება, რომ „მინისტრი ნიკიტინი, რომელმაც გასწყვიტა კავშირი, როგორც პარტიასთან, ისე „რევოლიუციონურ“ დემოკრატიასთან, აღარ ითვლება პარტიის წარმომადგენლად მთავრობაში და პარტია მისი მოქმედებისათვის პასუხისმგებელი არ არის“.

### მკვდრები ალაპარაკდენ

ნიკოლოზ მეორეს სენატმა, შემდგარმა მემამულეებისა და ვაჭარ - სპეკულიანტებისაგან, რომელიც განაგრძობდა არსებობას დროებით მთავრობისა და ესერ-მენშევიკების წყალობით, უარი უთხრა დროებითი მთავრობას უკრაინის გენერალურ სეკრეტარიატისათვის მიცემულ ინსტრუქციების დამტკიცებაზე. სენატორებმა თათბირზე აღნიშნეს, რომ დრ. მთავრობის შეთანხმება უკრაინასთან უკანონოა, რადგან უკრაინას არ შეუძლია მიიღოს ავტონომია დამფუძნებელ კრებამდეო.

### „3—5 ივლისის საქმე“

**იუსტიციის ახალ მინისტრს მალიანტოვიჩს** თათბირი ჰქონდა პროკურატურასთან „3—5 ივლისის საქმის“ შესახებ. გადასწყდა, რომ საქმე განხილული იქნება „კანონიერი გზით“.

**„3—5 ივლისის საქმის“** გამო დაპატიმრებული რასკოლნიკოვი „კრესტიდან„ გამოგზავნილ წერილში აშკარავებს იმ ფალსიფიკატორულ მეთოდებს, რომლებსაც მიმართავენ ამ „საქმის“ გამოძიების დროს.

### სამხედრო მინისტრი — სპეკულიანტების დამცველის როლში

ფინეთის მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა საბჭოების საოლქო კომიტეტის კომისარმა ბელოოსტროვის საბაჟოში დააკავა უცხოეთში გასაგზავნათ დანიშნული ტვირთი (მათ რიცხვში 36 ვაგონი მანქანის ზეთი, სპილენძი, ფქვილი და შაქარი). სამხედრო მინისტრმა ვერხოვსკიმ ამის გამო საბაჟოს უფროსს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც წინადადებას აძლევდა მას, არ დაუშვას სხვადასხვა „კერძო პირების“ ჩარევა თავის საქმეებში და თუ ასეთ ჩარევას ექნება ადგილი, დაუყოვნებლივ ეცნობებია ამის შესახებ სამხედრო სამინისტროსათვის — „დამნაშავეთა“ დასაპატიმრებლად.

### სასურსათო კრიზისი

**რჟევში** სასურსათო ნიადაგზე დაწყებული არეულობის ჩასაქრობად გაიგზავნა ჯარები ტვერიდან, მოსკოვიდან და სმოლენსკიდან.

**მინსკში** სასურსათო კრიზისი გამწვავდა. პურის ულუფა შემცირებულია სამ გირვანქამდი ორ კვირაში (სულზე).

**პეტროგრადში** შეწყვეტილია კარაქის გაცემა. შაქრის ფასი გადიდებულია გირვ. 4 კაპეიკით.

**პეტროგრადის სამხედრო ოლქის შტაბში** რაიონულ სასურსათო საბჭოების მონაწილეობით შესდგა თათბირი სურსათის მიწოდების შესახებ პეტროგრადის მოსახლეობისათვის. თათბირზე ესერმა **რუტენბერგმა** განაცხადა რომ სურსათი საკმაოთ მოიპოვება, მაგრამ განაწილების საქმეში ბოროტმოქმედებას და დაუდევრობას აქვს ადგილიო.

### გაფიცვები

**ეკატერინბურგში** დასრულდა მბეჭდავთა გაფიცვა. მუშების ყველა მოთხოვნილებები დააკმაყოფილეს.

**აფთიაქების მუნიციპალიზაციის** შიშით მოსკოვის აფთიაქების პატრონები წავიდენ დათმობაზე გაფიცულ ფარმაცევტების მიმართ, დასთანხმდენ შტრეიკბრეხერების მოხსნაზე სამუშაოდან და კოლექტიური ხელშეკრულების განხილვაზე.

**შრომის სამინისტროს განსახილველად გადაეცა** კონფლიქტი მოსკოვ - ვინდავა - რიბინსკის რკინის გზის გამგეობასა და რკინისგზელებს შორის.

**პეტროგრადის აფთიაქების მოსამსახურეთა** კავშირმა გადასწყვიტა 16 ოქტომბერს გამოაცხადოს გაფიცვა, თუ აფთიაქების პატრონებმა უარი სთქვეს მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე.

**ადმინისტრაციასა და მუშებს შორის** კონფლიქტის გამწვავების გამო „ნევის საქციო საზ-ბა“-მ დახურა ფეხსაცმელების ფაბრიკა პეტროგრადში.

### მემაღაროეთა ყრილობა

ხარკოვში გაიხსნა დონისა და კრივოი როგის მემაღაროეთა დამფუძნებელი ყრილობა. გადასწყვიტეს დაარსონ სამხრეთ - რუსეთის მემაღაროეთა პროფ.-კავშირი.

### პოლონური ნაწილების მოწყობა

კოსტიუშკოს გარდაცვალების ასი წლის თავზე მინსკში გაიმართა ალლუმი პოლონური ნაწილების, რომლებიც კერენსკის ნებართვით ეწყობოდა.

## ამიერ-კავკასიაში

(საქართვ. რევოლიუც. მუზეუმის მასალებიდან)

### კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ყრილობა

ტფილისში გაიხსნა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ყრილობა.

ყრილობას ხსნის ამხ. **ფ. მახარაძე**, რომელიც აღნიშნავს კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველი ყრილობის უდიდეს მნიშვნელობას. მიუთითებს რა იმაზე, რომ კავკასიის სოციალ - დემოკრატიული (ბოლშევიკური) ორგანიზაციები დაარსების დღიდანვე იდგენ მტკიცედ მარქსისტულ პოზიციებზე, ამხ. მახარაძე გამოსთქვამს იმედს, რომ რევოლიუციონური მასები ჩქარა ჩამოშორდებიან ობორონცებს.

შემდეგ ყრილობა შეუდგა პრეზიდიუმის არჩევას. საპატიო თავმჯდომარეებათ ყრილობა ირჩევს ამხ. ლენინსა და ზინოვიევს, რასაც დელეგატები მხურვალე ოვაციებით ხვდებიან.

პრეზიდიუმის შემადგენლობა დამტკიცებულია შემდეგი სახით: თავმჯდომარეები — ამხ. **ფ. მახარაძე, ქავთარაძე, ყორგანოვი, ივნიცკი, შავერდოვი, სამდივნო—აკოზოვა, ალაჯალოვა, ცინცაძე, დენისოვი და ოსეპიანცი.**

სამანდატო კომისიის ცნობებით ყრილობის შემადგენლობა ასეთია: გადამწყვეტი ხმით წარმოდგენილია 19 ორგანიზაცია — 8.436 წევრით (26 დელეგატი); სათათბირო ხმით — ხუთი ორგანიზაცია — 200 წევრით (სამი დელეგატი).

წარმომადგენლები ყრილობაზე ესწრებიან: ფოთიდან —1, ბაქოდან — 4, ტუაპსედან—1, აგბატიდან — 2, ეკატერინოდარიდან — 1, ქუთაისიდან — 2, გორიდან — 1, განჯიდან — 2, ბათომიდან — 2, კისლოვოდსკიდან და პიატიგორსკიდან — 2, ტფილისიდან — 6, ტყვიის მფრქვეველთა პოლკიდან — 2, სარაყამიშიდან — 1, ყარსიდან — 2, შერიფ - ხანედან—2, ტრაპიზონიდან—1, მაცესტადან — 2, ზუგდიდიდან — 1, ჩოხატაურ - ერკეთ-ხიდისთავიდან —1.

ყრილობამ დაადგინა დაუშვას ყრილობაზე რევოლიუციონურ - დემოკრ. ორგანიზაციების ბოლშევიკური ფრაქციების (ქალაქის საბჭოს ფრაქციიდან — 1, ტფილისის საბჭოს — 3, საოლქო ცენტრიდან — 1) და აგრეთვე პარტიულ ორგანოების „კავკაზსკი რაბოჩი“-ს, „ბრძოლა“-ს, და „ბანვორი კრივ“-ის სარედაქციო კოლექტივების წარმომადგენლები.

ამხ. ქავთარაძე წინადადებას იძლევა, რომ რადგან ბნელი ძალები უკვე ცდილობენ ქუთაისში მომხდარი დარბევა ბოლშევიკურ აგიტაციას მიაწერონ, გაიგზავნოს ქუთაისში სამი წარმომადგენელი. წინადადება მიღებულია. ქუთაისში გაიგზავნა ამ-ბი — ყორგანოვი, მიშჩენკო და გახოკია.

### მენშევიკების ყრილობის დახურვა

დაიხურა მენშევიკების ა-კავკასიის ორგანიზაციების ყრილობა.

### ბაქოში გაფიცვა შეწყდა

ექვსი დღის გაფიცვის შემდეგ ნავთის მრეწველები დათმობაზე წავიდენ.

საგაფიცვო კონფერენციის სხდომაზე ის. რამიშვილმა აღიარა, რომ ბაქოს მუშებმა გაიმარჯვეს არა მარტო კაპიტალისტებზე, არამედ მასზე — ის. რამიშვილზეც, რადგან ის იყო გაფიცვის წინააღმდეგი.

საგაფიცვო კომიტეტმა გაფიცვა მოხსნილად გამოაცხადა 16 ოქტომბრიდან.

მრეწველების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს აქტს კოლექტიური ხელშეკრულების მიღების შესახებ.

### მღელვარება ქუთაისში

ქუთაისში დაიწყო მღელვარება სასურსათო ნიადაგზე. ბნელმა ელემენტებმა ისარგებლეს ამით და მოაწყვეს მაღაზიების რბევა. რბევაში, ქუთაისის „სოც.-დემოკრატის“ ცნობით, მონაწილეობას იღებდა ჯარისკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი ბევრი ქურდ - ბაცაცა. წესრიგის აღსადგენად ბათომიდან გამოიწვიეს ჯარის ნაწილები.

ქალაქში სამხედრო წესრიგი გამოცხადდა.

პოგრომში გარდა ზოგიერთი ჯარისკაცებისა და ქურდ - ბაცაცებისა, მონაწილეობას იღებდენ აგრეთვე „კარგადჩაცმული ქალებიც“ (ტფილისის საბჭ. „უწყებები“ № 154).

# ინდუსტრიალიზაციის სესხი

## ხელის მოწერა ფაბრიკა-ქარხნებში

### რკინისგზების მთავარ სახელოსნოში

14 ოქტომბერს, მუშაობის შემდეგ შესდგა რკ. გზის მთავარ სახელოსნოს მუშების და მოსამსახურეების საერთო კრება. ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჩხენკელმა, რომელმაც დაწვრილებით განუმარტა მუშებს სესხის მნიშვნელობა და მოუწოდა ყველას შეიძინონ ობლიგაციები. კრებამ მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნა, რომ პროფკავშირის ყველა წევრმა უნდა მიიღონ მონაწილეობა ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების გავრცელებაში.

სარონოდო საამქროს მუშებმა უკვე მოაწერეს ხელი 900 მან ობლიგაციაზე. ხელის მოწერა გრძელდება.

### რკ. გზის სტამბაში

12 ოქტომბერს, ა.-კ. რკ. გზის სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების რეალიზაციის შესახებ — მოხსენება გააკეთა ამხ. **დგებუაძემ**, რომელმაც გააცნო კრებას ხელისმოწერის პირობები.

მოხსენების შესახებ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებს ყველა მუშა-მოსამსახურეებს არც ერთი არ დარჩეს უობლიგაციოთ. მუშებმა დღემდე კოლექტიურად ხელი მოაწერეს 4.830 მან. ობლიგაციაზე. ხელის მოწერა გრძელდება. ამხ. **ი. ხითაგაშვილმა, ზავერდოვმა, ნაცვლიშვილმა, და ა. მირიმანოვმა** ხელი მოაწერეს **თითოს 200 მან. ობლიგაციაზე.**

**რ—ლი.**

### ა.-კ. რკ. გზის საშემოსავლო დარგში

ა.-კ. რკინის გზის საშემოსავლო დარგის, ნავთსადენისა და სტატისტიკურ - კარტოგრაფიულ მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებაზე, ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **კერპინმა.**

მიღებულ რეზოლიუციაში კრება სურვილს გამოსთქვამს, რათა ყველანი აქტიურად ჩაებან სესხის ობლიგაციების რეალიზაციის საქმეში.

დღემდე ხელი მოაწერეს 8.500 მანეთის ობლიგაციაზე.

**თგ—ლი.**

### აღმასკომში

13 ოქტომბერს აღმასკომის თანამშრომელთა საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის დანიშნულებისა და ობლიგაციის შეძენის პირობების შესახებ, ერთხმად დაადგინა: „ჩატარდეს ინდუსტრიალიზაციის სესხზე კოლექტიური ხელისმოწერა ყველა მუშა - მოსამსახურეთა შორის იმ ნორმის მიხედვით, რომელიც შეფარდებულია ხელფასის რაოდენობასთან. მსურველს შეუძლია გაადიდოს ეს ნორმა თავისი ნებით.

აღმასკომის მუშა-მოსამსახურეებმა მთელი ასი პროცენტით მიიღეს მონაწილეობა ინდუსტრიალიზაციის სესხის განაღდების საქმეში.

**ჯაფარ-ფაშა.**

### 26 კომუნარის ქარხანაში

26 კომუნარის სახელობის ქარხნის პროფაქტივის გაფართოებულ კრებაზე ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობისა და მის განაღდების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **საბანელიძემ**. მოხსენების შესახებ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომ არც ერთი მუშა არ დარჩეს უობლიგაციოდ. დღემდე მუშებმა ხელი მოაწერეს 6.170 მან. ობლიგაციაზე. ხელისმოწერა კოლექტიურად სწარმოებს.

**ქარ—ლი.**

### „ცეკავშირის“ სტამბაში

„ცეკავშირი“-ს სტამბის მუშა - მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს 790 მან. ობლიგაციაზე. კოლექტიური ხელისმოწერა გრძელდება.

**ი. რ. მ.**

### „საწერ - კალამი“-ს სახელოსნოში

„საწერ - კალამი“-ს სახელოსნოს მუშები შეგნებულად შეხვდენ ინდუსტრიალიზაციის სესხის კამპანიას. ადგილკომის თაოსნობით მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს 500 მან. ობლიგაციაზე. ხელისმოწერა კიდევ გრძელდება.

**გ. დ—ნი.**

### არც ჩვენ ჩამოვრჩით

14 ოქტომბერს, შესდგა აგურის ქარხნის № 1-ლის მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ. კრებას დაესწრო მუშების ასი პროცენტი. მოხსენების შემდეგ ამორჩეულ იქნა კომისია სამი კაცისაგან, რომლებსაც დაევალა სესხზე ხელისმოწერის ჩატარება. მუშები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ობლიგაციების გავრცელებაში.

**მიხ. გოკუჩავა.**

### ინვალიდთა დამხმარე კომიტეტის თანამშრომელთა შორის

საქართველოს ცაკთან არსებულ ინვალიდთა დამხმარე კომიტეტის ადგილკომის თანამშრომლებმა მოისმინეს რა ამხ. **პ. გოგიშვილის** მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ, დაადგინეს ყველამ, შესაძლებლობის ფარგლებში, შეიძინონ ობლიგაციები. სესხზე ხელისმოწერის ჩატარება დაეკისრა ამხ. პ. გოგიშვილს. არ დარჩენილა არც ერთი თანამშრომელი, რომელსაც ერთი ობლიგაცია მაინც არ შეეძინოს.

**რ—ნი.**

### 100 პროცენტით

საქართველოს შრომის სახ. კომისარიატის და სოციალზღვევის სამმართველოს თანამშრომელთა გაერთიანებულ კრებას ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ მოხსენება გაუკეთა ა-კ. შრომის შემნახველ სალაროთა გამგემ ამხ. **სააკიანმა.** მოხსენების შემდეგ გაიმართა ხელისმოწერა. პირველ ხით შრომის სახკომისარიატის 76 თანამშრომელმა ხელი მოაწერა 1.765 მანეთის ობლიგაციაზე, ხელისმოწერა გრძელდება. გარდა ამისა მეორე ხით სწარმოებს ხელისმოწერა საქართველოს სოც. დაზღვევის სამმართველოში.

**შ—ძე.**

### კომუნისტურ უნივერსიტეტში

10 ოქტომბერს, შესდგა ამიერ - კავკასიის კომუნისტ. უნივერ. სტუდენტთა, ლექტორთა, მუშა-მოსამსახურეთა და კოოპერატიული კურსების მსმენელთა საერთო კრება. კრებაზე ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. **ათაბეკოვი.** მომხსენებელმა აღნიშნა სესხის მნიშვნელობა ჩვენი მრეწველობის განვითარებაში და მოუწოდა ყველას მონაწილეობა მიიღონ ობლიგაციების გავრცელებაში. კრებამ მოხსენების ირგვლივ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ სტუდენტებმა მთლიანათ უნდა შეიძინონ არა ნაკლებ თითო მანეთის ობლიგაციისა. ლექტორებმა და მუშა-მოსამსახურეებმა კი ჯამაგირის მიხედვით. დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად გამოყოფილი იქნა კომისია ამხ. ათაბეკოვის, ბერიოზინის და ავდანინის შემადგენლობით. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას.

**ვ. გოლაძე.**

### საბჭოთა და სავაჭრო მუშაკებში

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის მეორე რაიადგილკომის მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებაზე, ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის შესახებ ილაპარაკა ამხ. **დევიძემ.** მან აღნიშნა ამ სესხის მნიშვნელობა და მოუწოდა მუშებს ობლიგაციების გავრცელებისაკენ. დღემდე მუშა - მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს 560 მან. ობლიგაციაზე. ხელის მოწერა გრძელდება.

**ადგილობრივი.**

### ბაქოში გასაღდა 300.000 ობლიგაცია

**ბაქო,** 14 ოქტომბერი. ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის შესახებ აზერბეიჯანის ფინსახკომში ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს აცნობეს, რომ ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელის მოწერამ ბაქოში გადააჭარბა 300.000 მანეთს. ინდუსტრიალიზაციის სესხის გასაღების საქმეში შრომელთა მასების მონაწილეობა მასიურ ხასიათს ატარებს. სესხის ობლიგაციები შეიძინა ბაქოს მშრომელთა 50 პროცენტმა.

ყველა მაზრებში და თემებში შედგენილია ინდუსტრიალიზაციის სესხის გასაღებისათვის ხელისმწყობი საბჭოები. მაზრებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ სესხზე ხელის მოწერა 100 პროც. იქნება ჩატარებული. (ადს.)

# თათბირები

## ა.-კ. სახ.-სამ. კოოპერაციის ინსტრუქტორთა თათბირი

### მეორე სხდომა

საქართველოს სასოფლო-სამ. კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ნ. ლეჟავა.

სას.-სამ. კოოპერაცია საქართველოში ომის წინა ხანებში ვითარდებოდა ძალიან სუსტად. ომის შემდეგ და განსაკუთრებით 1923 წლის შემდეგ იწყება საქართველოს სას.-სამ. კოოპერაციის ჩქარი ზრდა.

კოოპერატიულ მუშაობას პირველ ხანებში აფერხებდა პარალელიზმი სხვადასხვა სახის კოოპერაციასთან (სამომხმარებლო და საკრედიტო). აღნიშნული დაბრკოლებები დაძლეულ იქნა მეთოთხმეტე პარტკონფერენციის შემდეგ, შექმნა მთლიანი სისტემა სას.-სამ. კოოპერაციის, რომლის ერთ მთავარ სახეთ აღიარებული იქნა სას.-სამ. საკრ. ამხანაგობა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ზრდა შემდეგნაირად მიმდინარეობდა: 1924 წლის 1 ოქტომბრისთვის არსებობდა სულ 103 ამხანაგობა—32.409 მეურნეობით; 1925 წლის 1 ოქტომბრამდე 275 ამხანაგობა—71.100 მეურნეობით; 1926 წლის 1 ოქტომბრისთვის—225 მეურნეობა—82.190 მეურნეობით და 1927 წლის 1 ივლისისთვის 307 ამხანაგობა—96.000 მეურნეობით. შემცირება 1926 წელში აიხსნება სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობათა გაერთიანებით. მომავალი მშენებლობა წავა ორი მიმართულებით. 1) სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობა და 2) სპეციალური სახის სასოფლო სამეურნეო ამხანაგობები.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მშენებლობის და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას აწარმოებს „სოფლის კავშირი“.

ყარაბახის სას.-სამ. კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. ენგიბაროვი, რომელიც ამბობს, რომ ყარაბახის სას.-სამ. კოოპერაცია ქსელი განისაზღვრება 11 სას.-სამ. საკ. ამხანაგობით, 1 მეფუტკრეთა ამხ. და 1 მეფრინველეთა ამხ.-ბით.

საორგანიზაციო მშენებლობა უკანასკნელ ხანამდე ვერ იყო მოგვარებული, მაგრამ უკანასკნელ ხანებში ამ მხრივ მუშაობა გაძლიერდა.

სოფლების მეურნეობათა რიცხვი ყარაბახში უდრის 26.000-ს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში გაერთიანებულია მცხოვრებლების 28.5 პროც.. დიდი ყურადღება ექცევა კოლექტიურ მეურნეობათა განვითარებას.

დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ქალთა შორის მუშაობის საკითხს. ამ მიზნით დაარსებულია ორი ამხანაგობა: 1) მეფუტკრეთა ამხანაგობა—35 მეურნეობით და მეფრინველეთა ამხანაგობა—18 მეურნეობით.

## თათბირი მეთამბაქოეობის შესახებ

### მესამე სხდომა

გუშინ, საღამოს 7 ნახ. საათზე შესდგა თათბირის მესამე სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა მხოლოთ ერთი მოხსენება.

### თამბაქოს გადამუშავება

(ვ. ლაკირბას მოხსენება)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინად თამბაქოს გადამუშავება (ფერმენტაცია) ვერ იყო დაყენებული სათანადო დონეზე.

ამ გარემოებას ნაწილობრივად ხელს უწყობდა ისიც, რომ აფხაზეთში არ არსებობდა ქიმიური ლაბორატორიები და სხვა საჭირო მოწყობილობანი.

თამბაქოს გადამუშავების საქმეს გაუმჯობესება დაეტყო მას შემდეგ, რაც სათანადო ორგანოებს წარედგინა მოხსენება თამბაქოს ფერმენტაციის სფეროში მთელი რიგი ახალი ცდების მოხდენის შესახებ. ცდებმა ნაყოფიერი შედეგები გამოიღეს. სათანადო თანხის უქონლობა დიდათ უშლის ხელს მეცნიერული მუშაობის გაძლიერებას.

რამოდენიმე ხნის წინად გადამუშავებული იქნა 1700 შეკვრა პირველი და მეორე ხარისხის ნედლი თამბაქო. გადადუღების პროცესი დამთავრდა სამი თვის განმავლობაში. ამნაირად თამბაქოს გასაღება ბაზარზე მოხერხდა სულ მოკლე ხნის განმავლობაში.

ცდებით დადასტურდა, რომ ფერმენტაციაქმნილ თამბაქოს აქვს კარგი სურნელება და ღირსებითაც კარგია.

აღნიშნა რა ცდების უდიდესი მნიშვნელობა თამბაქოს კულტურის განვითარების საქმეში—მომხსენებელმა მიუთითა იმ ღონისძიებებზე, რომელთა გატარება ცხოვრებაში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

თამბაქოს გადამუშავების ახალი ცდები დიდი ხანია, რაც ცნობილია საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ქალაქებში, მაგრამ აფხაზეთში ეს ახალი საქმეა.

მომხსენებელი დაწვრილებით აცნობს თათბირს მწვანე და ყვითელი ფერის თამბაქოს ფურცლების გადამუშავების ახალ წესებს. შემდეგ მას მოჰყავს საბჭოთა კავშირის ცნობილი პროფესორების აზრი ცდების დადებითი შედეგების შესახებ.

დასასრულ მომხსენებელი აცხადებს, რომ ამნაირი წესით დამზადებული თამბაქო იძლევა 14 პროცენტ ზედმეტ მოგებას და იწვევს ხარჯების მომჭირნეობას.

მომხსენებელს მისცეს შეკითხვები, რაზედაც მან გასცა ამომწურავი პასუხი.

მოხსენება თათბირმა მიიღო ცნობათ და გამოსთქვა სურვილი, რომ დაინტერესებულ ორგანიზაციებმა გაიღონ საკმაო თანხა ამ საქმის გასაფართოებლად.

თათბირის უკანასკნელი სხდომა შესდგება დღეს.

## მეაბრეშუმეთა თათბირი

### მეოთხე სხდომა

საგრენაჟო განყოფილების მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს განყოფილების გამგე ამხ. **შ. ცქიტიშვილი.**

მეთესლეობას საქართველოში მკვიდრი საფუძველი ეყრება მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ. ამ გარემოებას ხელი შეუწყო პარკზე მონოპოლიის გამოცხადებამ. ჯერ კიდევ „ცეკავშირი“ დარწმუნდა ევროპის თესლის დაბალ ხარისხში. აქედან იწყება მეთესლეობის აღორძინების ხანა. ჩვენს მეაბრეშუმეებს მეთესლეობა ვერ წარმოუდგენიათ კერძო ინიციატივის გარეშე.

ამჟამად თესლის დამზადებას „საქართველოს აბრეშუმი“ თანდათან აფართოებს. 1926 წელში ტრესტის სადგურებში დამზადდა 75.000 კოლოფი თესლი, სხვა სადგურებში—30.000 კოლოფი, ხოლო შემოტანილი იქნა 10.000 კოლოფი.

წლევანდელ მოუსავლიანობის გამო. ტრესტი იძულებული გახდა შემცირებინა დამზადების რაოდენობა და შეენარჩუნებინა თესლის სიჯანსაღე. გაისისთვის ტრესტი ამზადებს 60.000 კოლოფ თესლს, სხვა სადგურები 35.000 კოლოფს, საზღვარ გარეთიდან შემოტანილი იქნება 10.000 კოლოფი.

ქუთაისის მეორე სადგურის დროზე აგებას ხელი შეუშალა უამინდობამ, პირველი ქარხანა კი სეზონისთვის მზად იყო.

საგრენაჟო პარკის დამზადება თხოვულობს დიდ სიფაქიზეს, რაც ვერ სრულდება დამაკმაყოფილებლათ.

სადგურზე მიტანილი იყო წელს სულ 53.671 კილოგრამი პარკი. აქედან მიკროსკოპიულ ანალიზის შემდეგ სადგურზე დატოვებული იქნა 22.000 კილოგრამი.

ყოველგვარი ზომებია მიღებული, რომ მომავალ წლისთვის დარიგდეს რაც შეიძლება კარგი ხარისხის თესლი.

### მეხუთე სხდომა

ამხ. შ. ცქიტიშვილის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელმაც მთელი სხდომა გასტანა. კამათში მონაწილეობა მიიღეს: გ. გოგიტიშვილმა, ჯანდიერმა, ერქომაიშვილმა, ს. ლომახიძემ, ნ. ქარცივაძემ, შ. ჩხეიძემ, შ. ხუნდაძემ, მაჭავარიანმა, ალშიბაიამ, კალანდაძემ, შარიქაძემ, ჩიტალაძემ და კოპაძემ. ორატორები აღნიშნავდენ, რომ სადგურების აგება დაჩქარებით არ უნდა სწარმოებდეს, მათი აგება უნდა დაიწყოს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც საკითხი ყოველმხრივ იქნება შესწავლილი; საჭიროა ჭიის ჯიშების შესწავლა და ისეთი ჯიშების გავრცელება, რომელიც ჩვენს პირობებში უფრო გამოსადეგია.

მეაბრეშუმეობის საქმის სწავლება გადატანილ უნდა იქნეს სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში და სოფლათ გამრავლდეს მომზადებული მეაბრეშუმეები, რომელთაც უფრო მეტი ნდობაც ექნებათ და მეტის გაკეთებასაც შესძლებენ.

## გ. პატეკის გამგზავრება

### კახეთში

გუშინ პოლონეთის სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში ბ. პატეკი თავისი მრჩეველ ბ. სკშინსკის თანხლებით საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა რწმუნებულ ამხ. კარკლინთან ერთად გაემგზავრა კახეთში. ბ. პატეკი, სხვათა შორის, ინახულებს და დაათვალიერებს წინანდალის სახალხო მამულს. კახეთიდან ბ. პატეკი ტფილისში დაბრუნდება დღეს.

## საკავშირო კონფერენცია

### სუბტროპიკული კულტურების შესახებ

დღეს სოხუმში გაიხსნება სრ. საკავშირო კონფერენცია სუბტროპიკული კულტურის შესახებ.

იმ შენობაში, სადაც დანიშნულია კონფერენციის სხდომები, წინასწარ მოწყობილი იქნა სუბტროპიკულ მცენარეთა გამოფენა, რომელზედაც თავთავიანთი ექსპონატები წარდგენილი აქვთ აფხაზეთის სასოფლო - სამეურნეო დაწესებულებებს. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან ცენტრალურ სამრეწველო, სასოფლო - სამეურნეო ორგანოების, უმაღლეს სასწავლებლების და სამეცნიერო ასოციაციების წარმომადგენლები. საქართველოდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის, ს. მ. უ. ს. სოფლის კავშირის, სახელმწიფო უნივერსიტეტის და პოლიტეხნიკური ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტების წარმომადგენელნი.

მთელ საბჭოთა კავშირიდან კონფერენციას დაესწრება დაახლოვებით 50 ორგანიზაციის წარმომადგენელნი. კონფერენციის დღის წესრიგი შეიცავს მთელ რიგ პრაქტიკულ საკითხებს სუბტროპიკულ მცენარეთა კულტურის გაშენების და გამოყენების დარგში. კონფერენცია გაგრძელდება 10 დღეს.

## ოქტომბრის რევოლუციის

### ათი წლის თავისათვის

### რკინიგზელები

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე „ტრანსპორტნაია გაზეტა“ რედაქცია (გზათა კომისარიატის ორგანოა) უშვებს გაზეთის ორ სპეციალურ ნომერს.

ერთ მათგანში გაშუქებული იქნება მთელი საბჭოთა კავშირის ტრანსპორტის მუშაობა, მდგომარეობა და მიღწევები ამ ათი წლის განმავლობაში, ხოლო მეორე ნომერი მთლიანად დაეთმობა განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის ტრანსპორტს.

გაზეთის აღნიშნულ ნომრების ჩვენ რკინისგზელთა შორის ფართოდ გასავრცელებლად, ამ.-კავკ. რკ. გზ. გამგეობამ გადასწყვიტა შეიძინოს იგი 10.000 ეკზემპლიარის რაოდენობით.

### ს. მ. უ. ს. ს:—ში

### საიუბილეო დღესასწაულებზე

ოქტომბრის რევოლიუციის საიუბილეო დღესასწაულების დღეებში, ს. მ. უ. ს. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ინიციატივით მოხდება აგურ-კრამიტის ქარხნის საფუძვლის ჩაყრა სოფ. ნოსირში. (სენაკის მაზრა) და საკონსერვო ქარხნის საფუძვლების ჩაყრა—გორში.

ქარხნების აგების დაწყებას დაესწრებიან ადგილ. მეურნეობის განყოფილების წარმომადგენლები.

### „ჩვენი მრეწველობა“

ს. მ. უ. საბჭოსთან არსებული ოქტომბრის რევოლიუციის საიუბილეო დღესასწაულების ჩამტარებელი კომისიის ინიციატივით, დაწყებულია დიდი საწარმოო კინო-ფილმის გადაღება, სახელწოდებით—„ჩვენი მრეწველობა“. ფილმში ნაჩვენები იქნება ს. მ. უ. ს. საწარმოო დაწესებულებების და ფაბრიკა-ქარხნების ყოველდღიური მუშაობის სურათები.

ფილმის გადაღება დასრულდება ოქტომბრის ბოლო რიცხვებში.

### შემოსავალ-გასავლის სალაროში

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე, შემოსავალ-გასავლის სალაროს თანამშრომელთა ადგილკომის კულტკომისია გახსნის კულტკუთხეს.

## რკინის გზის ლეგიონის საზეიმო სხდომა

გუშინ საღამოს ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის რკინის გზელთა კლუბში შესდგა № წითელ დროშოსან რკინის გზის ლეგიონის საზეიმო კრება, ლეგიონის საამშენებლო მუშაობიდან დაბრუნებისა და 1903 წელში დაბადებულ წითელ არმიელების უვადო შვებულებაში გაშვების გამო.

ლეგიონის მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ მოხსენებები გააკეთეს ლეგიონის თავმა ამხ. მატუზენკომ და სამხედრო კომისარმა ამხ. ნოვოსელსკიმ.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ლეგიონს 6 თვის განმავლობაში მეტად მძიმე პირობებში გაუყვანია რკინის გზის ხაზი 186 კილომეტრზე, აუგია რამოდენიმე ხიდი და უწარმოებია ფართო პოლიტ-განმანათლებლობითი მუშაობა სოფლად.

ლეგიონს მისალოცი სიტყვებით მიმართეს: ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ივანოვმა (შეფის სახელით), ამხ. ლევაშოვმა (არმიის სარდლობის სახელით). საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის სახელით ლეგიონს მიესალმა ამხ. **ვარდანიანი**, საქართველოს კომპარტიის (ბ) ლენინის რაიკომის სახელით ამხ. **კალანდია**, ამიერ-კავკასიის ფეხოსანთა სამხედრო სკოლის სახელით ამხ. **ორლოვი**, ლეგიონის პარტორგანიზაციის სახელით ამხ. **მოკშინი** და ტფილისის გარნიზონის სპეციალურ ჯარების სახელით ამხ. **ტაკტაევი.**

საპასუხო სიტყვები წარმოსთქვეს წითელ არ და ავერინმა.

მილებმა ამხ. ვარძელაშვილმა, მიხაილოვმა დასასრულ მოხდა ლეგიონისათვის, მისი უფროსთა შემადგენლობისა და წითელ არმიელებისათვის საჩუქრების დარიგება.

ლეგიონმა მიიღო, გზათა მიმოსვლის ჯარების კორპუსისაგან დასაკრავი ინსტრუმენტები და მოწმობა ოლიმპიადაზე მონაწილეობის მიღებისათვის.

შეფისაგან (ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა და სამმართველო) საჩუქრები დაურიგდათ ლეგიონის უფროსშემადგენლობის წევრებს და წითელ არმიელებს.

ზეიმის შემდეგ გაიმართა წარმოდგენა.

## საექიმო ექსპედიციის დაბრუნება

ზაფხულის განმავლობაში ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სამკურნალო განყოფილებამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დაგზავნა საექიმო ექსპედიციები. ამ ექსპედიციების დანიშნულებას შეადგენდა საექიმო დახმარების გაწევა ისეთ რაიონებისათვის, სადაც ობიექტიურ პირობების გამო ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის მოგვარებული სპეციალური სამკურნალო დახმარების საქმე.

სულ გაგზავნილი იყო 6 ექსპედიცია, მათ შორის 3 თვალის სნეულებათა საექიმო, 2 გინეკოლოგიური, 1 ფსიქო - ნევროლოგიური და 1 კბილის საექიმო.

თვალის სნეულებათა ექსპედიციებიდან ერთი მუშაობდა ბორჯომის რაიონში, მეორე ბორჩალოს და სიღნაღის მაზრებში, მესამე რაჭის და შორაპნის მაზრებში. ფსიქო - ნევროლოგიური —თელავის და ოზურგეთის მაზრებში. კბილის საექიმო — დუშეთის და ზუგდიდის მაზრებში; გინეკოლოგიური ექსპედიციებიდან — ერთი სამხრეთ - ოსეთში და ახალციხის მაზრაში, მეორე კი — ქუთაისის და შორაპნის მაზრებში.

თვითეულ ექსპედიციის მუშაობის ვადა განსაზღვრებოდა 3 თვით.

ექსპედიციები არ რჩებოდენ ერთ ადგილზე, არამედ გადადიოდენ სოფლიდან სოფლად, არკვევდენ ისეთ ავადმყოფთა რიცხვს, რომლებსაც სჭიროებოდათ კვალიფიკაციური ექიმთა და უწევდენ მათ სათანადო დახმარებას. ამ მხრივ ჩატარდა უდიდესი მუშაობა.

მიმოსვლის სიძნელისა და სიადვილისათვის ეს ექსპედიციები შესდგებოდა მხოლოდ ორ—ორი კაცისაგან: ექიმ სპეციალისტისაგან და მის თანაშემწისაგან, რომელიც ამავე დროს იყო ინსტრუქტორი.

ექსპედიციები არ სჯერდებოდენ საექიმო დახმარების აღმოჩენას: ისინი ატარებდენ აგრეთვე პროფილაქტიკურ მუშაობას, უხსნიდენ მოსახლეობას, თუ როგორ უნდა მოარიდონ თავი ავადმყოფობას. ამასთანავე ისინი ინსტრუქციებს აძლევდენ ადგილობრივ ექიმებს და აცნობდენ მათ უკანასკნელ სამეცნიერო მიღწევებს ამა თუ იმ დარგში.

ექსპედიციებს უხვად ჰქონდათ საჭირო მედიკამენტები და ინსტრუმენტები.

ამჟამად ეს ექსპედიციები ბრუნდებიან ტფილისში. მათი დაკვირვება ბევრ მასალებს შეიცავს საექიმო დახმარების მდგომარეობის შესწავლის საქმეს და საფუძვლად დაედება იმ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა იქნეს მიღებული ამ დახმარების გასაუმჯობესებლად.

# ქრონიკა

### სუ-ძინ-ლინის გამგზავრება

სუნ-იატ-სენის ქვრივი სუ-ძინ-ლინი, რომელიც გუშინ წინ ჩამოვიდა ბორჯომიდან ტფილისში ამხ. ევგენი ჩენთან ერთად, გუშინ უკანვე გაბრუნდა ბორჯომში.

### ანრი ბარბიუსის დაბრუნება

დღეს ახალქალაქიდან ტფილისში დაბრუნდებიან ამხ. **ანრი ბარბიუსი და ს. თოდრია.** ა. ბარბიუსი დღეს, საღამოს, დაესწრება ოპერის სეზონის გახსნას, ხვალ კი, 16 ოქტომბერს, გაემგზავრება სომხეთში.

### მისალმება განათლების კომისარიატს

განათლების კომისარიატმა შილდის, ყვარელის და ენისელის თემების მასწავლებელთა კონფერენციისაგან მიიღო შემდეგი მისალმებელი დეპეშა: „შილდის, ყვარელის და ენისელის მასწავლებელთა კონფერენცია მხურვალეთ ესალმება განათლების კომისარიატს და აღუთქვამს, რომ აღნიშნული თემების მასწავლებლები მთელი ძალ - ღონით ეცდებიან პირნათლათ შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა. საბჭოთა ახალი თაობის აღზრდის საქმეში“.

ამავე შინაარსის მისასალმებელი დეპეშა მიიღო განათლების კომისარიატმა სენაკის მაზრის ჩხოროწყუს თემის მასწავლებელთა კონფერენციისაგან.

### სტუდენტთა რეგისტრაცია

სახელმწიფო უნივერსიტეტის ცნობით, დღეიდან, 15 ოქტომბრიდან იწარმოებს სტუდენტთა რეგისტრაცია. ახალ მიღებულ სტუდენტთა რეგისტრაცია იწარმოებს 20 ოქტომბრამდე, ხოლო ძველი სტუდენტების რეგისტრაცია გაგრძელდება 31 ოქტომბრამდე. სტუდენტები, რომლებიც არ გატარდებიან ვადებში რეგისტრაციაში, მექანიკურად იქნებიან გამორიცხული უნივერსიტეტიდან.

### ვენეროლოგიური კონფერენცია

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანეპიდემიური განყოფილება ნოემბრის ბოლო რიცხვებში იწვევს ვენეროლოგიურ კონფერენციას, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებენ ყველა იმ დაწესებულებების წარმომადგენლები, რომლებიც ბრძოლას აწარმოებენ ამ მიმართულებით.

### თევზების მომშენებელი საზოგადოება

ტფილისში დაარსდა საინიციატივო ბიურო ახალი საზოგადოება „საქართველოს თევზი“-ს დაარსებლათ. მოწვეულია საგეგმო კომისიის, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის, წყალთა მეურნეობის სამმართველოს, მიწა-ტყის პროფკავშირის, მონადირეთა კავშირის და სხვა დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

საზოგადოებას მიზნათ ექნება დასახული გამოკვლიოს და შეისწავლოს რესპუბლიკის ტბები და მდინარეები მათში სხვადასხვა ჯიშის თევზების მოსაშენებლათ.

### ჯანსახკომის გამომცემლობა

ჯანსახკომი შეუდგა მთელი რიგი ჟურნალების რეგულიარულად გამოცემას: „ს. ს. ს. რ. ჯანსახკომის უწყებები“, „თანამედროვე მედიცინა“ (ქართულ ენაზე) და სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის: „გზა ჯანმრთელობისაკენ“.

### სამრეწველო გეგმის დამუშავება

ს. მ. უ. საბჭო შეუდგა 1927-28 საბიუჯეტო წლისათვის სამრეწველო-საფინანსო გეგმის შედგენას, რომელიც გამომუშავდება საქართველოს მრეწველობისათვის გამანაწილებელ საკონტროლო ციფრების საფუძველზე.

ცალკე ტრესტების და შენაერთების სამრეწველო გეგმები დამუშავდება მიღებულ ლიმიტებთან შეთანხმებით. ტრესტების მიერ დამუშავებულ გეგმებს განიხილავს ს. მ. უ. ს. საგეგმო-საწარმოო განყოფილება.

### ტფილისის აღმასკომში

◆ **სასოფლო - სამეურნეო გადასახადის** აკრეფა თბ. მაზრაში წარმატებით მიმდინარეობს. მარტო გომბორის თემში აკრეფილია უკვე გადასახადის 90 პროც.

◆ **ახალი წარმოებების მოსაწყობად** ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას გადაეცა 150.000 მანეთი

◆ **ზოოლოგიური ბაღის მოსაწყობად** აღმასკომმა გადასდო 60.000 მანეთი.

◆ **ხეების გაშენება.** კეთილმოწყობის განყოფილებამ გადასწყვიტა მტკვარის ორივე ნაპირზე დარგოს ხეები.

◆ **კუნძული - ბაღი.** კეთილმოწყობის განყოფილება მომავალ წლიდან შეუდგება ვერის ბაღის პირდაპირ მტკვარში მდებარე პატარა კუნძულზე ბაღის გაშენებას.

### სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოში

◆ **ტყავეულობა.** სახ. მეურ. უმ. საბჭომ ბათომში გაგზავნა ერთი ვაგონი ტყავეულობა ადგილობრივი საჭიროებისათვის.

◆ **კვალიფიციური მუშები.** სახ. მეურ. უმ. საბჭო ნოემბრის პირველ რიცხვებში რუსეთის ცენტრალურ სამრეწველო ქალაქებში აგზავნის ახალგაზრდა მუშებს კვალიფიკაციის მისაღებად.

### სხვადასხვა

◆ **ფარმაცევტიული კურსები.** მედსანშრომის კავშირი ტფილისში ხსნის ფარმაცევტების გადასამზადებელ მოკლევადიან კურსებს.

◆ **საექიმო დახმარების კურსდამთავრებულნი.** საქ. წითელი ჯვრის საზ-ბა კვირას, 16 ოქტომბერს დილის 10 საათ. , იწვევს 1-ლ საექიმო დახმარების კურსდამთავრებულებს, რომელთა განაწილება ახლად დაარსებულ რაზმებში მოხდება ამავე დღეს.

### ჩაუბარებელი დეპეშები

ახალციხიდან—შტომანცს, ბორჯომიდან—პაშაევისას, ქობულეთიდან—გუგულის, ძირულიდან—პაშაევისას, ონიდან—ჯაფარიძეს, როსტოვიდან—მელიქოვს, ნუხიდან—ალი-მამედოვს, დიდი-კონოდან—რამიშვილს, ზუგდიდიდან—მესხის, ბალაჯარიდან—შენგელიას და მონაშიროვს, ტუაპსიდან—ხუნდაძეს, შუშიდან—სტოლოვოენკოს, გროზნიდან—ალხაზოვს.

# შემთხვევები

### სადგურის ქუჩაზე მომხდარ კატასტროფის მიზეზების გამოკვლევა

სადგურის ქუჩაზე მომხდარ კატასტროფის მიზეზების გამოსარკვევად კვლევა - ძიება გრძელდება.

ამჟამად მუშაობას აწარმოებს სპეციალისტთა კომისია; კომისიაში შედის ტრამვაის სამმართველოს მთავარი ინჟინერი **ტერ - ხაჩატუროვი**, ტელასის მათავირ ინჟ. **გ. მგელაძე**, პროფ. **დიდებულიძე**, მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელი **იტრიევი**, ფსიქოტეხნიკი ექიმი **წიწვავაძე** და კომუნალურ მუშაკთა კავშირის წარმომადგენელი.

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს უფროს გამომძიებლის **ლ. ვაჩნაძის** განკარგულებით ზეინკალი **გ. ოგანეზოვი** შემოწმებული იქნა ფსიქო - ტეხნიკურათ. მას არ აღმოაჩნდა ვატმანის საკმაო ცოდნა.

მეორეთ დაკითხვის დროს ბრალდებულმა ოგანეზოვმა შესცვალა პირველანდელი ჩვენება და სთქვა, რომ დაჯახების შემდეგ იგი დაიბნა და ვერ მოუჭირა მუხრუჭს.

— **ქურდი სიძე.** 13 ოქტომბერს, ვერის დაღმართი № 15 ნატალია ტატუნაშვილის ბინა გაქურდა მისმა სიძემ იასონ გამხეცაშვილმა და მიიმალა.

— **მორგებული გასაღების საშუალებით** 13 ოქტომბ. ვერის შესახვევ. № 32, ნინა მაღრაძის ბინიდან მოიპარეს 400 მან. ნივთები.

— **შეპყრობა.** 13 ოქტომბ. ნაქურდალი ნივთებით შეიპყრეს უცნობი პირი.

— **ბოტანიკურ ბაღში** მილიციელ აკოლგენკოზე თავდასხმისათვის შეიპყრეს ნიკოლოზ კოზლოვი.

— **გაქურდვა.** 13 ოქტომბერს სოფ- ნიშანის შესახ. № 2, ხავა ისაკის ასულ ახალკაცს მისმა ნათესავმა კაზარ ატანელოვმა მოპარა 350 მ. ნივთები და მიიმალა.

— ამავე დღეს უსახელო ქ. № 3, გაქურდეს თედორე ქეშიშოვის ბინა. წაღებულია სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

— **ქურდების შეპყრობა.** 13 ოქტომბ. შეიპყრეს ქურდები კონსტანტინე გალჩი და გრიგოლ მუსიკიანი.

— **კარების შემტვრევის საშუალებით** 13 ოქტომბ. ნახიჩევანის ქ. № 6 გაქურდეს ტერენტი დანელიას ბინა. წაღებულ ნივთების რაოდენობა გამოურკვეველია.

# ხელოვნება

## თბილისის მუშათა თეატრი

საბოლოოდ ჩამოყალიბდა თბილისის მუშათა თეატრის რუსული დრამის 1927—28 წლის სეზონის დასი. მუდმივ რეჟისორად დანიშნულია **ვ. ტატიშევი და ვლადიმერ შვეიცერი** (პესიმისტი). ცალკე დამდგმელებად მოწვეული არიან: **კ. მარჯანიშვილი და გუტმანი, ვ. ფედოროვი, ლ. ლუკინი და ა. ლიუბოში.**

**დასის შემადგენლობა**

ქალები: ე. ბელეცკაია, ე. გალაქტიონოვა, ა. კროტკოვა, ო. ლაკონსკაია, ნ. ლეშინსკაია, მ. ლიტვინოვა, ე. მოროზოვა, ვ. მურატოვა, ზ. მუროვა, ნ. ოგონ-დოგანოვსკაია, რ. ორელკინა, დ. პოდკოვა, ა. სემიონოვსკაია, ა. სმირნოვა, ნ. სნეჟინა:

ვაჟები: ო. იაკიმოვიჩი, ა. არკადინი, მ. ბორინი, ვ. ვასილიევი, ა. ვიქტოროვი, ნ. ვოლხოვსკოი, გ. გორელოვი, ა. ღლონტი, გ. გრანატი ვ. ირლატოვი, ს. კლიმოვი, ნ. კოლომენსკი, ა. ლიპნიცკი, ვ. ლიუბიმოვი, ა. ლუბოში, ვ. მატოვი, ე. გარცევიში, ვ. ოტრადინსკი, ი. ტალანოვი, ა. ხანდამიროვი, ი. ჩარსკი.

მხატვრები: ვიაჩესლავ ივანოვი, ვლადიმერ რობერგი; მუსიკა: ს. პახიევი (კომპოზიტორი) მ. ფერკელმანი (როიალი).

გარდა ამისა, დასის შემადგენლობაში **იმყოფება** აგრეთვე მსახიობის **დამხმარე ჯგუფი,** რომელშიც შედიან: ნ. ასლამაზოვა, ლ. გურევიჩი, ე. კოვალევა, ნ. პოლსატკინა, ა. რომანოვსკაია, ა. ფრიდმანი, ლ. ბელოგორცევი, კ. ვოლკოვი, მ. კომაროვი, ლ. კომარნიცკი, მ. კარვაშვილი, ა. კარატოვი და ე. ორიოლი.

**ახალი დადგმები**

რეპერტუარში შეტანილია შემდეგი ახალი დადგმები: ვსევოლოდ ივანოვის **„ჯავშნიანი მატარებელი"**, კირშენ უსპენსკის **„კონსტანტინე ტერიოხინი"**, ალ. ბაბელის—**„დაისი"**, კ. კატაევი—**„გამფლანგველები"**, ა. გრიბოედოვის—**„ვაი ჭკუისაგან"**, ალ. ნ. ტოლსტოის—**„ყურძნის წვენი"**, ა. ოსტროვსკის **„უმზითვო"**, მ. ლევიდოვის **„თანასწორთა შეთქმულება"** და ა. ფაიკოს **„ადამიანი პორტფელით"**,

ძველი დადგმებიდან სეზონში განახლებული იქნება: კ. ტრენევის «Любовь Яровая» ნ. გოგოლის **„რევიზორი"**, ს. ტრეტიაკოვის **„იბღავლე ჩინეთო!"** და ბილ-ბელოცერკოვსკის **„ღელვა"**.

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის დღესასწაულისათვის დასი ამზადებს გმირულ ეპოპეიას **„იერიში პერეკოპზე"**.

სეზონი გაიხსნება დღეს.

### ხელოვნების ქრონიკა

◆ **„ტყის ძმები"-ს საღამო.** დღეს, შაბათს, 15 ოქტომბერს, წითელ-არმიელთა და ფლოტის კლუბში (პლეხანოვის პრ. № 73) გაიმართება წითელ - რაზმების მოსაგონარი საღამო. აღმოსავლეთ საქართველოს პირველი წითელი რაზმის „ტყის ძმების" შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. **ვანო ბუჩაშვილი.** მოხსენების შემდეგ სცენაზე ნაჩვენები იქნება წითელი რაზმის და აფრასიონ მერკვილაძის სურათები.

საღამოში მონაწილეობას იღებენ მუშა - მოსამსახურეები და მომღერალთა გუნდები. დასასრულ გაიმართება ქალ - ვაჟთა ქართულ-კავკასიური ცეკვა.

◆ **საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კლუბში** დღეს გაიმართება დიდი საღამო. საღამოს წინ **გ. ყურულაშვილი** გააკეთებს მოხსენებას „ოქტომბრის რევოლიუციის 10 წ. თავი".

◆ **რუსთაველის აკადემიურ დრამის სეზონი** გაიხსნება 20 ოქტომბერს. წარმოდგენილი იქნება **„კარმენსიტა"**. შემდეგ მორიგ პრემიერათ წავა **„მეფე ლირი"**.

# სასამართლო

### სიძის მკვლელი

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გუშინ დამთავრდა მოქ. **ღვთისო გურგენაშვილის** საქმის გარჩევა.

ღვთისო გურგენაშვილმა მოჰკლა თავისი სიძე კვირიკა ნიკოლაუსძე ზურაბაული. მკვლელობა მოხდა ამა წლის 25 ივლისს, ღამის ათ საათზე, სოფელ ომარანში (თბილისის მაზრა).

კვირიკა ზურაბაულს ცოლად ჰყავდა ღვთისო გურგენაშვილის და თამარა, რამდენიმე წელი იცხოვრეს ერთად, მაგრამ ისეთი იყო მათი ცოლქმრობა, რომ შორიდან მაყურებელი იფიქრებდა, თითქოს ერთი-მეორეს **სიკვდილს** უცდიან და მანამდე არ ეყრებიან **ერთმანეთსო.**

ცოლმა მეტი აქტივობა **გამოიჩინა,** მიატოვა ქმარი, წაიყვანა შვილები და გადასახლდა თავის ძმასთან ღვთისოსთან. კვირიკა პირველ ხანებში თითქოს შეურიგდა ასეთ მდგომარეობას, მაგრამ ბოლოს ვეღარ მოითმინა და რამდენიმეჯერ „ვიზიტი" გაუკეთა თავის ცოლს ღვთისო გურგენაშვილის სახლში. ღვთისომ აითვალწუნა სიძე და წინადადება მისცა ფეხი აღარ შეედგა მის ოჯახში. მიუხედავად ასეთი გაფრთხილებისა, კვირიკა განაგრძობდა მისას სიაროლს. ღვთისოს ყოველთვის ბრაზი მოსდიოდა სიძის დანახვაზე. 25 ივლისსაც ჩვეულებრივ ესტუმრა კვირიკა თავის ცოლს. ღვთისო გურგენაშვილმა მისი დანახვისთანავე ჩამოიღო კედლიდან თოფი, გამოუმიზნა სიძეს და ესროლა. კვირიკა ზურაბაული იქვე დაეცა სასიკვდილოდ დაჭრილი და ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა.

სასამართლომ ბრალდებულ გურგენაშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით. მაგრამ მიღებულ იქნა მხედველობაში მსჯავრდადებულის სოციალური მდგომარეობა, გაუნათლებლობა და ის გარემოება, რომ ეს დანაშაული მან პირველად ჩაიდინა, რის გამო სასჯელი შემცირებულ იქნა 3 წლამდე.

ვ.

### ორი მკვლელობა ერთ ღამეს

სოფელ უდეში (ახალციხის მაზრა) ამა წლის 28 მარტს, ღამით მოხდა ორი მკვლელობა.

ორივე მკვლელობა ერთმანეთთან მჭიდროთ არის დაკავშირებული და ორივესი მიზეზი არის უდეში მაჭანკლობით და უმზგავსო ცხოვრებით სახელგანთქმული, ძალზედ მოხუცებული ქვრივი **ნინა პეტრეს ასული აბულაძისა.** ნინას, გარდა იმისა, რომ სხვების საქმეებს აჭახრაკებდა, რომანი ჰქონდა იმავ სოფლის მცხოვრებ ახალგაზრდა ვანო სარაშვილთან. მათი პაემანის ადგილი იყო აბულაძეების საბძელი. საბძელში ღამით ხვდებოდენ ერთმანეთს ნინა და ვანო.

**ნინა აბულაძისას ჰყავდა ვაჟიშვილები: პეტრე, პავლე და სანდრო.** შვილები მუდამ ეჩხუბებოდენ დედას და წინადადებას აძლევდენ თავი დაენებებია სარაშვილისათვის. ერთ ღამეს, როცა სახლში ყველას ეძინა გარდა ნინასი, კარებზე მოაკაკუნა ვანო სარაშვილმა. ეს იმისი ნიშანი იყო, რომ ნინო ფრთხილად უნდა გასულიყო საბძელში, სადაც მას უცდიდა ვანო. ეს დაკაკუნება გაიგო პეტრემ. მან გააღვიძა თავისი ძმა პავლე და უთხრა, რომ თავი მოგვჭრა, დედა საბძელში გაიყვანა სარაშვილმა, თუ არ მოვკალით სირცხვილს ვერ გამოვისყიდით. ძმები შეიარაღდნენ ერთი ცულით და მეორე თოხით. გამოვიდენ გარეთ და გამოედევნენ სით. ვანო სარაშვილს. დაეწიენ და ერთმა ცულით, მეორემ თოხით იქვე მოჰკლეს სარაშვილი.

იმავე ღამეს დააპატიმრეს პავლე, პეტრე და ნინო აბულაძეები კვლევა-ძიების მოსახდენად და მოათავსეს ადგილობრივ საპატიმროში.

ამ საპატიმროში მოხდა მეორე მკვლელობა. დაპატიმრებული პავლე აბულაძე ღამით, იმ დროს, როცა აკრძალულია, ტუსაღის გარეთ გაყვანა, გაჰყავდა ბუნებრივ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. სამილიციო საგუშაგოს უფროსის დიმიტრი ჩხარტიშვილის განკარგულებით, პატიმარს გარეთ გაჰყვა მორიგე მილიციელი **კაჭკაჭაშვილი.** არ გასულა ათი წუთი, გავარდა თოფი და პავლე აბულაძე უსულოდ დაეცა მიწაზე. პავლე აბულაძე მოჰკლა მილიციელმა ოსე კაჭკაჭიშვილმა, რომელიც მკვლელობას ამართლებს მით, რომ თითქოს აბულაძემ გაქცევა მოინდომა და ის იძულებული იყო ესროლა მისთვის.

ადგილობრივ მოხდენილი დათვალიერების დროს დადასტურდა ის გარემოება, რომ კაჭკაჭაშვილს თოფი უსვრია ტუსაღისათვის იმ დროს, როცა ის 4 ნაბიჯითაც არ ყოფილა მისგან დაშორებული, ამასთანავე მოკლულს გახსნილი ჰქონდა შარვლის და საცვლის ყველა ღილები, რაც გაქცევის ცდას არ ადასტურებს.

პასუხისგებაში არიან მიცემული: საპატიმროს უფროსი **ვლადიმერ ჩხარტიშვილი,** მორიგე მილიციელი **ოსე კაჭკაჭაშვილი, პეტრე და ნინა აბულაძეები.** საქმის გამოძიება უკვე დაამთავრა გამომძიებელმა **ჩიქოვანმა.**

აღნიშნული პირები სასამართლოს წინაშე წარსდგებიან ახლო მომავალში.

ვ.

### რძლის მოწამვლა

დღეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **სიჭინავას** თავმჯდომარეობით დაიწყება მოხუც ცოლ-ქმარის მათე და ანტანინა კაზაკრენკოს გასამართლება.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, მათე და ანტანინა კაზაკრენკოებმა მოწამლეს სტრიხნინით ახალგაზრდა რძალი ელენა ერმოლოვა, რაც გამოაშკარავებულ იქნა ელენა ერმოლოვას დასაფლავებიდან რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ.

ბრალს სდებს პროკურორი კიკაბიძე.

### განაჩენი

**გაზ. „გუდოკის" ა. კ. განყოფილების თანამშრომელთა საქმეზე**

გუშინ, ღამის ათ საათზე აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. **ბერიშვილის** თავმჯდომარეობით გამოიტანა განაჩენი გაზ. „გუდოკის" ამიერ-კავკასიის განყოფილების თანამშრომლების **ვლადიმერ შაინოვის და ალექსანდრე შილინის საქმეზე.**

**გ. შაინოვს** დაუმტკიცდა 6724 მანეთის მითვისება და გაფლანგვა, აგრეთვე ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად ყალბი საბუთების შედგენა და თანამდებობის ბოროტად გამოყენება. მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა რვა წლით სასტიკი იზოლიაციით. მანვე უნდა დააკმაყოფილოს გაზ. „გუდოკის" კანტორის სარჩელი ზემოდ აღნიშნულ თანხის რაოდენობით.

**ალექსანდრე შილინს** არ დაუმტკიცდა სისხლის სამართლის ხასიათის ბოროტმოქმედება და განთავისუფლებულ იქნა. მან უნდა მოიხადოს სასჯელი მხოლოდ დისციპლინარული წესით.

# ახალი გზატკეცილი

## ვერის ხიდიდან კარლ მარქსის სახელობის ხიდამდე

ვინაიდან ვერის დაღმართზე არაჩვეულებრივი მოძრაობა როგორც ფეხით მოსიარულეთა, ისე ტვირთმზიდავებისა, ეტლებისა და ავტომობილების, კეთილმოწყობის განყოფილებას განზრახვა ჰქონდა ზედმეტი მოძრაობისაგან განსატვირთავად გაეფართოებია ვერის დაღმართი. ამ მიზნით განზრახული იყო ზემელის ყოფილ აფთიაქისა და მის დაყოლებაზე მდებაზე შენობების აღება ვერის ხიდამდე. ამ პროექტთან ერთად წარმოდგენილი იყო ამავე მიზნით, მეორე პროექტი ვერის ხიდიდან მტკვარის მარჯვენა ნაპირზე გასწვრივ კარლ მარქსის სახელობის ხიდამდე ახალი გზატკეცილის გაყვანის შესახებ. ხანგრძლივი თათბირის შემდეგ მიღებული იქნა მეორე პროექტი. ამ პროექტის განხორციელება პირველ პროექტთან შედარებით გაცილებით იაფი ჯდება და არც რაიმე ნაგებობის აღებას მოითხოვს. ამ გზის გაყვანით ვერის ხიდის ქვევით ნაწილობრივ შევიწროებული იქნება მტკვარის კალაპოტი, რაც წინასწარი გამოკვლევით, სრულებით არ წარმოადგენს საშიროებას მტკვრის მოსალოდნელ ადიდების დროს. გზის გასაყვანად მუშაობა უკვე დაწყებულია. გაკეთებულია ჯებირები, სწარმოებს კლდის ნაწილობრივ ჩამონგრევა და სხ. გზატკეცილის გაყვანის დასრულება განზრახულია მომავალ წელში.

# მეწყერი გორის მაზრაში

უკანასკნელ წლებში გორის მაზრის მთელ რიგ სოფლებში გახშირდა მეწყერი, რომელიც მოსახლეობას დიდ ზარალს აყენებს. უფრო ხშირად მეწყერი მოსდევს ხანგრძლივ წვიმიან ავდრებს. უკანასკნელი წვიმების დროს მეწყერიდან ძალიან დაზარალდა სოფელი ცხეთის ჯვარი, საცაც ერთი თვეა, მიწის ზედაპირი ვეღარ კავდება და ქვეითკენ მისცურავს. ნიადაგის ზედაპირის რყევის დროს ხშირად ნიადაგს მოგჯება მოზრდილი მიწის ნაჭერი და უზარმაზარი ზვავების სახით სისწრაფით მოექანება დაბლობისაკენ.

უცბად მოგლეჯილი ზვავები ქვეშ იტნევს შინაურ პირუტყვებს. ზემოხსენებულ სოფელში გახშირებული მეწყერის გამო ხიფათი მოელის გლეხების კარმიდამოს. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს გადასახლდენ დამეწყრულ ადგილებიდან. ამ მიზნით უკვე შუამდგომლობაა აღძრული გორის სამაზრო აღმასკომის წინაშე სოფლის გადასასახლებლად ახალი ადგილის დათმობის შესახებ.

# რადიო

### დღეიდან თბილისის რადიო - სადგური იწყებს რადიო მოხსენებების გადმოცემას ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ

დღეიდან თბილისის რადიო-სადგური იწყებს ოქტომბრის დღესასწაულის ჩასატარებლად გამომუშავებულ სპეციალურ პროგრამის შესრულებას. რადიო - სადგური გადაცემს მოხსენებებს ოქტომბრის რევოლიუციისა და სამოქალაქო ომის შესახებ. მოხსენებები გადაცემულ იქნება ქართულ, რუსულ, სომხურ და თურქულ ენებზე. ყველაზე საყურადღებო და მნიშვნელოვანი მოხსენებები გადაცემული იქნება აგრეთვე აფხაზურ და ოსურ ენებზე.

ოქტომბრის ათი წლისთავის ჩასატარებლად არჩეული კომისიები თბილისის რადიო - სადგურის საშუალებით გადაცემენ აგრეთვე ინფორმაციულ ცნობებს დღესასწაულის ჩატარების შესახებ სკოლებში, კლუბებში, სოფლებში.

დღეიდან ვიდრე 6 ნოემბრამდე რადიო - სადგური გადასცემს აგრეთვე მოხსენებებს სხვადასხვა სამეურნეო დაწესებულებათა ათი წლის მუშაობის და მიღწევების შესახებ.

8 ნოემბრისათვის რადიო გადაცემისათვის გამომუშავებულია სპეციალური პროგრამა.

# რკინისგზებზე

### ბათომის ხაზის აღსადგენათ

წვიმებმა და წყალდიდობამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ.-კავკ. რკ. გზების ბათომის ხაზზე სექტემბერში გზას მიაყენა ერთ მილიონ მანეთამდე ზარალი.

ბათომის ხაზის საბოლოოდ აღსადგენად, ამ.-კავკ. რკ. გზ. გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა გზათა კომისარიატის წინაშე, ზემოთ-აღნიშნულ თანხის დამატებით [illegible] შესახებ.

ამასთანავე გზის გამგეობამ გადასწყვიტა აღნიშნულ თანხის ფარგლებში ეხლავე ჩაატაროს გადაუდებელი სამუშაოები ქობულეთ-ჩაქვის და ჩაქვს და ბათომს შორის დაზიანებულ ხაზის აღსადგენად, რისთვისაც გადასწყვიტა დახარჯოს 50.000 მანეთი.

მდ. ყუბის წყალზე და ყოროლის წყალზე ხიდების აღსადგენად გახსნილია კრედიტი—400.000 მანეთის რაოდენობით.

### „სამშენი"-ს ჩიხი -

სად. თბილისში სააქციო საზოგადოება „სამშენი"-სათვის მოწყობილი მისასვლელი ჩიხი უკვე გაიხსნა ექსპლოატაციისათვის.

### სახელმძღვანელო კაზანცევის მუხრუჭის შესახებ

ამიერ-კავკასიის რკინის გზების წევის განყოფილების საწარმოო ნაწილის უფროსმა ინჟ. .. გულიანმა და ამავე განყოფილების რევიზორმა მ. კუზმინმა შეადგინეს სახელმძღვანელო კაზანცევის სისტემის მუხრუჭის შესახებ.

სახელმძღვანელო უკვე გამოცემულია საგზაო პროფგანათლების განყოფილების მიერ.

# სატელეფონო კავშირი

## მოსკოვ-თფილისს შუა

დღეს დილიდან გაიხსნება პირდაპირი საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირი მოსკოვ-თბილისს შუა. გარდა მოსკოვისა, თბილისიდან ტელეფონით საუბარი შეიძლება როსტოვთან, ვორონეჟთან, კოზლოვსთან, სარატოვთან და მინერალურ წყლებთან.

ტელეფონით საუბარი მოსკოვთან სამი წუთის განმავლობაში ეღირება 6 მანეთი და 50 კაპ.

# ჭადრაკი

### საკავშირო ტურნირი

მეთორმეტე ტური

**მოსკოვი,** 13 ოქტომბერი. მეთორმეტე ტურზე **დუზ- ხოტიმირსკიმ** მოუგო **რომანოვსკის ილინ-ჟენევსკიმ** პერფილიევს, **ბოტვინიკმა** პავლოვ-პიანოვს, **ხოლოდკევიჩმა—მოდელს,** კასპერსკიმ—ვილნერს, **სელეზნიოვმა—ფრეიმანს,** უშედეგოდ დამთავრდა თამაში **სმოროდსკისა და სერგეევს** შორის და **მაკაგონოვისა და ნენაროკოვის** პარტია. **როხლინ-გრიგორიევის** პარტია გადაიდო. **რაბინოვიჩის** თხოვნით, მისი პარტია **ბოგატირჩუკთან** გადადებულია მახლობელ თავისუფალ დღისათვის. მე-12 ტურის შემდეგ წინ მიდის **დუზ-ხოტიმირსკი (ადს).**

**მეცამეტე ტური.**

**მოსკოვი,** 14 ოქტომბერი. ჩემპიონატის მე-13-ე ტურში **ილინ-ჟენევსკიმ** მეორე პარტია წააგო **მაკაგონოვთან, დუზ-ხოტიმირსკიმ** მოუგო **ვილნერს, ბოგატირჩუკმა—ბოტვინიკს,** პერფილიევმა—პავლოვ-პიანოვს, **მოდელმა—ფრეიმანს, როხლინმა—რაუზერს, სმოროდსკიმ** გრიგორიევს. დანარჩენი პარტიები გადადებულია.

### ფიზკულტურელ მოჭადრაკეთა საკავშირო ტურნირი

**მოსკოვი,** 13 ოქტომბერი. დასრულდა ფიზკულტურის საოლქო საბჭოების გუნდების საკავშირო საჭადრაკო ტურნირი. პირველი ადგილი დაიკავა ბელორუსიის გუნდმა, მეორე და მესამე გაიყვეს მოსკოვისა და ცენტრალურ-სამრეწველო ოლქის გუნდებმა, მეხუთე და მეექვსე ადგილი დაიკავეს ლენინგრადმა და ჩრდილო-დასავლეთმა ოლქმა (ადს).

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის გაერთიანებული პროფკომი, სამეცნიერო ტეხნიკუმი წრე და ტეხნიკოსთა სექცია** დღეს 15 ოქტომბერს, 12 საათზე უნივერსიტეტის შენობაში (პირველი აუდიტორია) იწვევს არაჩვეულებრივ სასწრაფო, ამავე ფაკულტეტის სტუდენტთა გაერთიანებულ კრებას.

დასწრება სავალდებულოა ყველა სტუდენტისათვის.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიონის** კომუჯრედების ყველა მდივნებს მოვაგონებთ, რომ დღეს, ნაშუადღევს ორ საათზე საქართველოს კომპარტიის რაიკომის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში აუცილებლად უნდა იქნას წარმოდგენილი **სიები იმ** ამხანაგებისა, რომელნიც გამოყოფილნი არიან თავდაცვა-ავიაქიმის ცვალებადი შემადგენლობის ბატალიონის სწავლებისათვის.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომის** საარიცხვო განმანაწილებელი ქვე განყოფილება ამხ. სარჯველაძეს სთხოვს ნაშუადღევს ორ საათზე გამოცხადდეს ამხ. ჩაჩანიძესთან (ოთახი № 42).

**საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის** საარიცხვო განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს, კვირას, 16 ოქტომბერს, დილის სრულ ათ საათზე გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საარიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 54) ამხ. თარხანოვთან.

1) ბოგდანოვი პეტრე (ტრანსპორტი), 2) მელაძე შალვა (სისხლის სამართლის მაძიებ. მილიცია), 3) პოლოსოვი არტემ (თბილისის ვაჭრობა), 4) გურვენშტეინი მაკარი (ს. მ. უ. ს.), 5) ცომაია ივანე (თბილისის სამაზრო გლეხკომის თავმჯდომარე), 6. თევდორაძე შალვა (თბილისის აღმასკომი), 7) მორბედაძე დიმიტრი (მეორე რაიონის მილიციის უფროსი), 8) როწზან ალიო („26"-ის სახელობის ქარხნის დირექტორი), 9) არეშიძე სოლომონ (შრომის ბირჟის თავმჯდომარე), 10) პირიაშვილი ნიკოლოზ (კოოპმრეწვი), 11) გამრეკელი დავით გიორგისძე, 12) დავიდოვი გიორგი ალექსანდრესძე, 13) ჩომახიძე მიხეილ ტალალისძე, 14) გოგუა კირილე სამსონისძე, 15) მიქელაძე ალექსანდრე ნესტორისძე, 16) მანტატოვი შარიფ ახმედისძე.

---

სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ტეხნიკური წრის გამგეობა და ფაკულტეტის გაერთიანებული პროფკომი ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას წრის გამგეობის წევრის მეორე კურსის სტ.

## შალვა (ოტია) იოსელიანის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება შაბათს, 15 ოქტომბერს, დღის 3 საათზე. (ფასანაურის ქ. № 2), დაკრძალვა მოხდება ვერის ახალ სასაფლაოზე. 138

---

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტთან არსებული სტუდენტთა ს. ტ. წ. ტეხნიკური სექცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ოქტომბრის 12 ქ. თბილისში გარდაიცვალა სტუდენტთა ტეხნიკური სექციის წევრი

## შალვა (ოტია) ივანეს-ძე
## იოსელიანი

გამოსვენება დღეს, ოქტომბრის 15-ს, 3 ნახევარ საათზე საკუთარ ბინიდან (ფასანაურის ქ. № 2), დაკრძალვა—ვერის ახალ სასაფლაოზე. 142

---

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტი იუწყება, რომ 12 ოქტომბერს გარდაიცვალა ამავე ფაკულტეტის სტუდენტი

## შალვა (ოტია) ივანეს-ძე
## იოსელიანი

გამოსვენება დღეს, ოქტომბრის 15-ს, 3 ნახევარ საათზე, საკუთარ ბინიდან (ფასანაურის ქ. № 2), დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 142

---

სამუდამოთ გაუბედურებულ ი მშობლები კირილე და მარიამი (პაშა) შვილებით: ქორეიკა, ვალიკო, ლენა, მერი და პაკუ, სიძე ბორისი შენგელიძე თავისი პატარა შვილით ლიათი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 12 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე ულმობელმა სიკვდილმა უდროოთ სიცოცხლე მოუსპო საყვარელ

## ნუცა იოსელიანს

გამოსვენება შაბათს, 15 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, მოსკოვის ქუჩიდან № 20, ახალ ვერის სასაფლაოზე პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე 128 2—1

---

გულდამწვარი ლენა, ბორისი და პატარა ლია შენგელიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი და, მეორესი ცოლის და და მესამესათვის სიცოცხლით სავსე საყვარელი დეიდა

## ნუცა იოსელიანი

გამოსვენება შაბათს, 15 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, მოსკოვის ქუჩიდან № 20 ახალ ვერის სასაფლაოზე პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. 2-1—129

---

ბიძა ნესტორ იოსელიანი შვილებით კუკუშკა, ელენე, თამარი, ლევანი და პაპუ აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ საყვარელ

## ნუცა იოსელიანის

დაკარგვას. 152

---

გულკოკლული მეგობრები: მარიკო ჩხეიძე, ნადია ლოლობერიძე-სინაურიძისა, თალიკო ქუთათელაძე-ბადრიძისა, დორა კიკნაძე, ვალოდია თევზაძე, ვანიჩკა ლოლობერიძე, ვალოდია ნიკოლაიშვილი და ზურაბ მგალობლიშვილი აუწყებენ ამხანაგ-მეგობრებს, რომ დაჰკარგეს ახალგაზრდა სიცოცხლით სავსე საყვარელი მეგობარი

## ნუციკო იოსელიანი

გამოსვენება საკუთარ ბინიდან (მოსკოვის ქ. № 20), დღეს, ოქტომბრის 15-ს. ნაშუადღევის 4 საათზე. დასაფლავება ვერის ახალ სასაფლაოზე ნ. 51

---

დედ-მამა ბესარიონ და ტერეზი, ძმა სერგო, და ვერა; ბიძეები: ივანე და ონისიმე; ბიძაშვილები: მაშიკო, პავლე, იოსები, კოლია, ალექსანდრე, ვანო და ზაქარია; სიძეები—ქორა, მელიტონი და [illegible] შვილით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს ძვირფასი [illegible] დაუვიწყარ

## კოწია (კონსტანტინე) ბესარიონის-ძე
## კომახიძის

უდროოდ გარდაცვალებას ქალ. თბილისში. გასვენება ქალ. სამტრედიაში მოხდება შაბათს, 15 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, პლეხანოვის გამზ. № 108. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 143

---

ღრმად დამწუხრებული: გიორგი გვარჯალაძე, ლავრენტი თავაძე, გრიგოლ ხვიჩია, ნიკოლოზ კიკაბიძე, გიორგი მელუა, იულია ხარაბაძე, გიორგი რუხაძე და დავით კაკაბაძე მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს ძვირფასი ამხანაგის

## კოწია ბესარიონის-ძე კომახიძის

გარდაცვალებას. 141

---

სახ. უნ. პროფსექციათა აღმასბიურო ღრმა მწუხარებით აღნიშნავს პოლიტ. ფაკ. სტუდენტის, ამავე ფაკულტეტის საბჭოსა და გაერთიანებულ პროფკომის აქტიურ წევრის

## კონსტანტინე კომახიძის

უდროოდ დაკარგვას. ქ. თბილისიდან (პლეხანოვის გამზ. № 108), ქ. სამტრედიაში გასვენება დანიშნულია შაბათს, 15 ოქტომბერს, საღამოს 5 საათისათვის. დასაფლავება ქ. სამტრედიაში, სამშაბათს, 18 ოქტომბერს. 146

---

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტთან არსებული სტუდენტთა ს. ტ. წ. ტეხნიკური სექცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ოქტომბრის 14 ქ. თბილისში გარდაიცვალა სტუდენტთა ტეხნიკური სექციის წევრი

## კონსტანტინე (კოწია) ბესარიონის-ძე
## კომახიძე

გამოსვენება დღეს, ოქტომბრის 15-ს, 4 ნახ. საათზე, საკუთარ ბინიდან (პლეხანოვის გამზირი № 108) რკ. გზის სადგურზე ქ. სამტრედიაში წასასვენებლად. 142

---

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის გაერთიანებული პროფკომი მწუხარებით იუწყება, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 14 ოქტომბერს დილის 4 საათზე, გარდაიცვალა სახელმწ. უნივერს. პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი, ამავე პროფკომის მდივანი, სტუდენტთა ორგანიზაციების უაქტიურესი მომუშავე, ქალაქის საბჭოს წევრი ამხ.

## კოწია ბესარიონის-ძე კომახიძე

გამოსვენება ბინიდან (პლეხანოვის ქუჩა № 108), მოხდება 15 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, რკინისგზის სადგურიდან ქ. სამტრედიაში წასასვენებლად. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 137

---

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭო მწუხარებით იუწყება, რომ 14 ოქტომბერს, ღამით, გარდაიცვალა თბილისის საბჭოს წევრი

## კონსტანტინე ბესარიონის-ძე
## კომახიძე

ცხედარი გამოსვენებული იქნება დღეს, 15 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე პლეხანოვის პროსპექტი, სახლი № 108—თბილისის სადგურზე, სამტრედიაში წასასვენებლად. ნ. 55

---

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: სტეფანე, პორფილე, ლიზა და მარო, რძლები ვერა და ნინა, სიძეები ნიკიფორე სიხარულიძე და რაჟდენ მახარაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველთა მამის და დანარჩენთა სიმამრის

## თედორე დიმიტრის-ძე ელიაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 16 ოქტომბერს, სოფელ უჩხობში (გურია).

---

**სახელმწიფო ოპერა**

დღეს, შაბათს, 15 ოქტომბერს
საოპერო სეზონის გახსნა
**აბესალომ და ეთერი**
მონაწილეობენ: დანიელიანი, მაყაშვილი, ქუმსიაშვილი, ინაშვილი.
დირიჟორი სახ. არტისტი ი. პ. ფალიაშვილი.
კვირას, 16 ოქტომბერს **აიდა** სამშაბათს, 18 ოქტომბერს **ევგენი ონეგინი** ოთხშაბათს, 19 ოქტომბერს **სადკო**
ნ. 49

**აპოლო არფასტო სოლეი დარბაზი**
ო—13 ნ. 1388

მსოფლიო კომიკი ბესტერ კეიტონი საუკეთესო სურათში
**სამი ეპოქა**

ქსენია დესნი უცხოეთის საუკეთ. მხატვრულ სურათში
**„დუმილის კოშკი"**
შენიშვნა: ადგილები პარტერში დანომრილია

„მეჟრაბპომ-რუს"-ის იშვიათი სურათი
**„კაცი რესტორანიდან"**
დადგმა ი. ა. პროტაზანოვის
შენიშვნა: ადგილები პარტერში დანომრილია

ამერიკის ცნობილი მსახიობი ქალი
**რუფ როლლანდი** სურათში
**„მზის სატრფო"** 1 და 2 სერია ერთად

ანონსი: ახლო ხანში ნაჩვენები იქნება საუკეთესო სურათი „ალიმ"-ი

**ამ დღეებში** კინო-თეატრებში
**არფასტოში და სოლეიში**
უკრაინის ფოტოკინოს სამმართველოს „ვუფკუ"-ს
დიდი მხატვრული სურათი
**ალიმ**
**ყირიმის ჯიგიტი**
რეჟისორი **ტასინი**
მთ. როლში **ხაირი**
თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს
ნ. 52

**მიხეილ გედევანიშვილის**
სახელობის
**სამკურნალო**
სხივებით
**ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი**
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
**ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა**
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს" პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8

ექიმი
**ა. დ. კეკელია**
**სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.**
მიღება 8—12 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ 25—7

**თბილისის აღმასკომი**
აცხადებს, რომ ა | წ. 17 ოქტომბერს დანიშნულია
**საჯარო ვაჭრობა**
აღმასკომის საჭიროებისათვის ხის ავეჯეულობის
მაგიდების, ტაბურეტკების, განჯინების და სხ დამზადებაზე. ცნობების მიღება შეიძლება თბილისის აღმასკომში, ოთახი № 223.
ნ. 56 აღმასკომის კომენდანტი **მიროტაძე**

**მე-5 ქართული მსროლელი ლეგიონი**
**აცხადებს შერეულ**
**საჯარო ვაჭრობას**
**1927 | 28 საბიუჯეტო წელში დაახლოებით 25.000 მანეთის ღირებულების ხორცის მიწოდებაზე**
აღნიშნული საჯარო ვაჭრობა შესდგება ა | წ. 23 ოქტომბ. დილის 10 საათზე შტაბის ბინაზე ქალ. ქუთაისში
საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველნი აღნიშნულ ვადაზე უნდა გამოცხადდენ საჯარო ვაჭრობაზე ან შემოიტანონ წერილობითი განცხადებები ფასის აღნიშვნით დუხურულ პაკეტებში, რომლებზედაც უნდა იქნეს წარწერა „23 ოქტომბრის საჯარო ვაჭრობისათვის", და აგრეთვე წარმოადგინონ საწინდარი მიწოდების ღირებულების 2 პროცენტის რაოდენობით.
ხელშეკრულების პროექტის გახილვა შეიძლება პოლკის სამეო ნაწილში სამუშაო დროს. 151

**საქ. სატყეო მრეწველობის**
**ტრესტი**
**ამით აცხადებს**
რომ 20 ოქტომბერს, დღის 12 საათზე
**მაჩაბლის ქუჩაზე (ყოფ. სერგეევის) № 1**
დანიშნულია
**შეჯიბრი**
**20.000 ფ. თივის. 5.000 ფ. გზის და 7.000 ფ. ქერის მიწოდებაზე**
იმ დაწესებულებებმა და პირებმა, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ შეჯიბრში, უნდა წარმოადგინონ განცხადებები დახურულ პაკეტებში და საწინდარი განცხადებულ ფასის 10 პროც. რაოდენობით. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება ტრესტში, სამსახურის საათებში. ნ. 48

**სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა**
**საყურადღებოთ**
1927 წლის 15 ოქტომბრიდან უნივერსიტეტში იწარმოებს სტუდენტთა რეგისტრაცია. ახალ მიღებულთათვის რეგისტრაცია გაგრძელდება 20 ოქტომბრამდე, ხოლო ძველ სტუდენტთათვის 31 ოქტომბრამდე. რეგისტრაციის დროს უნდა წარმოდგენილ იქნას პირველი სავალდებულო 5 მან. შეტანის ქვითარი და სალექციო წიგნაკი.
სტუდენტები, რომლებიც არ გატარდებიან აღნიშნულ ვადებში რეგისტრაციაში, მექანიკურათ გამოირიცხებიან უნივერსიტეტიდან
ნ. 54 გამგეობა

**ქ. თბილისის 1 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი**
**გ. გ. ბარუტჩევი**
აცხადებს რომ 20 ოქტომბერს, 12 საათზე, არკადის შესახვევში, № 13, გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** აბესალომ ბუკიას 2 სართულიანი სახლი, რომელშიაც მოთავსებულია 10 ოთახი და 2 სამზარეულო. ეს სახლი შეფასებულია 3.000 მან., რა შეფასებიდანაც დაიწყება ვაჭრობა. გაყიდვა დანიშნულია ლევან კეჩხუაშვილის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, ჯამით 1116 მან. აღნიშნული სახლი დაგირავებულია გოგი კეჩხუაშვილთან 7.000 მანეთში.
ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს გათვალისწინებული სამ. საპრ. კოდ. მე-311 მუხ. ცნობები; გარდა ამისა ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარუდგინოს შეფასებული ჯამის 10 პროც., ე. ი. 300 მანეთი. 147

**ქ. თბილ. მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი**
**ლ. ს. სვიატოდუხოვი**
ამით აცხადებს, რომ ის 20 ოქტომბერს 1927 წ. დღის 12 საათ. სახლში № 7 მილიციის ქუჩ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ევგენია კატანჯიანცის მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილობას შეფასებულს 250 მან. ნინელა სიმეონოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლოსაგან 6 ივლისის 1927 წ. თარიღით, № 3397 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 145

**ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი**
**გრ. ა. დანელია**
ამით აცხადებს, რომ ის 20 ოქტომბერს 1927 წ. დღის 1 საათ. სახლში № 16 აგურის შესახვევში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. კონსტანტინე სიმონიშვილის მოძრავ ქონებას: ბუფეტის შკაფს, წიგნების შკაფს, ლუსტრას და სხვადასხვა ხარისხის წიგნებს შეფასებულს 160 მან., გიორგი კოხრეიძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 10 იანვრის 1927 წ. თარიღით № 67 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 50

ექიმი **ჯალალოვი**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფობის მიღება
**სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.**
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—1

**სათვალეების მორგება**
**უფასოდ**
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ექიმი **მ. ო. ზანდუკელი**
დაბრუნდა და დაიწყო ავადმყ
**მიღება**
**შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონით და სინათლით მკურნალობა**
ავადმყ. მიღება ახალი მისამართით ლენინის ქუჩა (ოლღას ქ.) № 11 საღ. 7—8 საათ.
ტელ. 4—82 25—1

**ა. ვ. მიქაბერიძე**
**პარიზში 1923 წელს დაამთავრა**
**„სილამაზის ინსტიტუტი"**
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანნები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 5—21

მედიც. დოქტორი
**გ. ა. ახვერდოვი**
**ვენერიული და სიფილისი.**
დილ. 9—12, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი № 7, კ. მარქსის ძეგლთან. შესავალი ამ სახლის კუთხიდან. 5—2

ექიმი **კ. ს. ფონ-ირტელი**
**საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი**
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) სპეციალისტი.
ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს-მდე, საღამოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს.
პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედნის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 3645—18—1

**მედიცინის დოქტორი**
**ა. ა. მონსე**
განაახლა ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 10—1 საათამდე და საღ 6—7 საათამდე
როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა შინაგანი ორგანოებისა და ნერვიული სისტემის ავადმყოფობათა მკურნალობა. გიპნოზი.
კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა № 17, ზემო სართული. 25—

**თმის მკურნალობა**
და
**სამკურნალო კოსმეტიკა**
**ელექტრო-სინათლით მკურნალობის კაბინეტი.**
**ი. გ. კ ნტოროვიჩი**
მიღება 11-დან 3-დე და 6-დან 8-დე
**კოსმეტიური მასაჟი და პირის სახის მკურნალობა უცხოეთის უახლეს მეთოდებით.**
საბა-სულხანის ქ. (ყოფ. ფრეილინის . 1—25

**ხელოვნურ კბილების**
მომზადება და ჩასმა (კაუჩუკზე და ოქროზე შეღავათიან ფასებში სწარმოებს სტომატოლოგიურ კლინიკასთან არსებულ კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე—პლეხანოვის გამზირი № 126 ავადმყოფობის მიღება სწარმოებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით საღამოს 4—6 საათამდე. 25—1

ექიმი
**ვ. ნ. ონანოვი**
**სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა**
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

ექიმი **მეგრაბიანცი**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
**ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი**
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
**ხელოვნური მთის მზე.** იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ.. 25—1

**დავკარგე** პირადობის მოწმობა ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე აბესაძეს სახელზე, ჩ. გ. 154

**დავკარგე** პირადობის მოწმობა, გაცემული ცაგერის თემაღმასკომისაგან ვლადიმერ ლეფსვერიძეს სახელზე, ჩ. გ. 148

**დავკარგე** განათლ. მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 551, დ. ზ. რიჟამაძეს სახელზე, ჩ. გ. 150

**დავკარგე** სამხედრო წიგნაკი, ფ № 4, გაცემული აბაშის რაი-სამხედრო მაგიდის მიერ ისიდორე ბალათურიას სახელზე, ჩ. გ. 144

**დავკარგე** სამხედრო საარიცხვო ბარათი № 1026 ვარლამ აბაშიძეს სახელზე, ჩ. გ. 140

**დავკარგე** მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 3257—ილია კიკნაძეს სახელზე, ჩ. გ. 141

**დავკარგე** ვაჭრობა-წარმოების ნებართვა თბილისის აღმასკომიდან მიღებული და ნებართვა ადმინგანიდან 19 თებერვლის ქ. № 71, არსებულ სასადილოზე ნიკოლოზ ზაქარიას-ძე პატარქლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 139

**დავკარგე** მოწმობები პირადობის, სილარიბის, სამხ. უვადო შევბულების, ატესტატი მოცემ. საჰილაოს ხე-ტყის ქარხნიდან. ატესტატი მიღებული მოქ. ა. დიმიდოვისაგან, კავშ. წიგნაკი, ცამზღვევ სალაროს ტალონი, ხელშეკრულება ცალკე საკავშ. ასეულიდან და მოწმობა ცალკე საკ. ასეულ მათთან მუშაობისა ვალერიან ივანეს-ძე მქავაძეს სახელზე, ჩ. გ. 136

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68